„ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე! — მძინარიც ამას ვდუდუნებ.“ — *ვაჟა*

# განმათავისუფლებელი

დამოუკიდებელი ეროვნული გაზეთი  2013 წ. აპრილი * №35 * ფასი 1 ლარი
გამოდის 2003 წლის დეკემბრიდან



იყალთო, VI ს.




ჭაბუა ამირეჯიბის ბერად შედგომის სახიობობა გვ. 5,8,17
ესწრებოდა თუ არა სააკაშვილი პრაღის კონფერენციას გვ. 7,9
მძიმე სამხილი ნუგზარ წიკლაურის მამის წინააღმდეგ გვ. 13

## 19 აპრილი - მერაბიშვილისა და სააკაშვილის „უკანასკნელი ბასტიონი“



ლეილა ცომაია

„ნაციონალური მოძრაობის“ გენერალურმა მდივანმა ვანო მერაბიშვილმა, პარლამენტთან, 19 აპრილის საპროტესტო მიტინგის ჩატარება, ჯერ კიდევ თებერვალში, ანუ სამი თვით ადრე დააანონსა. მერაბიშვილის ეს უცნაური საქციელი სულ მალე გახდა საცნაური — რამდენიმე დღეში იგი, კორუფციის ბრალდებით, დაკითხვებზე პროკურატურაში დაიბარეს, ხოლო უახლოეს მომავალში კი მას უფრო სერიოზული ბრალდებით უწევს პროკურატურაში უწყებით მისვლა — ეს არის გახმაურებული, ახალგაზრდა სანდრო გირგვლიანის მკვლელობის საქმე.

საქართველოს უშიშროებისა და შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრ ვანო მერაბიშვილსათვის, რომლის დანიშნული კადრები, ჯერ კიდევ მრავლად მუშაობენ სამინისტროში, ცხადია ადვილად ხელმისაწვდომი გახდებოდა ინფორმაცია პროკურატურის მიერ მისი პერსონით დაინტერესების შესახებ. ჰოდა, გაქნილმა მერაბიშვილმა დაასწრო პროკურატურას და შორეული 19 აპრილის საპროტესტო აქცია დააანონსა, რითაც მიწყივ ოპოზიციონერი პოლიტდევნილის სტატუსით აღიჭურვა. ამგვარად, მოირგო რა პოლიტდევნილის ჯავშანი, იმ დღიდან აკლებული აქვს მედია-სივრცე, რომ ახალი ხელისუფლება, მასზე და „ნაციონალური მოძრაობის, სხვა მოქმედ თანამდებობის პირებსა და პარლამენტარებზე, პოლიტიკური ნიშნით დევნას ახორციელებს.

ასე მოევლინა დიქტატორული ხელისუფლების მთავარი ძალოვანი მინისტრი, ელიტური კორუფციის მამამთავარი მერაბიშვილი, ქართველ ერს, ოპოზიციონერ ლიდერად და მხსნელად! ოპოზიციონერობას იძულებით იუნჯებს გულში ვადაგასული პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილიც.

„ნაციონალური“ ხროვის ეს კომედიანტი ლიდერები, თვითგადარჩენისა და რეაბილიტაციის მიზნით, ათასობით დოლარებს ხარჯავენ უცხოურ მედიაში მათზე დადებითი სტატიების გამოქვეყნებისა და საერთაშორისო ორგანიზაციებისა თუ ამერიკის კონგრესის ზოგიერთ წარმომადგენელთა მხარდაჭერისათვის. ჯერ კიდევ პრეზიდენტის რანგში, ამ მიმართულებით, აქტიურად იყენებს საერთაშორისო ტრიბუნებს ცრუპენტელა და კომედიანტი მიხეილ სააკაშვილიც. აშკარაა, სააკაშვილი ვერ ეგუება არჩევნებში დამარცხებას, „ნაციონალურ მოძრაობას“ არ ეთმობა ხელისუფლება, რომლის დიდი უმრავლესობა (ძირითადი ბირთვი) წინარე, შევარდნაძის მოქალაქეთა კავშირის სახელისუფლო ფრთას წარმოად-

გაგრძელება გვ. 2

დასაწყისი გვ. 1

გენენ.

თითქმის ორი ათეული წლის განმავლობაში ხელისუფლების სათავეებში ყოფნამ, „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერებს, „შეუცვლელობის“ განცდა და დაუსჯელობის სინდრომი გაუჩინა. ამადაც ვერ ეგუებიან ისინი პროკურატურაში დაბარებებს და გამაყრუებელ ხმაურს ტეხენ. ამ ათწლეულების განმავლობაში მათი დანაშაულობები კი, ჩვეულებრივი კრიმინალიდან სახელმწიფო დანაშაულობებამდე ადის. ეს არის მიტინგების სასტიკი დარბევები, პატიმართა რაოდენობის ზრდა, პატიმრების წამება-გაუპატიურება და მკვლელობები, უკანონო დაპატიმრებები ნარკოტიკებისა და იარაღის ჩადებით, ბიზნესის დაყაჩაღება-რეკეტი, ახალგაზრდების დახვრეტები, მიწებისა და სტრატეგიული დანიშნულების ობიექტების გაყიდვა-გასხვისება, ელიტური კორუფცია, ადამიანთა სოციალური დონის მიზანმართული ვარდნა, ტერიტორიული მთლიანობის რღვევა ავანტიურიზმითა თუ უუნარობით და სხვ.

„ნაციონალური მოძრაობის“ ამ ხავსმოკიდებულმა ლიდერებმა, უდავოდ დიდი გონივრულობა გამოიჩინეს, რომ თავიანთი რევანშისტული აქცია ეროვნული მოძრაობის ოქროსვარაყიან ისტორიულ თარიღებს — 9 და 14 აპრილს — არ დაამთხვიეს არამედ, რამდენიმე დღით გადააგორეს! 19 აპრილი კი, ამ ფსევდო-ნაციონალებისათვის, ნამდვილად იქცევა „საჯილდავო ქვად“.

„ნაციონალებს“ საპარლამენტო უმცირესობა, დედაქალაქის საკრებულოსა და მერიაში უმრავლესობით ყოფნა ერთი-ოთხი წლით, ჯერ კიდევ სრულად გარანტირებული აქვთ, მაგრამ ისინი ჩვეული დემაგოგიური პათეტიკითა და ენერგიით გააგრძელებენ ბრძოლას პირველობისათვის და მათი სტრატეგიული მიზანი საპრეზიდენტო არჩევნებში საკუთარი კანდიდატის გამარჯვება იქნება. რეალობას მოწყვეტილმა „ნაციონალებმა“, საპრეზიდენტო კანდიდატად, რაგინდ ახალი ცნობადი და ავტორიტეტული სახეც წარმოადგინონ, მინიმალურია შანსი მათი კანდიდატის გამარჯვებისა. ხოლო, კანდიდატის არსებული შემადგენლობიდან (მერაბიშვილი, თუ სხვა) დასახელების შემთხვევაში, ეს შანსი კიდევ უფრო დაბალ ნიშნულზე დაიწევს. პოლიტიკურ სარბიელზე ბრძოლაში „ნაციონალების“ უმთავრესი ამოცანაა, ხელისუფლებაში ხანგრძლივად ყოფნით შეინარჩუნონ პრივილეგირებული მდგომარეობა და იმუნიტეტის აღჭურვილობით აიცილონ სამართლებრივი დევნა.

ყველაფრის გათვალისწინებით, საქართველოს მოსახლეობას ჭეშმარიტად გონივრული თავშეკავება მართებს 19 აპრილს დაგეგმილი აქციისადმი, რამთუ უნებურად არ მოახდინონ ამ მკვდრადქმნილი და მრავალმხრივ დანაშაულში მხილებული „ნაციონალური მოძრაობის“ რეანიმაცია, რომლებიც საკმარისად მეტ ხანს და საკმარისზე მეტნი (თითქმის აბსოლუტური უმრავლესობით) იყვნენ ხელისუფლებაში, რათა ემსახურათ ხალხისთვის და რუდუნებით ელვაწათ სამშობლოსთვისაც. 1 ოქტომბრის არჩევნების შედეგად კი „ნაციონალები“ 65 დეპუტატით შევიდნენ პარლამენტში და დღეის მონაცემებით მათ მხოლოდ 53 ხმა აქვთ („ოცნებას“ — 83 + 11). წინ 27 აპრილის შუალედური არჩევნებია 3 გამოკლებული დეპუტატის ნაცვლად, სადაც, ჩვეული სიჯიუტით „ნაციონალებიც“ ცდიან ბედს, რომ იქნებ ერთი კაცით მაინც გაზარდონ საკუთარი პარლამენტარის რაოდენობა.

საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ პოლიტიკაში შემოტანილი ახალი ტერმინი „კოჰაბიტაცია“ მშვიდობიანი პოლიტიკური თანაცხოვრების მნიშვნელობით, ხომ პირდაპირ მაშველი რგოლი აღმოჩნდა აშკარად წყალწაღებული და ჩაძირული „ნაციონალური მოძრაობისათვის“, რამაც სასიცოცხლო ძალა შესძინა მათ; მმართველი კოალიციის პარლამენტის სპიკერი დავით უსუფაშვილი, „კოჰაბიტაციის“ დემოკრატიული პრინციპებიდან გამომდინარე, ხშირ-ხშირად აჟღერებს: „ჩვენ არ მივესალმებით ისეთ რეალობებს წარსულში, როდესაც მოქმედი და მმართველი პოლიტიკური ძალები შემდგომ ქრებოდნენ ასპარეზიდან“.

ჰოდა, ახალი რეალ-პოლიტიკიდან გამომდინარე, ე.წ. „ქართული ოცნების“ იმ ამომრჩევლებს, რომლებსაც ეგონათ, რომ ამ კოალიციისათვის ხმების მიცემის გზით ბოლოს და ბოლოს მშვიდობიანად მოიცილებდნენ ყოფილ ხელისუფალთ, ნურას უკაცრავად, „კოჰაბიტაციის“ ახალდადგენილი წესით, ნაციონალ-ოცნებისტებმა, მთელი 4 წელი თანამეულღლეობით უნდა გალიონ. ამიტომაც, ტელევიზიის ეკრანებიდან, კვლავაც ჩაუქრობ ვარსკვლავებად გვევლინებიან მოქკავშირელ-ნაციონალები. და თუ „კოჰაბიტაციურად“ შეუღლებული ეს პოლიტიკური წყვილი, თქვენს დასანახად ზოგჯერ ერთმანეთს აუმხედრდებიან, ესეც ისევე უნდა დაიჯეროთ, როგორც ცოლ-ქმრის ეპიზოდური ჩხუბის ბრიყვისმიერი სიმართლე.

„მოგვეცით ხმა და ხელისუფლებაში ჩვენი მოსვლის შემთხვევაში თითოეული თქვენთაგანი ძალიან მალე იგრძნობთ შვებას და სიკეთეს“ — ივანიშვილის ეს სოციალური დაპირებაც ხუთი თვის თავზეც შორეულ მოლოდინად რჩება. მარტის თვეში 3 თეთრით ელექტროენერგიის და 52 თეთრიანი გაზის ტარიფის 10 თეთრით გაიაფების „სიკეთე“ ვერავინ იგრძნო საკუთარ თავზე. „ნაციონალი“ მერის, უგულავას 100 ლარიანმა ელექტროენერგიის ვაუჩერმა, მასზე მიბმული წყლისა და ნაგვის გადასახადზე, გაცილებით მეტი და საგრძნობი შეღავათები მისცა თბილისელებს, ვიდრე ივანიშვილის მთავრობისამ. ვერც მისმა სულ ახლახან გაცემულმა 5-ლარიანმა საყოველთაო დაზღვევამ, რომელიც ოჯახის ექიმის ერთჯერად კონსულტაციასა და ერთჯერადად ლაბორატორიულ ანალიზს მოიცავს მხოლოდ, რაც წარსულში „ნაცმოძრაობის“ ხელისუფლებამაც განახორციელა.

ბენეფიციალთა კატეგორიის მნიშვნელოვნად შეკვეცამ და მხოლოდ მათ ხარჯზე ფულადი დახმარების გაორმაგებამ (30+30 ლარი), სამსახურებიდან ადამიანების დათხოვნის ტენდენციამ, პურ-პროდუქტებზე ფასების ზრდამ და უიმედობამ, შეიძლება 19 აპრილს პარლამენტთან ხალხის მნიშვნელოვანი რაოდენობა გამოიყვანოს. ათწლეულობით დაგროვილმა პრობლემებმა და გაუსაძლისმა სოციალურმა ყოფამ, ხალხს მოთმინების ფიალა გადაუვსო და შეპირებებით უკვე ველარ გამოკვებავ მათ. 19 აპრილამდე, ივანიშვილის მთავრობამ, რაღაც საგრძნობი და რეალურად ხელშესახები სოციალური შეღავათი უნდა განახორციელოს, ან გააცხადოს მაინც. მაგრამ ვეჭვობ, რომ მას ხალხის მაჯაზე ედოს ხელი და მათ აჩქარებულ გულისცემას გრძნობდეს.

ამ თემას, რომელიმე პოლიტიკური ძალის მომხრეობა-არმომხრეობის სასწორით ნუ ავრწყავთ. აქ მამოძრავებელ იქცევა სოციალურ-პოლიტიკური პროტესტი და აწ უკვე ივანიშვილითაც გაწბილება, რომელიც მყისიერად უბიძგებს ხალხს ნებისმიერ მოცემულობაში გამოვიდეს ქუჩაში. ეს უკვე ის ვითარებაა, როდესაც ხალხს აღარ ჭირდება და აღარც უნდა ლიდერი, არამედ, მხოლოდ, შეკრებისა და ადგილის შესაძლებლობა. იქ აღარავინ მოუსმენს ლიდერს, იქ ურთიერთთან გაცვლიან აზრებს.

პოსტ-ზვიადისტურ საქართველოში შევარდნაძის მანქურთთა ხროვამ, რომელთა ცნობიერებაში არაფერი მოიძევებოდა ეროვნულ-პატრიოტული, — „მხედრიონის“, „კულინარების“, „საძმოების“, „თბილისელების“, „მერაბ კოსტავას საზოგადოების“... შეიარაღებული დაჯგუფებების შექმნით გადახნეს და მოაოხრეს სრულიად საქართველო, მოექცნენ ხელისუფლების სათავეში და დღემდე სიხარბით ხვრეპენ და ითვისებენ ხალხისა და სახელმწიფო ქონებას. მოახდინეს რა ყოველგვარი იდეური ფასეულობების დევალვაცია, მრავალგზის შეიცვალეს სახელწოდებები და ახლა „ეროვნული მოძრაობისა და ხალხის დაცვის სახელით“ ბრძოლის განახლებას აპირებენ. ამ გონიერმა არამზადებმა, რომლებსაც მუდამ ზურგს უმაგრებს „წითელი ინტელიგენცია“, კარგად უწყიან, რომ აღარ ენდობა და აღარ მოუსმენს ქართველი ხალხი, მაგრამ მასების საპროტესტო განწყობას საკუთარი მერკანტილური მიზნებისათვის კვლავ ეფექტურად გამოიყენებენ.

ამ რთულ გარდამავალ პერიოდში, ივანიშვილის პარლამენტი და მთავრობა, ჯერ კიდევ საკუთარ კეთილდღეობაზე ზრუნვითაა დაკავებული. პრემიერ-მინისტრის 15 მარტის ბრძანებულებით მთავრობის წევრთა ყოველთვიური ხელფასები, თავისი დანამატებით 7 835 ლარით განისაზღვრა, პლიუს გაორმაგებული მეცამეტე ხელფასი დეკემბერში. პარლამენტართა თვიური ხელფასიც 5 000 ლარია, პლიუს დანამატები მატერიალურლ-ტექნიკური უზრუნველყოფისათვის და სხვა. მათაც საკმაოდ ძვირადღირებული მანქანები გააჩნიათ. თუმცა ივანიშვილის ფინანსთა მინისტრი ხადური ირწმუნება, რომ „ნაციონელების“ მთავრობას და პარლამენტარებს გაცილებით მეტი ხელფასები ჰქონდა დანიშნული. ფაქტი ის არის, რომ ხალხზე მზრუნველი მთავრობა კვლავაც ვერ მივიღეთ და მიზერული საპენსიო დანამატები და სამუშაო ადგილების შექმნაც შორეულ პერსპექტივაშია გადატანილი. პარლამენტშიც შრომის, მიგრაციის, საქართველოს სახელმწიფო საზღვრების, ენის, კულტურული მემკვიდრეობისა და სხვა პრიორიტეტული კანონების ნაცვლად იღებენ კანონებს პრეზერვატივების, ტრადიციული სამოსის უფლებისა და საკუთარი მმართველობის ბერკეტების განმტკიცების შესახებ.

ამადაც, 27 აპრილს დანიშნულ შუალედურ არჩევნებში, ნაძალადევის, ბაღდადისა და სამტრედიის მოსახლეობამ, აღარ უნდა მისცეს ხმა, არც „ნაციონალებისა“ და არც „ოცნების“ კანდიდატებს, არამედ მეტ-ნაკლებად მათთვის მისაღებ სხვა რომელიმე პარტიის წარმომადგენელს, რათა ორივე ამ ძალის ლიდერებმა თანაბრად იგრძნონ ხალხის პროტესტი, რომელიც მართალია ძალთა ბალანსს ვერ შეცვლის პარლამენტში, მაგრამ საგრძნობი ალიყური იქნება მათთვის. ხალხმა უნდა ისწავლოს ღირსების დაცვა. ღირსების წარმოჩენის უფლება და საშუალება კი მას ყველაზე ლეგიტიმურად არჩევნებში ეძლევა. თუმცა, ეს სამდეპუტატიანი არჩევნებიც უნდა გაკონტროლდეს და ხმების დაცვა თავად დეპუტატობის კანდიდატებმა უნდა შეძლონ. თუ ამომრჩევლისთვის მიუღებელია ყველა კანდიდატი, მაშინ გადახაზეთ ბიულეტენი, რაც ნიშნავს, რომ თქვენ არ მოგეცათ არჩევანი.

უკანასკნელი 21 წლიანი დიქტატურის ბატონობის პირობებში, საქართველოს მოსახლეობაში ჩამოყალიბდა ნიჰილისტური დამოკიდებულება ყოველგვარი არჩევნებისადმი, რამაც განსაზღვრა ამ ქვეყნის მკვიდრთა ბედი — მოქალაქეებმა დაკარგეს კონტროლისა და მართვის უფლება სახელმწიფო სტრუქტურებსა და საერთო-სახალხო საკუთრებაზეც. 1 ოქტომბრის არჩევნებმა, მართალია მნიშვნელოვნად შეარყია დიქტატურა, მაგრამ ერთბაშად ვერ შეცვალა ხალხის მენტალობა; ხალხი არჩევანს ცნობად და მდიდარ კანდიდატებზე აკეთებს. შედეგად კი ვიღებთ ისეთ ხელისუფალთ, რომლებიც არად დაგიდევენ ერისა და ქვეყნის ინტერესებს, ოღონდაც კი მათი ხელისუფლებაში ყოფნა მხარდაჭერილი იყოს რუსეთის, დასავლეთისა და ევროპის სახელმწიფო მეთაურთა მიერ. თუ ჩვენს ისტორიულ წარსულში თურქეთის, სპარსეთის, რუსეთის და ათასი ჯურის აგრესორ-დამპყრობელთა შემოსევებისაგან ბრძოლით გვიწევდა ჩვენი ტერიტორიების დაცვა, ახლა ჩვენვე ვირჩევთ ისეთ ხელისუფალთ, რომლებიც მზად არიან ასიათასობით უცხო ტომელი და ურჯულო ჩამოასახლონ ჩვენს მიწებზე, აუშენონ მათ საკუთარი სალოცავები, მიჰყიდონ ტყეები და ბუნებრივი რესურსები და გამრავლებისა და განვითარების ყოველგვარი შესაძლებლობები შეუქმნან. მაშინ, როდესაც საქართველოს დაკარგული აქვს ტერიტორიები და ჰყავს ასიათასობით დევნილი, რომელთა ყოფა გაუსაძლისია, ორ მილიონამდე სამუშაოს მაძიებელი ქართველი გასულია საქართველოდან, ხოლო დარჩენილთა 80% უკიდურეს სიღატაკეში ცხოვრობს.

ივანიშვილის მთავრობის საგარეო კურსმა, 4 თვის განმავლობაში ბევრად გადააჭარბა შევარდნაძე-სააკაშვილის 13-9 წლიანი მმართველობის შედეგებს უცხო ტომელების შემოსახლების რაოდენობითა და ტემპით. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ყოველმხრივ მორღვეულია საქართველოს საზღვრები და ქვეყანას პატრონი არა ჰყავს, აღარ არსებობს საქართველოს სახელმწიფოს მცველი ხელისუფლება. ივანიშვილის მიერ დაკომპლექტებული პარლამენტი, რეალურად ივანიშვილის ჯიბის პარლამენტია, რომლებსაც ივანიშვილმა დაუნიშნა მაღალი ხელფასები და საკუთარ ნებას დაუმორჩილა ისინი, ასევე მთავრობაც.

19 აპრილს რა თავდაცვითი და რა რევანშისტული აქტიც არ უნდა განახორციელონ ორივე სახელისუფლო ძალამ, არც ერთის ქმედება არ იქნება ხალხისა და სახელმწიფოს ინტერესებისკენ მიმართული. უახლოეს მომავალში ხალხს მოუწევს თავად გადაწყვიტოს საკუთარი თავისა და ქვეყნის ბედიც. ხალხმა უნდა განდევნოს ორივე ხელისუფალი.



საქართველოს
ზვიად განმათავისუფლებლის პარტია
ZVIAD LIBERATOR’S PARTY OF THE GEORGIA
თბილისი, 380005, ლეონიძის ქ. 8 ტელ: 92 36 35; მობილ: 8 51 92 36 55
TBILISI, 380005, LEONIDZE STR. 8 TEL: 92 36 55; Mobil: 8 51 92 36 55

## ზვიად განმათავისუფლებლის პარტიის განცხადება

**საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მაია ფანჯიკიძის განცხადებით, სამინისტრო აპირებს პარლამენტში შევიდეს წინადადებით მიიღონ კანონი ე.წ. თურქი მესხების რეპატრიაციასთან დაკავშირებით, რათა კანონით უზრუნველყონ მათი დაბრუნება. ედუარდ შევარდნაძის მიერ აღებულ ამ ხელმოწერილ ვალდებულებას მტკიცე წინააღმდეგობები ხვდებოდა პატრიოტულად განწყობილი პარლამენტარების მხრიდან (გურამ შარაძე და სხვ.), რის გამოც დღემდე, ვერც ერთმა სახელისუფლო ძალამ ვერ შეძლო ამ ვალდებულების რატიფიცირება.**

**თუ დღევანდელ პარლამენტში აღმოჩნდებიან დეპუტატები, რომლებიც ხმას მისცემენ ამ კანონის მიღებას, ზვიად განმათავისუფლებლის პარტია, თითოეულ მათგანს გამოაცხადებს საქართველოს სახელმწიფოებრიობის მტრად და ქართველი ერის მოღალატედ.**

**მოვუწოდებთ ივანიშვილის მთავრობას მეჩეთების მშენებლობით, მესხეთელი თურქების რეპატრიაციით, 400 000 თურქის ჩამოსახლებით შეწყვიტონ, ჩვენი ისტორიული მტრების მიერ საქართველოს ტერიტორიების „დემოკრატიის, რელიგიური ტოლერანტობისა და ინვესტიციების მოზიდვის“ ყბადაღებული დეკლარირებით მიკუთვნება. წინააღმდეგ შემთხვევაში დავიწყებთ საპროტესტო გამოსვლებს მთავრობის გადაყენების მოთხოვნით.**

*პარტიის თავმჯდომარე*
**ლეილა ცომაია,**
**2013 წლის 28 მარტი.**



# ზვიად გამსახურდია, 9 აპრილი 1991 წელი

*ზვიად გამსახურდიას მიმართვა 1991 წლის 9 აპრილს მთავრობის სასახლის წინ მიტინგზე დამოუკიდებლობის გამოცხადებასთან დაკავშირებით.*

ძვირფასო ძმანო და დანო! დე იყოს ეს დღე დასაწყისი ქართველი ერის კონსოლიდაციისა, ერთ მუშტად შეკვრისა -- შინაური და გარეშე მტრის წინააღმდეგ. ძვირფასო მეგობრებო, დღევანდელი დღე ცრემლნარევი სიხარულის დღეა. მართალია ჩვენ ცრემლი არ შეგვშრობია თვალზე -- 9 აპრილს წამებულთა გლოვა, სამაჩაბლოში წამებულთა გლოვა დღესაც გრძელდება, მაგრამ უფალმა მოგვივლინა ეს დღე ვითარცა დღე ცრემლნარევი სიხარულისა. ასეთი იყო საქართველოს ისტორია, ძვირფასო მეგობრებო. ეს იყო ცრემლნარევი სიხარული, ეს იყო ეკლიანი გზით სვლა ჭეშმარიტებისაკენ, საღვთო სიყვარულისაკენ. საქართველოს გზა ეკლიანი გზაა ქრისტესი, ჯვარცმისა, დაფვლისა და გარდაუვალი აღდგომისა. ამ დღეს დიდი დაფიქრება გვამრთებს, დიდი ურთიერთ სიყვარული, დიდი პატიება, ურთიერთ მიტევება -- რამეთუ არ არს კაცი რომელიც ცხოვნდეს და არა სცოდოს. ამავე დროს, მეგობრებო, ჩვენ უნდა ვიყოთ რეალისტები. მართალია ჩვენ იურიდიულად აღვადგინეთ საქართველოს დამოუკიდებლობა, მაგრამ საქართველოს საბოლოო განთავისუფლებამდე ჯერ შორსაა. გავხედოთ იმ მძიმე გზას რომელიც გველოდება და მოითხოვს ჩვენგან დიდ დარაზმულობას, შრომას, ურთიერთსიყვარულს, ურთიერთგატანას ამ მძიმე გზაზე, ამ ძნელბედობის ჟამს. ძვირფასო მეგობრებო ჩვენმა ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ გამოიღო თავისი ნაყოფი. იგი დაგვირგვინდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენით. ჩვენმა ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ გააერთიანა არა მხოლოდ ქართველი ერი, არამედ საქართველოს არაქართველი მოსახლეობა! ამიერიდან ისინი ჩვენი ძმები არიან, ისინი ჩვენთან არიან, ჩვენთან ერთად იბრძვიან საქართველოს დამოუკიდებლობისათვის და საქართველოს რესპუბლიკა მიიღებს მტკიცე საკანონმდებლო საფუძვლებს ყველა ეროვნების წარმომადგენლობათა შორის ჭეშმარიტი ძმობისა და მეგობრობის შესახებ, -- მათი უფლებრივი გარანტიების შესახებ საქართველოში. პირველ რიგში მეგობრებო, როგორც გამოვაცხადეთ სესიაზე — საქართველო მტკიცე კონსტიტუციურ გარანტიებს მისცემს აფხაზ ხალხს, რომელთან ჩვენი ისტორიული ძმობა საუკუნეთა სიღრმეში იღებს სათავეს. აფხაზთა და ქართველთა სამეფო ერთიანი სახელმწიფო კვლავ აღდგება, ქართველთა და აფხაზთა მეგობრობა დაეფუძნება აფხაზეთის უდიდესი შვილების გიორგი შარვაშიძის, არზაყან ემხვარის და სხვათა მამულიშვილურ, პატრიოტულ გზას და გააერთიანებს ჩვენს მოძმე ერებს. საქართველოში მცხოვრები ყველა ეროვნების წარმომადგენელი, რომელიც იარაღით ხელში არ იბრძოლებს ჩვენს წინააღმდეგ მიიღებს საქართველოს მოქალაქეობას! აი ასეთია მეგობრებო ჩვენი გადაწყვეტილება. დღეიდან საქართველო, მეგობრებო, მიმართავს მსოფლიოს ცივილიზებულ ქვეყნებს რათა დაიმკვიდროს ღირსეული ადგილი მსოფლიოს თავისუფალ ერთა თანამეგობრობაში. ძვირფასო ძმებო და დებო დღევანდელი დღე მოიტანა 9 აპრილს დანთხეულმა სისხლმა. შემთხვევითი როდია, რომ დღევანდელ დღეს გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა. ისინი წინასწარმეტყველნი იყვნენ — მათ წინასწარმეტყველურად დასთხიეს სისხლი აქ, ამ ადგილას, რამე თუ უწყოდნენ, რომ სწორედ აქ გამოცხადდებოდა დამოუკიდებლობა და სწორედ 9 აპრილს! წუთიერი დუმილით პატივი ვცეთ დაღუპულთა ხსოვნას!


რუსული საოკუპაციო ჯარი თსუ-სთან, 1989 წ. 9 აპრილი

# ეროვნული მოძრაობის პირველი მიტინგი ბათუმში

ეროვნული მოძრაობის განახლებისა და აღზევების გარიჟრაჟზე, 1988 წლის 20 ნოემბერს ბათუმში ჩატარდა მიტინგი მართლმადიდებლური ეკლესიის გახსნის მოთხოვნით. მიტინგის ჩატარების თარიღი გამოცხადდა 1988 წლის 12 ნოემბერს იპოდრომზე ჩატარებულ მრავალათასიან მიტინგზე.

საერთოდ, აჭარის ავტონომია ჩვენმა მტრებმა ღია იარად დატოვეს საქართველოს სხეულზე. ეს ავტონომია ხომ „რელიგიური მოტივით" შექმნეს და მისმა შემქნელებმა შორს გამიზნული ბოროტება ჩადეს მასში.

გერმანიაში ძირითადად სამი რელიგიური მიმდინარეობაა, პაპიზმი, ევანგელიზმი და ლუთერანიზმი, ჩრდილოეთ გერმანიის მოსახლეობა უმეტესწილად ლუთერანულია. დიდი რაოდენობით ყოფილან, აგრეთვე ჰუგონეტები- კალვინისტები.

რატომ არ შეიქმნა იქ პოლიტიკურ-ადმინისტრაციული წარმონაქმნი რელიგიური ნიშნით? რაღა, ყველაფერი უბედურება ჩვენ უნდა დაგვატეხონ თავს!

საერთოდ უნდა ითქვას, მართლმადიდებლურმა ქრისტიანობამ მოიცვა ჩვენი ერის სისხლი, ხორცი, გული, გონება და ტვინი. თუ რამე ღირებული, საამაყო და ძვირფასი შეგვიქმნია მატერიალურ-სულიერი კულტურის თვალსაზრისით, მხოლოდ მართლმადიდებლობის მეორხებითა და ბალავარობით. მართლლამდიდებლობის გამოცვლასთან ერთად გვეცვლება ზნე, გვტოვებს ღვთიური ნიჭი და უნარი, და ვრჩებით ჩვეულებრივ მოძრავ-მოლაპარაკე არსებებად.

დავუბრუნდები ჩემს მოგონებებს.

20 ნოემბერს ჩავედით ბათუმში, ეს დღე ჩემი ცხოვრების ერთ-ერთი ულამაზესი ფურცელია.მიტინგი გაიმართა ბათუმის ფეხბურთის სტადიონზე. შეკრება გახსნა ცხონებულმა ნოდარ იმნაძემ. ზვიადისა და მერაბის გამოსვლა ხომ სასწაული იყო! ბუბუნებდა ორი ბერმუხა, სამშობლოს გადასარჩენად მოუწოდებდა სრულიად საქართველოს ძირძველი ქართული მიწიდან! იმ მიწიდან, რომელსაც პირველად ფეხი დაადგეს იესოს მოციქულებმა.

მე თუ მკითხავთ, უფალმა სწორედ ბათუმიდან ინება ჩვენი ეროვნული სულის აღზევება და კათარზისი, რომელიც აღარ დაგვაცალეს ეშმას მოციქულებმა.

სიტყვით გამოდიოდნენ სრულიად საქართველოს წარმომადგენლები. გამოსვლა მთხოვეს მეც, დავიწყე ჭოჭმანი, ჩემი სათქმელი აღარაფერი იყო დარჩენილი, შემეშინდა კიდეც, ვაი, თუ ვერ შევძლო-მეთქი. მაინც არ დამანება თავი ნოდარ იმნაძემ. დაბალი ხმით დავიწყე, ორიოდე წინადადების მერე კი „ ხმამაღლაო", ამომძახეს და მეც გავბედე, სათქმელი მოკლედ ვთქვი და „აკრძალული" ლექსით დავამთავრე. გულთბილად მიმიღო ბათუმელებმა. იმ დღეს ბევრმა აჭარელმა გამოთქვა სურვილი დედა ეკლესიაში დაბრუნებისა, ენით უთქმელია იმ წუთების განცდა.

სხვათა შორის, მოგვიანებით თბილისის სუკის შენობაში ეროვნული ძალების შესვლისას, ერთ-ერთ ოთახში ვნახე იმ მიტინგზე გამოსულთა წერილობითი ტექსტები.

მიტინგის დასასრულს ქალაქის ცენტრისკენ გასასვლელი გზები ავტობუსებითა და პოლიციელებით იყო ჩახერგილი. არ გვიშვებდნენ, უცბად მოვიფიქრე, რომ ავტობუსის ქვეშ გავმძვრალიყავი და კიდეც გავძვერი, სხვებმაც მომბაძეს. ასე გამოვაღწიეთ „კორდონს" და ზღვის სანაპიროთი ამოვედით ქალაქში. შემდეგ ამ ამბავს იუმორით იხსენებდა ბატონი ზვიადი.

ქალაქის საბჭოს შენობასთან შევიკრიბეთ, ქალაქის მესვეურებს მისცეს ორი კვირის ვადა საკითთხის



გადასაჭრელად და მომდევნო მიტინგი დაინიშნა 1988 წლის 3 დეკემბერს.

ბათუმის 1988 წლის 20 დეკემბრის მიტინგის კადრებს კომუნისტური ტელევიზია წაღმა- უკუღმა ატრიალებდა. წითელი ინტელიგენცია გულს იოხებდა ეროვნული მოძრაობის, „არაფორმალური" (მაშინ ასე მოგვიხსენიებდნენ) ორგანიზაციების განქიქებით, წითელი ინტელიგენტები ერთმანეთს ეცილებოდნენ ზვიადისა და მერაბის ლანძღვასა და ცილისწამებაში. არადა, ისინი დღესაც სისინებენ – „გამსახურდია ინტელიგენციას დაუპირისპირად"-ო.

სულმოუთქმელად ველოდი ამ დღეს, მაგრამ 3 დეკემბერს ინსტიტუტში, ლექციებზე ყოფნისას მოვიდნენ ქალაქის პროკურატურიდან და გამიყვანეს ლექციიდან, მიმიყვანეს პროკურატურაში, დამიწყეს ახსნა-განმარტებები, თუ რატომ არ უნდა წავსულიყავი ბათუმში, მარიგებდნენ: ახალგაზრდა ხარ და კარიერის გზებს ნუ იჭრიო, კაი ხანი იქაქანეს, არა და უკვე კარგა ხნის დაღამებული იყო (საღამოს განყოფილებაზე ვსწავლობდი), ვღელავდი, ვაი თუ გამასწროს მატარებელმა-თქო; როგორც იქნა დაამთავრეს აგიტაცია. პროკურორმა გამომიწოდა ოქმი და მითხრა ხელი მოაწერეო. ეს რა არის-მეთქი. ეს ოქმი შევადგინე, რომ გაგესაუბრე და ხელი უნდა მოაწერო და ბათუმში არ წახვიდეო. მე უარი განვუცხადე ხელის მოწერაზე, რა აზრი აქვს, მაინც წავალ-მეთქი. მაშინ პროკურორმა ოქმს მიაწერა, ხელს არ აწერსო და გამომიშვა. დრო გარბოდა, მატარებელს ველარ ვუსწრებდი, გავვარდი ინსტიტუტში, თანაკურსელებს ფული გამოვართვი ტაქსისა და „გაუთვალისწინებელი ხარჯებისათვის". გავქანდი სადგურ რიონში. მატარებელმა რამოდენიმე საათით დაიგვიანა. თბილისში დაუყოვნებიათ და ხალხს პასპორტებით უშვებდნენ ვაგონებში. მიუხედავად ამისა, მაინც საკმაოდ ბევრი ხალხი გამოჰყოლია. ავედი თუ არა მატარებელში წამსვე თანამებრძოლებს დავუწყე ძებნა. დავინახე ერთი, ორი, სამი... ხუთი... ათი. ყველა თვალს მარიდებს, ვერაფერს მიხვდი. ერთს მივეჭერი ჯიქურ, მაგრამ მანიშნა – დადუმდიო, ახლა კი მივხვდი, რაღაცაში იყო საქმე. ჩავაღწიეთ ჩაქვის სადგურამდის. ვხედავთ, სადგური გადავსებულია მილიციელებითა და ხალხით. ამოვიდნენ ვაგონებში და „გონივრულად საეჭვო" პირებს დაუწყეს მატარებლიდან ჩამოსმა. ატეხა ვაგონის გამცილებელმა ერთი ამბავი, ამ მგზავრებს არაფერი დაუშავებიათ და სად მიგყავთო, შეუღრინეს მილიციელებმა, მაგრამ ისეთი გულადი ქალბატონი აღმოჩნდა, რომ არ დარჩენილა ვალში. ამ დროს წაიყვანეს ჩემი „პლაცკარტიდან" ორი, ახლა მე ავტეხე ალიაქოთი, მტაცეს ხელი და ციმ-ციმ ჩამომსვეს ბაქანზე. შეგვყარეს ერთად „არაფორმალები" და ამ დროს მოხდა ყველაზე საშინელი – რაიონებიდან ჩამოყვანილი ჰყავდათ მუსულმანი მოსახლეობა, წააქეზეს – აი, ამათ უნდათ თქვენი გაქრისტიანებაო. მოგვისიეს, უმოწყალოდ დაგვიწყეს ცემა და ლანძღვა-გინება. დედ-მამის სულს ვფიცავ, თუ იმ დროს რაიმე სუძულვილის გრძნობა გამჩენოდა, პირიქით სიყვარულისა და სინანულის, სიბრალულის უსაშველო გრძნობით აღვივსე მათ მიმართ. მეცოდებოდნენ საუკუნეობით ნატანჯი და იმ დღისით მოტყუებული ჩემი ძმები, ჩემი სისხლი და ხორცი. ბევრსაც დაგვადინეს სისხლი, მაგრამ ეს სისხლიც საჭირო იყო, ალბათ სამშობლოსათვის გასაღებად.

შემდეგ წაგვასხეს ჩაქვის კულტურის სახლის შენობაში. იქაც მოინდომეს აგიტაცია-პროპაგანდის ჩატარება, მაგრამ ვინ დაანება, იქით ჩავუტარეთ არასანქცირებული მიტინგი.

ვართ ამ დღეში და

დასასრული მე-4 გვ.

# ენობრივი პოლიტიკის შუქ-ჩრდილები საინფორმაციო ომისა და საქართველოს უსაფრთხოების კონცეფციის კონტექსტში



მოცემული საზოგადოების ენისა და მოცემული პიროვნების ენობრივი უფლებების დასაცავად XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში ევროპაში გამოიკვეთა საერთაშორისო ორგანიზაციების ორი მიზანი:

– ისტორიული/ავტოქთონი/, მაგრამ ქვეყნის არაძირითადი მოსახლეობის – უმცირესობის – ენის, როგორც ისტორიული კულტურული მემკვიდრეობის, გადარჩენა-განვითარება;

— ქვეყნის არაძირითადი და არაავტოქთონი მოსახლეობის წარმომადგენელთა ენობრივი უფლების დაცვა.

კერძოდ, 1992 წლის 5 ნოემბერს ევროსაბჭომ სტრასბურგში გამოაქვეყნა «ევროპული ქარტია რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ», რომლის მიზანია ისტორიული/ავტოქთონი უმცირესობის ენის, როგორც იდენტობის განმსაზღვრელი კულტურული ფენომენის დაცვა.

1992 წლის 18 დეკემბრის №47/135 რეზოლუციით კი გაერომ მიიღო დეკლარაცია:»ეროვნულ ან ეთნიკურ, რელიგიურ და ენობრივ უმცირესობათა უფლებები“. გაეროს დეკლარაციის საფუძველზე, 1995 წელს ევროსაბჭომ მიიღო «ჩარჩო კონვენცია ეროვნულ უმცირესობათა შესახებ» (სტრასბურგი; 01.11.1995). „ჩარჩო კონვენციის“ მიზანია არაძირითადი მოსახლეობის ეროვნული (ეთნიკური) უმცირესობის — ენობრივი უფლებების განსაზღვრა და დაცვა.

### რა არსებითი სხვაობაა ამ ორ დოკუმენტს შორის?

«რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ ევროპული ქარტიის» (შემოკლებით: „ენის ქარტიის“) მიზანია ევროპაში ისტორიულად გავრცელებული რეგიონული ან უმცირესობის ენების დაცვა, რომელთაგან ზოგს გაქრობა ემუქრება... „ენის ქარტიის“ დებულებები მოიცავს მხოლოდ ისტორიულ ენებს, ანუ იმ ენებს, რომლებიც დიდი ხანია გავრცელებულია მოცემული სახელმწიფოს ტერიტორიაზე“ „the charter covers only historical languages, that is to say languages which have been spoken over a long period in the state in question“ (31-ე განმარტება).

საფრთხის ქვეშ მყოფი უმცირესობის ენის გადარჩენის მიზნით, „ენის ქარტია“ ითხოვს, ამ ენაზე შემოღებულ იქნას სასკოლო და უმაღლესი განათლება, საქმისწარმოება...

„ენის ქარტიის“ განმარტებით მოხსენებაში ხაზგასმით წერია: «ქარტია» არ ადგენს რეგიონულ თუ უმცირესობის ენებზე მოლაპარაკეთა ინდივიდუალურ თუ კოლექტიურ უფლებებს (მე-10-11 განმარტებანი). მაშაშადამე, „ენის ქარტია“ ორიენტირებულია, ენის, როგორც კულტურული ფენომენის დაცვაზე. იხ. ასევე, „ენის «ქარტიის» პრეამბულა: ევროპის ისტორიული რეგიონული თუ უმცირესობის ენების დაცვა, რომელთაგანაც ზოგიერთს საბოლოო გაქრობა ემუქრება, ხელს უწყობს ევროპის კულტურული სიმდიდრისა და ტრადიციების შენარჩუნება-განვითარებას».

როგორც ვხედავთ, „ენის ქარტიის“ მიზანი ძალიან კეთილშობილურია.

მეორე დოკუმენტი: 1995 წელს მიღებული „ჩარჩო კონვენცია“ განსაზღვრავს და იცავს ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელთა ინდივიდუალურ უფლებებს, მათ შორის ენობრივ უფლებებსაც.

შდრ.: „უმცირესობათა უფლებები თავისი ბუნებით არ არის ჯგუფური უფლებები“ /ბორის სილევიჩსი, ჩარჩო ხელშეკრულება ევროპის საბჭოს კონტექსტში», ჩარჩოს შევსება, დოკუმენტების კრებული, 2004, გვ. 18/.

აქვე აღვნიშნავ, რომ ეთნიკური უმცირესობების ენობრივი უფლებები დაცულია ყველა ნორმალური სახელმწიფოს კონსტიტუციითა და შიდა კანონმდებლობის სხვა სამართლებრივი დოკუმენტებით; ასევე: «ეროვნულ ან ეთნიკურ, რელიგიურ და ენობრივ უმცირესობათა უფლებების გაეროს დეკლარაციით“; გარდა ამისა, ეთნიკური უმცირესობების ენობრივი და სხვა უფლებების დასაცავად შეიქმნა:

—ოსლოს რეკომენდაციები ეროვნულ უმცირესობათა ენობრივ უფლებებთან დაკავშირებით და განმარტებითი ბარათი; თებერვალი, 1998 წელი (ეხება ეთნიკური უმცირესობების ენობრივ უფლებებს: ადგენს,

როგორ, რა ფორმით და სად შეიძლება ეროვნული/ეთნიკური უმცირესობების ენების გამოყენება) http://www.diversity.ge/files/files/oslo-geo.pdf.

— ლუნდის რეკომენდაციები საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ეროვნული უმცირესობების ქმედით მონაწილეობასთან დაკავშირებით და განმარტებითი ბარათი; სექტემბერი, 1999:

http://www.diversity.ge/files/files/lund-geo.pdf http://conventions.coe.int/Treaty/Commun/QueVoulezVous.asp?NT=157&CM=8&DF=12 /15/2008&CL=ENG;

— ევროსაბჭოს «ჩარჩო კონვენცია ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ“ და სხვ.

მეორე დოკუმენტს — „ჩარჩო კონვენციას“ ყველა ქვეყანა მიუერთდა, მაგრამ ვნებათაღელვა გამოიწვია პირველმა დოკუმენტმა — „ენის ქარტიამ“, რამდენადაც ეს უკანასკნელი გარკვეულ რისკებს შეიცავს; კერძოდ: — მასობრივად ჩამოსახლებული მიგრანტების ენისთვის მოცემულ რეგიონში განათლებისა და საქმისწარმოების ენის სტატუსის მინიჭებით, შეიძლება შეიზღუდოს სახელმწიფო ენის ფუნქციონირება; არის ალბათობა, მიგრანტ ენობრივ საზოგადოებას გაუჩნდეს ავტოქტონი /ძირძველი/ მოსახლეობის უფლებრივი ინტერესების განხორციელება.

— სახელმწიფო ენის რომელიმე განშტოების უმცირესობის ენად გამოცხადებით გაიზრდება რისკები მოცემული ეთნოსის/ერის დეზინტეგრაციისა და სეპარატიზმისა.

აღნიშნული საფრთხეების გამო ევროპის სახელმწიფოთა ნაწილი არ მიუერთდა „ენის ქარტიას“; კერძოდ:

• 2012 წლის მონაცემებით, ევროსაბჭოს წევრი 48 ქვეყნიდან 24 სახელმწიფომა მოახდინა «რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ ევროპული ქარტიის» რატიფიკაცია (სომხეთი, გერმანია, ფინეთი, რუმინეთი, ესპანეთი, შვედეთი, უკრაინა, დიდი ბრიტანეთი, პოლონეთი...);

• 9 სახელმწიფომ მხოლოდ ხელი მოაწერა ამ დოკუმენტს (აზერბაიჯანი, საფრანგეთი, იტალია, რუსეთი...); ამათგან, აზერბაიჯანი აცხადებს, რომ რატიფიცირებას არ მოახდენს მანამ, სანამ მისი ტერიტორია ოკუპირებულია:

Azerbaijan: The Republic of Azerbaijan declares that it is unable to guarantee the application of the provisions of the Charter in the territories occupied by the Republic of Armenia until these territories are liberated from that occupation.

15 სახელმწიფოს თავისი პოზიცია საერთოდ არ ჩამოუყალიბებია (საქართველო, თურქეთი, საბერძნეთი, ლიტვა, ესტონეთი, ბელგია, ლატვია, პორტუგალია...).

http://conventions.coe.int/Treaty/Commun/ListeDeclarations.asp?NT=148&CM=8&DF=23/01/05&CL=ENG&VL=1

აქვე კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ „ენის ქარტია“ დიდებული დოკუმენტია, რადგან ის, ერთი მხრივ, იცავს საფრთხის ქვეშ მყოფი ისტორიული ეთნიკური უმცირესობის ენას, მაგ., ესპანეთში ბასკების ენას; მეორე მხრივ, „ენის ქარტიის“ მამებმა გაითვალისწინეს სეპარატიზმისა და თავსმოხვეული კონფლიქტების რისკები და „ენის ქარტიაში“ ჩაწერეს რამდენიმე არსებითი სხვა პუნქტიც; კერძოდ:

1. „ენის ქარტია“ არ მოიცავს მიგრანტთა ენებს» (მუხლი I, ა, II), და, შესაბამისად, „ენის ქარტიის» მიზანი არ არის უმცირესობის ენობრივი უფლებების ჩამოყალიბება.

აქვე კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ საერთაშორისო თანამეგობრობამ საჭიროდ ჩათვალა, საკანონმდებლო აქტების დონეზე ერთმანეთისგან მკვეთრად გაემიჯნა ისტორიული (ავტოქთონი) ეთნიკური უმცირესობის ენის დაცვის აუცილებლობა და არაავტოქთონი უმცირესობების წარმომადგენელთა ინდივიდუალური ენობრივი უფლებების დაცვის საჭიროება. ამის შესახებ, მაგ., ექსპერტი ასბორნ ეიდი წერს: «გაეროს სისტემაში ნათელი განსხვავებაა ჩამოყალიბებული ისტორიული (აბორიგენი) უმცირესობების უფლებებსა და იმ პირთა უფლებებს შორის, რომლებიც უმცირესობებს მიეკუთვნებიან“ /»კომენტარები: გლობალური და რეგიონული მიდგომები უმცირესობების სიტუაციებთან», ჩარჩოს შევსება, დოკუმენტების კრებული, 2004, გვ. 47/.

2. „ენის ქარტია“ არ მოიცავს სახელმწიფო ენას, მის ადგილობრივ სახესვაობებსა და დიალექტებს; ამ ქარტიით ნაგულისხმევი „ენები უნდა მკაფიოდ განსხვავდებოდეს იმ ენის ან ენებისაგან, რომელზეც სახელმწიფოში მცხოვრები დანარჩენი მოსახლეობა საუბრობს. ქარტიის დებულებები არ ეხება ერთი ენის ადგილობრივ სახესხვაობებსა თუ დიალექტებს, თუმცა ქარტია არ განსაზღვრავს თუ რა შემთხვევაში შეიძლება გამოხატვის ესა თუ ის ფორმა ჩაითვალოს ცალკე ენად. (32-ე განმარტება). These languages must clearly differ from the other language or languages spoken by the remainder of the population of the state. The charter does not concern local variants or different dialects of one and the same language. However, it does not pronounce on the often disputed question of the point at which different forms of expression constitute separate languages (32).

3. ქარტია არ განსაზღვრავს თუ რა შემთხვევაში შეიძლება გამოხატვის ესა თუ ის ფორმა ჩაითვალოს ცალკე ენად; კერძოდ, „ენის ქარტიაში“ ხაზგასმით წერია: „ენისა და კილოს სადავო საკითხის გადაჭრა დამოკიდებულია არა მხოლოდ წმინდა ლინგვისტურ მოსაზრებებზე, არამედ სხვადასხვა ფსიქო-სოციოლოგიურ და პოლიტიკურ ფაქტორებზე, რომლებიც ყოველ ცალკეულ შემთხვევაში განსხვავებულ პასუხს შეიძლება იძლეოდეს.

აქედან გამომდინარე, ამ საკითხის განსაზღვრისას ქარტია პრეროგატივას ანიჭებს ქვეყნის ხელისუფლებას, რომელმაც დემოკრატიულ პრინციპების გათვალისწინებით თავად უნდა განსაზღვროს ის კრიტერიუმები, რომლებზე დაყრდნობითაც ამ ქვეყნის ტერიტორიაზე გავრცელებულ ამა თუ იმ მეტყველებას მიენიჭება დამოუკიდებელი ენის სტა-

გაგრძელება გვ. 6

დასაწყისი გვ. 3

შემოვიდნენ საქართველოს საშიშროების (უშიშროება რომ ერქვა) თანამშრომლები. დამიძახეს მე, მთხოვეს გავყოლოდი. ატყდა ერთი ალიაქოთი, მაგრამ მათთან რას გახდებოდნენ, ჩამსვეს მსუბუქ მანქანაში, იყო სიტყვიერი შეურაცხყოფები, დაბრუნებულ პასუხს წათაქუნებაც მოჰყვა. მაგრამ ერთი მომენტი კი მართლაც შევშინდი, გააჩერეს ზღვის პირას მანქანა და ამოიღო ერთმა იარაღი, მეუბნება დაგახლი ახლა ერთ ტყვიას და გადაგაგდებ ზღვაში, თევზებს გავახარებო. წარმოვიდგინე, უცხედროდ როგორ დამიტირებდა ჩემი პატრონი. შემდეგ მოაბრუნეს მანქანა და მიმიყვანეს კულტურის სახლის შენობასთან. ამ დროს ჩვენებს შიმშილობა გამოუცხადებიათ ჩემი დაბრუნების მოთხოვნით. გადმოვედი მანქანიდან და შევერიე მათ. სად წაგიყვანესო, მეკითხებოდნენ, ზღვის პეიზაჟით დასატკბობად-მეთქი. იქნებ ეს ჩემი მოგონება კიდეც წაიკითხოს რომელიმე მათგანმა. ძმანო, მიპატიებია ყოველივე, მიპატიებია იმ ჩემი აჭარელი სისხლ-და ხორცისთვის ყოველივე, რამე თუ არ იცოდით რასა იქმოდით!

მერე მოიყვანეს ავტობუსები, ჩაგვსხეს შიგ და ასე დავტოვეთ აჭარა. ავტობუსში გამცილებლებად ჩვენი ქალაქებიდან ჩაყვანილი მილიციელები გამოგვაყოლეს. არც ერთ მათგანს რაიმე შეურაცხყოფა არ მოუყენებიათ, პირიქით, თანაგრძნობით გვისმენდნენ და მეგობრულად დავშორდით ერთმანეთს.

ეს ყველაფერი იმიტომ მოგითხრეთ, რომ პარალელი გამევლო დღევანდელ ვითარებასთან. მაშინ მართლმადიდებლური ეკლესიის გახსნას ვითხოვდით ძირძველ ქართულ მიწაზე და რა დღე დაგვაყარეს, და ახლა ისევ უნდათ წარსულ ჯოჯოხეთში მიგვაბრუნონ, ალმართონ თურქული მეჩეთი ყოველგვარი წინააღმდეგობისა და ვნებათღელვის გარეშე.

ქართულმა საზოგადოებამ არ უნდა დაუშვას თურქეთის ბრძანებით საქართველოში მეჩეთების მშენებლობა, თორემ თუ ერთი გაუვიდათ, მერე ყოველ ბორცვზე მეჩეთი და მინარეტი ამოვა სოკოებივით.

**ალექსანდრე სანდუხაძე**

# ჭაბუა ამირეჯიბის ბერად შედგომის საჭიროება

ეროვნული მოძრაობის ცოცხლად დასამარების კონტექსტში ჭაბუა ამირეჯიბზე მინდა ვთქვა ის, რაც მასზე არვისგან თქმულა აქამდე.

უბედურებაა, რომ ჭაბუა ამირეჯიბის სახელის მისტიფიცირება წლობით მიმდინარეობს. ამას ხელს უწყობს ის, რომ იგი ოპოზიციონერია. ამირეჯიბი პოლიტიკის უმეცარი იყო და ასეთადვე რჩება. განზრახ დავიწყებულ იქნა, თუ რა გზით უვლია მას უახლოეს წარსულში. მისი მისტიფიცირების მიზეზი ისაა, რომ ქართველთ არ ჰყავთ გამოსაჩენი უმწიკვლო ერისკაცი, ეროვნული იდეის მებოძირი მხცოვანი მამრი, ერის ბელადი. ამიტომ მიაჩემეს ამირეჯიბს ერისკაცობა და ბელადობა. ბევრი ფიქრი არ უნდა იმას, თუ რა სიტყვების ნიაღვარი გადაევლება თავს ქვეყანას მისი სიკვდილის შემდეგ, თუ რა სიცრუის მორევი დატრიალდება ჟურნალ- გაზეთებში. ჯერ კიდევ ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობიდან დაიწყო ათიათასობით უმეცარი ქართველის, ერთი დღის კაცების ენით მრუშობა და სიტყვის მაბოზარობა. მათი თემი კიდევ ბევრდება.

ბერად შედგა ამირეჯიბი, მაგრამ თუ ბერად შედექი, რაღას კომენტარობ გაზეთებში? რა გინდა სააკაშვილისგან? თუ პოლიტიკური ბრძოლის გაძღოლა გწყურის, გამოდი, დაიძახე ის სიტყვა, რის დაძახებასაც ყველანი თოფნაკრავივით გაურბიხართ. თქვით, რომ გაგვავერანა ქართველები დიდიდან მცირემდე კაპიტალიზმმა, ყათლანი დაგვმართა, ოხრება გვიყო, გაგვცალა და უარესი კიდევ წინაა.

ეს არვინ მყვედროს, რომ სახელიან მოხუცს შენობით ვეუბნები. ბერთან და ღვთისმსახურთან შენობით ლაპარაკობენ. საყდრის მოძღვართან ვერ იუბნებ თქვენობით და ბატონობით. მღვდელს, თუ მართლა გულით ესავ მაცხოვარს, შენობით უნდა ეუბნო. ეს მისთვის პატივია და არა უკმეხობის გამოვლენა. ეს მისთვის სულობის ურიოშობის, ალალი სიტყვისგების ნიშანია და არა პირობითობისა, როცა მავანნი ერთურთს თქვენობითა და ბატონობით მიმართავენ. ეს თქვენობითობა სიცრუისა და გაპარვისთვის შესაძლებლობის დატოვებაა. ქრისტესმიერ ძმას შენობით ეუბნები. ქრისტეს მესავი ქრისტეს მესავს ეშენება, ეშენობითება. ასევეა იუდაიზმში. მარტინ ბუბერის ფილოსოფია Ich und Du (მე და შენ) ამ საკითხს უტრიალებს. ბიბლია ამას ისწავლება. მითხრას ვინმემ, რომ ასე არაა. ეს პოეტურად ასე გამოთქვა მუხრან მაჭავარიანმა:

„ უფრო სიხარულობს ჩემი სიხარული,
შენ რომ იზიარებ, ის რომ იზიარებს.
თითქოს სიხარულობს ჩემი მწუხარებაც,
შენ რომ იზიარებ, ის რომ იზიარებს! „

საზოგადოებრივი მორალის ამ წესის საყოველთაობათქვენობით ლაპარაკი, კვლავ და კვლავ ადასტურებს იმას, რომ კაცთა ბევრეული ნამდვილობისთვის უძლურია. ადასტურებს იმას, რომ კაცთა დაყოფა ეგზოთერისტებად და ეზოთერისტებად, მომდინარე პითაგორადან, ჰერაკლიტედან, პლატონიდან, არისტოტელედან, თორას წინასწარმეტყველთაგან, შემდეგ ქრისტედან და მის მოციქულთაგან, არის მარადიული დანაწესი. ისეთი ბანალური რამ, როგორიც გაზეთია, ადასტურებს ამ წესს, იმის მიუხედავად, რომ გაზეთი სწორედ ამის დასამალადაა მოგონილი. ეს მაინც არის ამ ქვეყანაზე, რომ ბიბლია დაიწერა და მისი პროფანაცია მოხდა საქართველოში ლიბერალ-დემოკრატიის სახელით. თუ ჩვენობით რაიმე ითქმება, უპირველესად უნდა დაისვას კითხვა: რატომ ვართ ყველა დროში ასე უბედურნი? აზროვნებამ თავიდანვე უნდა უკუაგდოს პოლიტკორექტულობად წოდებული ეს აკადემიზებული ლაქიობა. არა, ჭერი თავზე გენგრეოდეს და სულ იტყლარჭებოდე?

ამირეჯიბთან შინ მიდიან და მიდიან ჟურნალისტები. ეს გრძელდება წლობით. ზიზღს მოგგვრის მათი დრამატიზმი, კუთვითი ფრაზების შედგენა და სააკაშვილისგან ტანჯულ მოსაუბრეებად თავის გამოჩენა. ილიას ნაცვალად ასაღა ჩიტირეკია და ქლესა ქართველმა ჟურნალისტმა ჭაბუა ამირეჯიბი. ყველა ის რედაქტორი უნდა მოითხაროს, ვისაც ჭაბუა ამირეჯიბის გამო ასეთი მაიმუნობა აუტეხია. რაობით კილავს ამირეჯიბი სააკაშვილს? ეროვნული პოზიციიდან თუ კილავს იგი სააკაშვილს, ეს არაა სარწმუნო. ამირეჯიბი სააკაშვილს შევარდნაძის პოზიციიდან ამხელს. აი, ესაა საქმის არსი. ვინც მის შემდეგ მოვა, ის ამირეჯიბის გულის გასაწყო იქნება? ყუნყულა გოგო-ბიჭებს მოძღვრავს ამირეჯიბი, თუ როგორ ებრძოლონ სააკაშვილს. კიდევ ერთი შეთქმულება მზადდება ქართველთა მოსაღორებლად, კიდევ ერთი სატყუში დაიგება ქართველის ფერხთა საბორკად და ღვთის სახელით მის ქებას შეუდგება ათასობით ბრიყვი. სალახანების ახალი წყება მოვა. კიდევ ერთხელ გაწირავენ ქართველნი ქართველთ. ისევ თახსირობა იკურთხება ეკლესიის მიერ.

თან იმტკიცებიან, რომ მწერალი არ უნდა ერეოდეს პოლიტიკაში, რადგან ეს საბჭოთა ტოტალიტარიზმის რეციდივია. რა არ თქვეს საამისოდ გაზეთებმა. თან ის სურთ, რომ ჭაბუა ამირეჯიბი მეორე ილიად, ილიას პირდაპირ მემკვიდრედ გამოაჩინონ, რომელსაც ქართლის საკურნავი მალამო შეუმზადებია.

ჭაბუა ამირეჯიბის გაზეთმა „განახლებულმა ივერიამ“ გასული საუკუნის მიწურულს, 90-იან წლებში, ვერ შეასრულა ის მისია, რასაც ილიას გამოცემული „ივერია“ ასრულებდა. ამირეჯიბის გამოცემული „ივერია“ იყო შევარდნაძის მოდასე, კრულვით სახსენებელი, ქართველების გამაბოზებელი „მოქალაქეთა კავშირის“ გაზეთი და ის გამოიცა ეროვნული მოძრაობის დამსამარებლის, უკვე სრულად გამოაშკარავებული შევარდნაძის გამართლებისათვის. 1999 წელი ის დრო იყო, როდესაც არჩევნებისათვის ათასობით ქართველი „მოქალაქეთა კავშირში“ რიხითა და სიცილით შევიდა. 1992 წელს თუ ვერ ხედავდნენ რა იყო შევარდნაძე და მისი პარტია, 1999-ში ხომ დაინახეს და მაინც იქ მივიდნენ. ამ გაზეთის 1999 წლის ოქტომბრის მესამე ნომერში ჭაბუა ამირეჯიბი წერს: „მოქალაქეთა კავშირმა ოთხ წელიწადში შეძლო ის, რასაც ევროპამ მარშალის გეგმისა და სხვა ასეულ მილიარდიანი ინექციების წყალობით ოცი და მეტი წელიწადი მოანდომა…“


ბერობაშიც კარტის მოყვარული ჭაბუა

თვალი დაიბრმავა ამირეჯიბმა, რომ შევარდნაძის ვექილად დამდგარიყო. მისი ნამსჯელი მეზღაპრეობაა. ოთხ წელიწადში როგორ შეძლო შევარდნაძემ ის, რასაც ევროპამ, ამირეჯიბის თქმით, ოცი და მეტი წელი მოანდომა? რა, აღაშენა ამ წლებში შევარდნაძემ ქვეყანა? ეს სურს თქვას ამირეჯიბმა. მან გაძარცვა ქვეყანა, ამოწყვიტა და გააქცია ათასობით ქართველი. ომები წააგო და ჩაფარცხა ყველაფერი. მან მოსპო ზნეობის საწყისიც კი, რაც უდავოდ იყო კომუნისტების დროს. ეს იყო კაცთმოძულეობის, ისტერიისა და სადისტობის წლები. არას ხედავდა ამირეჯიბი? ზვიადის სისხლი, ცოდვის სიმძიმე და შიში ალაპარაკებდა ასე ამირეჯიბს. ასეთი ჭკვიანი იყო შევარდნაძე, რომ ევროპის მიერ ოცწლედში გავლილი გზა მან ოთხ წელში მოილია? აქვე ის აგრძელებს სიტყვას: „დარწმუნებული ვართ, ბატონი ედუარდ შევარდნაძის პარტია მომავალ არჩევნებშიც გაიმარჯვებს, ყველა დაბრკოლებას დასძლევს და სრული კეთილდღეობის გზაზე გაიყვანს საქართველოს.“

ვაი ნათქვამს და ვაი მთქმელს. ჭაბუა ამირეჯიბს თავისი გაზეთის გამოცემის ჟამს რომ გააზრებული ჰქონოდა ილიას შეუძლებლობა ახლანდელ საქართველოში, ამ გაზეთს „ივერიას“ არ დაარქმევდა. ამირეჯიბის ეს გაზეთი იყო კიდევ ერთი მორიალე მოჩვენება ილიას სახელის გარშემო. ილიას სახელს აცრუებს ამირეჯიბი, როდესაც ის თავის გაზეთს „ივერიას“ უწოდებს და მისი გამოცემის მიზნად შევარდნაძის ქებას ისახავს. ამირეჯიბმა აქ ისე წარმოაჩინა, რომ შევარდნაძე და მისი დასია ილიას გზის გამგრძელებელი. ილიას სახელი ლიბერტარიზმს (საბაზრო ექსტრემიზმს) მიება. თითქოს ეს უნდოდა ილიას. არასოდეს ეპატიება ეს თითლიბაზობა „დათა თუთაშხიას“ დამწერს. ეს დანაშაული იყო. რას ივერიობდა ამირეჯიბი? რას ირწმუნებოდა? მას ყური მოუკრავს მარშალის გეგმისათვის და საშევარდნაძეოდ მისი მბობა დაუწყია. მარშალის გეგმაზე მითითება ანტისაბჭოელ დისიდენტებთან იყო დასავლეთის ზნეობრივი პოლიტიკის უდავო დადასტურება. მათი თქმით, საბჭოთა კავშირი ათეისტურ-ტოტალიტარული რომ არ ყოფილიყო, მარშალის გეგმაში მასაც ჩასვამდნენ. მიზეზი კი სულ სხვა რამ იყო, რისი ხსენებაც დისიდენტებს ჯიუტად არ სურდათ. ჭაბუა ამირეჯიბი სხვა ქართველ მწერლებთან ერთად დღემდე განამტკიცებს იმ ილუზიას, რომ საქართველო ევროპის ნაწილია. ამ ილუზიის დამკვიდრებას აკაკი ბაქრაძის მეტად მცდარმა საისტორიო დისკურსმა დაუდო საფუძველი და მასზე ცალკე ვიტყვი სხვა წერილში.

ჭაბუა ამირეჯიბმა თავის გაზეთში უხმო ცენზიან, ცნობილ ავტორებს, რათა მათ შეექმნათ ინტელექტუალური და თეორიული დონე. ეს არ გამოვიდა. როცა ყოველივე ქართული გულმოდგინედ გაიქელა ზვიადზე შურისგების მიზნით, ამირეჯიბმა ისე დაიწყო სიტყვობა ამ გაზეთში, თითქოს არაფერი ისეთი არ მომხდარა, თითქოს 1992-99 წლებში შევარდნაძემ შექმნა შენების წინამძღვარი და ახლა მხოლოდ კვლავ არჩევაღა ესაჭიროებოდა აღშენების მოსამთავრებლად. ეს იყო შევარდნაძის მზაკვრობით მოღორებული მწერლის, პოლიტიკის უმეცარი, გზაარეული რედაქტორის ცრუპენტელობა. ამირეჯიბის ნახლართმა გაზეთმა მალევე დალია სული. საქართველოში ბევრ გაზეთს სურს იყოს ეროვნული სულის გამომხატველი. ამდენი ჟურნალ-გაზეთია საქართველოში და ერთიც არაა ჭეშმარიტად ქართული. ნოდარ ნათაძეც გამოსცემდა 90-იანი წლების ბოლოს გაზეთ „საქართველოს“. მასაც მიასკდა ქართველობას მონატრებული ქართველი. ნათაძეც ცდილობდა წარმოეჩინა, რომ ილიას გზას აგრძელებდა. ვერც ეს გაზეთი იქცა იმად, რაც უნდა ყოფილიყო, რადგან ეროვნულობა, ქართული იდეა უკვე სამუდამოდ დასამარებული იყო კაპიტალისტურ საქართველოში ჯერ კიდევ 1992 წელს. ნათაძესაც შევარდნაძის თარსი გამოჰყვა.

ამირეჯიბს არ უთქვამს, რომ თუ დემოკრატიის გამარჯვებას საქართველოში დასჭირდა ამდენი ღალატი, სამეგრელოს და შემდეგ აფხაზეთის მოთარეშება, შევარდნაძის მიერ ფრონტის მოშლა აფხაზეთში და ათასობით ქართველის გაწყვეტა, მაშინ ეს სამხედრო ტრიბუნალზე უნდა გარჩეულიყო. შევარდნაძის რა მიღწევებზე საუბრობდა ამირეჯიბი თავის გაზეთში? კი მაგრამ ყველა ბალახს ძოვდა ამირეჯიბის გარდა? ზვიადს სეთურს ეძახოდნენ და სეთურმა შევარდნაძემ თავად აბელ სეთურის მომგონ ამირეჯიბს ასე დამართა, რომ ის მის წამხდარს შენებას უწოდებდა.

ამირეჯიბის 2007-11 წლების ოპოზიციონერობა არად სანდო არ იყო. რაზე დაყრდნობით გმობს ის სააკაშვილს? მას რა სურს თქვას, რომ სააკაშვილი არასწორი კაპიტალისტია და ის რომ წავა, საქართველოს თავზე ჭეშმარიტი კაპიტალიზმის ნათელი დაადგება? დასავლეთის კრიტიკას ამირეჯიბი ერიდება, რადგან ასე მის ოპოზიციონერობას მეტი არგუმენტირება დასჭირდებოდა. ამირეჯიბი ოპოზიციონერია, როგორც შევარდნაძის მომხრე და არა, როგორც სინანულით განწმენდილი, თვალახელილი ქართველი. თუ ათწლეულზე მეტი შევარდნაძის მოდასე იყავი, უკვე ამიტომ ვერ იქნები ერისკაცი. ვერ მოშორდი შევარდნაძეს 1997-99 წლებში, როცა ხედავდი რისთვის იყო ის საქართველოს შეჩენილი. ძალად იბრმავებდი თვალს და ყურს იყრუებდი. ზვიადისადმი სიძულვილი გაკეთებინებდა ამას. უარესიც რომ დაემართნა შევარდნაძეს საქართველოსთვის, მაინც მის გვერდით იდგებოდნენ ჭაბუა ამირეჯიბი, გურამ დოჩანაშვილი, ჯანსუღ ჩარკვიანი, ნოდარ ლომოური, რევაზ ამაშუკელი, კობა იმედაშვილი და სხვები. რა ისეთი თქმულა ამირეჯიბისაგან, როგორც ოპოზიციონერისა და ნონკონფორმისტისაგან 2005-11 წლებში, რომ ქვად დაიდოს და მოსახსოვრად ღირდეს? რა იდეის სახელით გმობს ის სააკაშვილს? ეს მას არასოდეს განუმარტავს. მას არა უთქვამს რა რელიგიის პროფანაციაზე შევარდნაძის დროიდან. არც ის უთქვამს, რომ ზვიადი დრომ მართლად გამოაჩინა მრავალი სიმცდარის მიუხედავად. არც ის უთქვამს ამირეჯიბს, რომ მთელი ოპოზიცია ერთი მტკაველით მეტიც არაა ხელისუფლებაზე. ეს არის სამერმისო უბედურებათა წყარო.

სანამ მოკვდები, ალალად თქვი, რომ საარაკოდ გაგვაცურა დასავლეთის სახელით მოსულმა მამათელმა ყაზილარმა, რომ მას არასოდეს არ ჰყვარებია ქართველთა მოდგმა, თავის კარიერას შესწირა ათიათასობით ქართველი და მთელი საქართველო, რომ მან დააქცია და გააბოზა საქართველო. დამოუკიდებლად არა შეეძლო რა შევარდნაძეს. იგი ჯერ საბჭოთა სისტემას იყო მიწებებული და თავს კომუნისტ მოღვაწედ აჩენდა. შემდეგ კაპიტალიზმს მიეწება, ვითომ რაღაც შეიცნო და აქ მოჰქონდა. წმინდა სულმა მოგცეს მართლის თქმის ძალა ღმერთს შემდგარო მწერალო. ხომ ღვთის მოესავ კაცად აჩენ თავს და ბერობასაც შეყენებულხარ. ჰოდა, თქვი საფლავში ჩასვლამდე, რომ დიდ ცოდვას უარესი ცოდვა მიესართა და

გაგრძელება გვ. 8

# ენობრივი პოლიტიკის შუქ-ჩრდილები საინფორმაციო ომისა და საქართველოს უსაფრთხოების კონცეფციის კონტექსტში

დასაწყისი გვ. 4

ტუსი“ /32-ე განმარტება/.

4. «ქარტიის დებულებები მოიცავს მხოლოდ ისტორიულ ენებს ავტოქთონი მოსახლეობის — ძირძველი მოსახლეობის — ენებს, ანუ იმ ენებს, რომლებიც დიდი ხანია გავრცელებულია მოცემული სახელმწიფოს ტერიტორიაზე» (31 განმარტება)...

შდრ., „ქარტიის განმარტებითი ბარათის“ პრეამბულა: „Many European countries have on their territory regionally based autochthonous groups speaking a language other than that of the majority of the population“.

ევროპის მრავალი სახელმწიფოს ტერიტორიაზე ცხოვრობენ ამა თუ იმ რეგიონის მკვიდრი ავტოქთონური ჯგუფები, რომელთა მშობლიური ენა განსხვავდება ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობის ენისაგან..

ენის დ“ენის ქარტიის“ მიზანი არ არის არაავტოქთონი უმცირესობის აცვა.

შემდგომი მსჯელობის გასაგრძელებლად, აუცილებელია კარგად გავიაზროთ ისტორიული უმცირესობის ენის სამი სახეობა: „ენის ქარტიის“ ტერმინი: „რეგიონული ან უმცირესობის ენა“ გულისხმობს ერთი კატეგორიის, მაგრამ სამი ვარიანტით გამოვლენილ ენას:

1. რეგიონული ენა — სახელმწიფოს მოცემული რეგიონის ავტოქთონი მოსახლეობის ენა, თუკი ამ ენაზე მეტყველი საზოგადოება უმრავლესობაა მოცემულ რეგიონში (ქარტიის მე-18 განმარტება);

2. უმცირესობის ენა — სახელმწიფოს მოცემული რეგიონის ავტოქთონი მოსახლეობის ენა, თუკი ამ ენაზე მეტყველი საზოგადოება უმცირესობაა მოცემულ რეგიონშიც (ქარტიის მე-18 განმარტება);

3. ტერიტორიის არმქონე ენა — მოცემულ სახელმწიფოში მცხოვრები ისეთი ისტორიული მოსახლეობის ენა, რომელსაც არ გააჩნია განსაზღვრული გეოგრაფიული არეალი (36-ე განმარტება).

აქვე კიდევ ერთხელ შევეხებით ტერმინს: „ავტოქთონი“. ეს ტერმინი ძირძველ მოსახლეობას აღნიშნავს, მაგრამ დღეს არის მცდელობა, 100-წლიანი მკვიდრობა გახდეს საკმარისი ავტოქთონობის საზომად. რამდენად ლოგიკურია ავტოქთონობის კრიტერიუმად 100-წლიანი პერიოდის შემოღება? ამგვარი კრიტერიუმი სახიფათოა ისეთი ქვეყნისთვის, როგორიცაა საქართველო, ვინაიდან საქართველოს ბევრი საფრთხე შეექმნება, თუკი მიგრანტების დიდი ნაწილი გამოცხადდებიან ავტოქთონებად...

საინფორმაციო ომის კონტექსტში არსებითია ის, რომ გარკვეული ძალები ცდილობენ, ავტოქთონებად გამოაცხადონ საქართველოში გვიან დამკვიდრებული ეთნიკური ჯგუფები. საქართველო ოკუპირებულია 200 წელია. ამ პერიოდში საქართველოს დემოგრაფიული სიტუაცია რუსეთის იმპერიამ მართა; შესაბამისად, საქართველოსთვის დამანგრეველი აღმოჩნდება ამ პერიოდში ჩამოსახლებულ სომეხთა, რუსთა თუ აზერბაიჯანელთა მიჩნევა ავტოქთონ მოსახლეობად და მათი ენებისთვის „ენის ქარტიის“ მუხლების მიყენება... აქვე აღვნიშნავ, რომ ამ საზოგადოებების ენობრივ უფლებებს იცავს ევროპის სხვა კონცეფციები; მაგ., „ჩარჩო კონვენცია“.

საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის მიერ დაგეგმილი საინფორმაციო ომის ფონზე საინტერესოა საქართველოსთვის რეგიონული ან უმცირესობის ენების ის სიები, რომლებიც 2005-2010 წლებში შესთავაზეს საქართველოს მთავრობას; სამაგალითოდ ერთ-ერთს წარმოვადგენთ:

ტომაშ ვიხერკევიჩისა და მისი ქართველი თანაავტორების მიერ საქართველოს ხელისუფლებისათვის 2005 წელს მომზადებული რეკომენდაციების მიხედვით საქართველოში რეგიონული ან უმცირესობის ენების კვალიფიკაცია უნდა მიენიჭოს 12 ენას:

სომხურსა და აზერბაიჯანულს (გვ.35); ასევე, «რეგიონული ან უმცირესობის ენების შესახებ ევროპული ქარტიის» მეორე თავის დებულებები უნდა გავრცელდეს «ტერიტორიის არმქონე ენების»: რუსულის, ბერძნულის, ებრაულის, ქურთულის/იეზიდურის, უკრაინულის, ჩეჩნურის/ქისტურის, ასირიულის, ავარიულის და «უმწერლობო ენების»: მეგრულ-ლაზურისა და სვანურის მიმართ (გვ. 36-37).

ხაზგასმით აღვნიშნავთ: საქართველოს ენების ამგვარი ჩამონათვალი არ შეესაბამება „ენის ქარტიის“ ფუნდამენტურ დებულებებს და ამავე დროს ძალიან სახიფათოა საქართველოსთვის, ვინაიდან გაუმართლებელია ისედაც დანაწევრებული საქართველოს დაყოფა ე.წ. ენობრივ ანკლავებად, კერძოდ, ათეულობით რეგიონად, სადაც უმცირესობის ენად გამოცხადდება მიგრანტების ენებიც და ქართველთა დიალქტებიც; რაც გულისხმობს ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის, სტატუსის არაკანონიერ შეზღუდვას საქართველოს ბევრ რეგიონში...

ვიხერკევიჩის ჯგუფის მიერ წარმოდგენილი ენების ჩამონათვალი არ გამომდინარეობს „ენის ქარტიის“ პრინციპებიდან, მაგრამ მას მხარს უმაგრებს რუსეთის იმპერიის მიერ საინფორმაციო ომის წარმოების 150-წლიან პროცესში საერთაშორისო ქსელსა თუ ენციკლოპედიებში წარმოდგენილი ეთნოლინგვისტური კვალიფიკაციები და რუკები;

მსოფლიო გლობალური ქსელის ძირითადი ეთნოლოგიური ენციკლოპედიის მიხედვით (2010 წლის მდგომარეობით), საქართველოში არის შემდეგი ენები (/ეთნოსები): აზერბაიჯანელები — 308 000, ასირიელები (აისორები) — 3 000, აფხაზები — 101 000, ბაცბები — 3 420, ბერძნები — 38 000, ლაზები — 2 000, მეგრელები — 500 000, ოსები — 100 000, რუსები — 372 000, სვანები (სამწერლობო ენად იყენებენ ქართულს და რუსულს) — 15 000, სომხები — 448 000, ურუმები 97 746, ქართველები — 3 901 380, ქართველი ებრაელები — 20 000, ქურთები — 40 000. (http://www.ethnologue.com/show-country.asp?nam e=GE).

საქართველოს წინააღმდეგ საინფორმაციო ომის ეს მიმართულება („გათიშე და იბატონე“) სათავეს იღებს ჯერ კიდევ მეფის რუსეთში და პიკს აღწევს სტალინის ეპოქაში; მაგ., ი. სტალინის წიგნში: «მარქსიზმი და ნაციონალური საკითხი» (თბ., 1951) ვკითხულობთ: „კავკასიაში არიან მთელი რიგი ხალხები, რომელთაც პრიმიტიული კულტურა, განსაკუთრებული ენა აქვთ, მაგრამ მშობლიურ ლიტერატურას მოკლებულნი არიან... რა ვუყოთ ასეთ ხალხებს: მეგრელებს, აფხაზებს, აჭარლებს, სვანებს, ლეკებს და სხვ., რომლებიც სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობენ, მაგრამ თავიანთი ლიტერატურა კი არა აქვთ?“ (გვ. 138-139)... „ნაციონალური საკითხი კავკასიაში შეიძლება გადაიჭრას მხოლოდ იმ მიმართულებით, რომ დაგვიანებული ერები და ხალხები (მეგრელები, სვანები, აჭარლები... ხაზგასმა ჩემია — ტ.ფ.) უმაღლესი კულტურის საერთო კალაპოტში მოვაქციოთ“ (გვ. 142).

ი. სტალინი აგრძელებს მეფის რუსეთის დროინდელ კვალიფიკაციებს, რომელთა მიხედვით, გურია, სამეგრელო, იმერეთი, საქართველო ცალ-ცალკე ქვეყნებია, ხოლო ამ კუთხეთა შვილები სხვადასხვა ენების მქონე ხალხები... ამ რუკების ავტორებისთვის თითქოსდა უცნობია ისტორიული ფაქტი: მრავალი საუკუნის მანძილზე არსებული ქართველთა ერთიანი სახელმწიფო რამდენიმე საუკუნის წინ დაიშალა პატარა საქართველოებად და არა — საკუთარი ენისა და კულტურის სამეფო-სამთავროებად. რუსული დეზინფორმაციული მანქანა კი ადრეულ თუ გვიანდელ საქართველოს დაშლილად, ქართველებს კი სხვადასხვა ეთნოსებად დანაწევრებულად წარმოადგენს, თანამედროვე საქართველოს კი — იმპერიად... არც ერთ დამპყრობელს არ სურს, ქართველი ერი, საქართველო იყოს ერთიანი და ძლიერი.

ქართველ ერს დანაწევრებულად წარმოადგენს ზოგი თანამედროვე მკვლევარიც; მაგ., პროფ. იური კორიაკოვის მიერ განხორციელებულ პროექტში:



«მსოფლიოს ენათა რეესტრი» ქართველური ენობრივ-ეთნიკური სამყარო წარმოდგენილია 5 ცოცხალ და 1 მკვდარ ენად; კერძოდ: დამოუკიდებელი ენებია: მეგრული, ლაზური, ახალი ქართული, ზემოსვანური (ბალური ენა) და ქვემოსვანური; მკვდარი ენაა ძველი ქართული. მისივე აზრით, დამოუკიდებელი ეთნოსებია (EG): მეგრელი, ლაზი, ქართველი, ბალელი (ზემო სვანი) და ქვემო სვანი.

ამავე ავტორის მიერ შექმნილ რუკებზე ქართული ენის საზღვარი სამტრედიაში გადის.

ანალოგიურია ი. გიპერტის მიერ შექმნილი 1993-2003 წლებში შექმნილი რუკაც ; მეტიც, ამ რუკის მიხედვით ქართული არ არის ცხინვალის მხარეში, სამეგრელოში, სვანეთში, იმერხევში, ტაოში...

ამგვარ რუკებისგან დიდად არ განსხვავდება არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტში ახლახან შექმნილი რუკაც, რომლის მიხედვით ქართული ენა არ ჩანს სვანეთში, ზემო მაჭახელში, ლივანაში, ტაოში... : http://www.ice.ge/kartuliena/iber-cavk-map.html

როგორც აღინიშნა, „ენის ქარტია» არ მოიცავს სახელმწიფო ენის დიალექტებსა და სახესხვაობებს; შესაბამისად, ქართველთა საშინაო მეტყველებები — საქართველოს სახელმწიფო ენის სახესხვაობები (მეგრული, ლაზური, სვანური, წოვა-თუშური, მესხური, გურული...), ვერ შევა „ენის ქარტიის“ რატიფიცირების დოკუმენტს დართულ ენების ჩამონათვალში. ქართველთა საშინაო მეტყველებები — საქართველოს სახელმწიფო ენის სახესხვაობები (მეგრული, ლაზური, სვანური, წოვა-თუშური, მესხური, გურული, ტაოური, ლივანური, ფერეიდნული, ხევსურული...) გაქრობის საფრთხის ქვეშაა, ამიტომ მათ დასაცავად სახელმწიფომ ყველაფერი უნდა იღონოს.

თუკი რუსული გეგმის შესაბამისად და „ენის ქარტიის“ პრინციპების გვერდის ავლით საქართველოს ენობრივ-ეთნიკური სიტუაცია ოფიციალურად აღიწერება ე.წ. სამი/ოთხი ქართველური ენის თეორიის მიხედვით და რეგიონული და უმცირესობის ენების» შესახებ ევროპული ქარტიის რატიფიკაციის შემდეგ საქართველოს ენათა ჩამონათვალში დაფიქსირდება 2-3 «უმწიგნობრო ქართველური ენა“, ხელოვნურად წახალისდება ქართველთა ეთნიკური პარციაცია და სეპარაცია; ძირფესვიანად შეირყევა ქართველი ერის (ეთნოსის)მრავალსაუკუნოვანი ენობრივ-ეთნიკური და ფსიქიკური მთლიანობა.

...უკლებლივ ყველა ენათმეცნიერის აზრით, მეგრულ-ლაზურიცა და სვანურიც ქართული სამწიგნობრო ენის სახესხვაობებია და არა ქართულისგან ისე არსებითად განსხვავებული ენები, როგორც, მაგ., აფხაზური ენა, რუსული ენა, სომხური ენა, ინგლისური ენა, ოსური ენა და სხვ. შესაბამისად, „რეგიონული და უმცირესობის ენების შესახებ ევროპული ქარტიის“ კონტექსტში არსებითი მნიშვნელობა არა აქვს ლაზურ-მეგრულ თუ სვანურ იდიომებს უმწერლებო სახესხვაობებად განვიხილავთ თუ ქართული ენის დიალექტებად, ვინაიდან, როგორც ზემოთ ითქვა, „ევროპული ქარტია“ არ განიხილავს სახელმწიფო ენის სახესხვაობებსა და დიალექტებს.

რაც შეეხება სომხურის, აზერბაიჯანულის, რუსულის და სხვა ენების სტატუსს: სომხეთისა და რუსეთის გარკვეული ძალები ბოლო წლებში განსაკუთრებულად აქტიურობენ, რომ საქართველოში სომხურ ენას მიენიჭოს რეგიონული ენის სტატუსი; აქცენტირებულია სამცხე-ჯავახეთი. მინიშნების გარეშე ვიტყვით, რომ ეს საკითხი უშუალო კავშირშია რუსეთის გეოპოლიტიკურ ინტერესებთან, კერძოდ, რუსეთს სურს, უსაფრთხო სახმელეთო კავშირი ჰქონდეს კავკასიაში თავის მყარ დასაყრდენთან სომხეთ-თურქეთის საზღვარზე არსებულ გიუმრის 102-ე რუსულ სამხედრო ბაზასთან, რომელსაც რუსეთ-სომხეთის 2010 წლის ხელშეკრულებით, 2044 წლამდე გაუგრძელდა არსებობის ვადა. რუსეთისა და სომხეთის ამ შეთანხმებით ასევე, გათვალისწინებულია რომ გიუმრის რუსეთის სამხედრო ბაზა დაიცავს:

— რეგიონში რუსეთის ინტერესებსა და სომხეთის უსაფრთხოებას;

— ამ ხელშეკრულების თანახმად, რუსეთი სომხეთს მიაწვდის თანამედროვე შეარაღებასა და სპეციალურ სამხედრო ტექნიკას; ასევე, გიუმრის სამხედრო ბაზა გააფართოებს გეოგრაფიული და სტრატეგიული პასუხისმგებლობის სფეროებს; შდრ.: ამჟამად ბაზა აღჭურვილია C-300 ტიპის საზენიტო-სარაკეტო კომპლექსებით და მიგ-29 გამანადგურებლებით, ბა-

გაგრძელება გვ. 12

# ესწრებოდა თუ არა ახალგაზრდა მიხეილ სააკაშვილი პრაღის კონფერენციას 1990 წელს?

ბოლო ხუთი წლის განმავლობაში პრესასა და სოციალურ ქსელებში ვრცელდება მასობრივი ფოტო 1990 წლის 4-6 ივლისს პრაღაში მთელი მსოფლიოდან შეკრებილი დისიდენტებისა, რომლებმაც სამდღიან საერთაშორისო კონფერენციაზე მიიღეს ის ავადსახსენებელი ანტიქართული „რეზოლუცია №24“, რომელიც მიმართული იყო საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი სწორუპოვარი ლიდერის ზვიად გამსახურდიას „დიქტატორულ-ფაშისტური“ იმიჯის შესაქმნელად. როგორც საზოგადოდ ცნობილია, ამ ინსინუაციური რეზოლუციის (რომელშიც ნათქვამია, რომ თითქოს ზვიად გამსახურდია მტრობს ყველა ნაცუმცირესობას და საქართველოდან მათ გასახლებას აპირებსო) ერთ-ერთი თანაავტორი და ინიციატორი გახლდათ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი გია ჭანტურია, რომელიც ციხეში დაქორწინებულ ირინა სარიშვილთან ერთად აღნიშნული მისიით გამგზავრებული იყო პრაღაში.

ამ ისტორიული შეკრების ამსახველ ფოტოზე ზემოთა რიგში წარმოდგენილი არიან: გია ჭანტურია, ირინა სარიშვილი, თენგიზ და ედუარდ გუდავები, ივლიანე ხაინდრავა, პარუირ აირიკიანი, ვაცლავ ჰაველი, ვლადიმერ ბუკოვსკი... ხოლო მარცხნივ პირველი კი ჩამჯდარ მდგომარეობაში — ამერიკელი იური იარიმ აგაევი და სხვ.

ჩვენ ამერიკელ აგაევზე ყურადღებას საგანგებოდ ვამახვილებთ იმ მიზეზით, რომ იგი პროფილით ძალიან ჰგავს მიხეილ სააკაშვილს, რის გამოც, ზოგიერთმა პირმა ეს ფოტო გამოიყენა მიხეილ სააკაშვილის სამხილად ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ. ცოდვა გამხელილი ჯობს და უნდა ვაღიარო, რომ ამ ფოტომ მეც შემიყვანა შეცდომაში, თუმცა არ ავჩქარებულვარ და იმთავითვე მის გადამოწმებას შევეცადე; ვისარგებლე რა ძმებ გუდავებთან ჩემი დისიდენტური წარსულიდან ნაცნობობით (დამადასტურებელ ფოტოდოკუმენტს ვაქვეყნებ ქვემოთ), ინტერნეტით მივწერე თენგიზს:

„თქვენს საიტზე http://www.qudsite.com/tenqud home.html პრაღის 1990 წლის კონფერენციის ფოტოდან დამაინტერესა მარცხნივ ჩაცუცქულმა პიროვნებამ, რომელიც ძალიან ჰგავს მიხეილ სააკაშვილს. მე როგორც ამჟამად გაზეთ „განმათავისუფლებლის“ რედაქტორს, მსურს გამოვაქვეყნო ეს ფოტო ჩემს გაზეთში შესაბამისი კომენტარით, მაგრამ ეჭვს იწვევს ამ პიროვნების ასაკი, რომელიც თავისი მოცულობითა და ასაკით არ შეესაბამება მაშინდელს, ანუ მიხეილ საააკაშვილი 1990 წელს იქნებოდა 21-22 წლისა, ხოლო თქვენს ფოტოზე იგი ამჟამინდელი ასაკის შესატყვისად გამოიყურება. გთხოვთ გამარკვიოთ, არის თუ არა იგი ნამდვილად მიხეილ სააკაშვილი, თუ იგი სხვა ვინმეა და უბრალოდ ძალიან ჰგავს მიხეილ სააკაშვილს?“. წერილი გავგზავნე 2008 წლის 30 ივლისს. რადგან პასუხმა ცოტა დაიგვიანა, ჯერ სატელეფონო ზარები განვახორციელე ყოფილ დისიდენტ თანამებრძოლებთან მამუკა გიორგაძესა და ირინა სარიშვილთან, ხოლო შემდგომ მოცემული სურათით პირადადაც ვეწვიე მათ. სატელეფონო კავშირი ირაკლი ქადაგიძესთანაც ვცადე, რომელიც იმ დროისთვის პატრიარქის საერთაშორისო ფონდს ხელმძღვანელობდა, მაგრამ როდესაც მას ვაუწყე თუ ვინ ვიყავი, რატომღაც დაფრთხა და მგონი ყურმილიც კი გაუვარდა ხელიდან, კავშირი იმგვარად შეწყდა. თამარ ჩხეიძესაც დავუკავშირდი, მაგრამ თვისობრივად მან ვერაფერში გამარკვია. მამუკა გიორგაძემ და ირინა სარიშვილმა, რომლებმაც 18-წლიანი ანტაგონისტური დამოკიდებულების გამო ჩემი სატელეფონო ზარი, თუმცა ძალიან გაიოცეს, მაგრამ შეხვედრა აღმითქვეს, ხოლო შეხვედრისას ფოტოზე ჩემს მიერ მითითებულ პიროვნებასთან დაკავშირებით განაცხადეს, რომ ჩაცუცქული მამაკაცი სააკაშვილს მართლაც ჰგავსო, მაგრამ სარიშვილმა ვერ გაიხსენა სააკაშვილის ყოფნა პრაღაში.

**მარცხნიდან:** ***თენგიზ გუდავა, მერაბ კოსტავა, ლეილა ცომაია,ზვიად გამსახურდია, ედუარდ გუდავა და მათი დედა რაისა უვაროვა, 1987 წელი.***



რადგან გუდავების პასუხი კვლავ იგვიანებდა მე კიდევ ერთი რესურსით ვისარგებლე — წერილი მივწერე დოდონა კიზირიას და — სურათი გავუგზავნე. ქალბატონმა დოდონა კიზირიამ ოდნავ დაგვიანებით, მაგრამ სამაგიეროდ, ვრცლად და ამომწურავად მიპასუხა. რადგან მიმაჩნია, რომ წერილი სხვებისთვისაც საინტერესო წასაკითხი იქნება, სრულად გთავაზობთ მას (იხ. მე-9 გვერდზე). ამასობაში (30 ივლისს) მოვიდა თენგიზ გუდავას პასუხიც: „ლეილა, ეს პიროვნება გახლავთ იური იარიმ-აგაევი, ცენტრფორდემოკრასის პრეზიდენტი. მიხეილ სააკაშვილს ჩვენთან არავითარი კავშირი არ ჰქონია“. და ამის დამადასტურებლად გამომიგზავნა აგაევის სრული ფოტოც, რომლითაც, აგრეთვე წააგავს სააკაშვილს (მიმოწერები და ყველა დოკუმენტური მასალა დაცულია ჩემს პირად არქივში).




ძმები თენგიზ და ედუარდ გუდავები დედით ებრაელები იყვნენ და მამის გარდაცვალების შემდგომ მათ გადაწყვიტეს სსრკ-ს დატოვება და ისრაელში წასვლა, მაგრამ ინაურის უშიშროების სამინისტრო სხვაგვარად მოაზროვნე ძმებს არასანდოდ მიიჩნევდა და არ აძლევდნენ მათ საქართველოს დატოვების საშუალებას, რასაც ძმები დაუმორჩილებლობითა და საპროტესტო ქმედებებით პასუხობდნენ. გუდავების ოჯახს, საბოლოოდ, ისრაელში გამგზავრებაში დიდად დაეხმარა ზვიად გამსახუდია და მერაბ კოსტავა, რომლებიც პეტიციებს უგზავნიდნენ საერთაშორისო ორგანიზაციებს გუდავების ადამიანის უფლებების დარღვევის გამო და მოითხოვდნენ მათი უფლებების დაცვას. საბოლოოდ გუდავების ოჯახმა 1987 წლის ბოლოს შეძლო საქართველოდან გასვლა, საიდანაც ისინი, ჯერ ისრაელში გაემგზავრნენ, ხოლო შემდგომ ამერიკაში. თენგიზ გუდავა ცოლ-შვილთან ერთად (იგი უცხოეთში დაქორწინდა, ხოლო მისი ძმა ედუარდი კი საქართველოდან ფეხმძიმე ცოლით გაემგზავრა) მოგვიანებით პრაღაში გადავიდა საცხოვრებლად და რადიო „თავისუფლებაში“ დაიწყო მუშაობა, სადაც იგი სიცოცხლის ბოლომდე ცხოვრობდა.

ძმები გუდავები, სანამ საქართველოში ცხოვრობდნენ მეტად კეთილგანწყობილი იყვნენ ზვიად გამსახურდიას მიმართ, მაგრამ ემიგრაციაში მათ სტუმრობდა ხოლმე გია ჭანტურია, რომელმაც ისინი გადაიბირა და ზვიადის მტრებად აქცია, მის საწინააღმდეგო კამპანიაში ჩააბა და ზვიადის საერთაშორისო იმიჯის შემლახველი ბრალდებებით გამოდიოდნენ რადიო „ამერიკის ხმაში“, თუმცა, როდესაც ისინი არ განიცდიდნენ გია ჭანტურიას გავლენას, უფრო გონივრულ შეფასებას აკეთებდნენ ზვიად გამსახურედიას პერსონის მიმართ. აი, ისიც:

„ჩვენ კარგად ვიცნობთ ზვიად გამსახურდიას, ვხედავთ მის სუსტ და ძლიერ მხარეებს და ჩვენ ვამბობთ: ესაა წყაროსავით, სასიცოცხლოდ მნიშნელოვანი ელემენტი ქართული ეროვნული მოძრაობისა. მას გააჩნია დისიდენტური მოქმედების უზარმაზარი გამოცდილება,უნიკალური საერთაშორისო კავშირები.მისი ჩამოშორება ან განადგურება შეიძლება სურდეს მხოლოდ და მხოლოდ ქართველი ხალხის ეროვნულ მტრებს და კაგებეს მეგობრებს. მე ვიცი, თუ როგორ არ უყვარს კაგებეს ზვიადი. შეხედეთ მხოლოდ იმ ჭუჭყის ღვარცოფს, რომელსაც მას ასხამს ოფიციალური პრესა! რატომ? პასუხი ერთია: ზვიადი ეფექტიანად მოქმედებს, ის ყელში ეჩხირებათ კომუნისტებს, მას მხარდაჭერა ესაჭიროება და არა გებისტებთან ერთად უფსკრულში ჩაძირვა“. თენგიზ გუდავა, 1988 წლის 27 სექტემბერი ჟურნალი „გუშაგი“ „ N17, 1988 წლის ოქტომბერი.

რადგან ჟურნალი „გუშაგი“ ვახსენე, ორ ამონარიდსაც მოვიყვან ამავე ჟურნალის ამავე ნომრიდან თავად გია ჭანტურიას პარტიული პროგრამის „მთავარი ნაწილიდან“: „დ) ჩვენი დევიზია: „საქართველო ქართველებისათვის... ვ) ე.დ. პარტიისათვის უცხოა ყოველგვარი ძალმომრეობა, ის იბრძოლებს მხოლოდ პოლიტიკური საშუალებებით...“ („გუშაგი“, N17, გვ.10, 1988 წლის ოქტომბერი).

მაძინისტი გია ჭანტურიასა („ჩვენ ვართ მე-20 საუკუნის ქართველი მაძინისტები...“ გაზ. „ლიტერატურული საქართველო“ 18 ოქტომბერი,1989) და მისი მეუღლე ირინა სარიშვილისათვის, არც ამგვარი ცილისმწამებლური ლოზუნგის გამოტანა ყოფილა ძნელი: „ძირს, ზვიად გამსახურდიასა და ედუარდ შევარდნაძის ალიანსი!“ მაშინ, როდესაც თავად იმყოფებოდნენ ფარულ ალიანსში შევარდნაძესთან და ეს დრომაც გამოავლინა. ხოლო, როდესაც ჭანტურიას ჟურნალისტებმა ჰკითხეს, თუ რატომ აბრალებდა იგი ზვიადს შევარდნაძესთან ალიანსს, ჩვეული ღიმილით უპასუხა: „მაშინ ასე იყო საჭირო“ო! (გია ჭანტურიასთან დაკავშირებით იხ. გაზეთი „გრაალი“ 18-24 აპრილი, 1996).

ჭანტურია, თავისი შეიარაღებული ედპ-ჩნიკებით ზვიად გამსახურდიას ფიზიკური ლიკვიდაციის აქტივისტი მდევარიც გახდა (იხ. ჯაბა იოსელიანის დოკუმენტური წიგნი „სამი განზომილება“).

ძმები გუდავების სიცოცხლეც ისე ტრაგიკულად და უბრალოდ დასრულდა, როგორც თავად გია ჭანტურიასი; მათ არ ინდომეს საქართველოსთვის ბრძოლის ველზე სიკვდილი, ისინი საქართველოს ეროვნული გმირისა და განმათავისუფლებლის — ზვიად გამსახურდიას მტრებად და მდევრებად მოკვდნენ; 35 წლის გია ჭანტურია, ედუარდ შევარდნაძემ, 1994 წლის 3 დეკემბერს საკუთარ სახლთან მანქანაში ჩააცხრილინა („რევოლუცია თავის შვილებსაც ჭამს“ - პიერ ვერნიო) იგორ გიორგაძეს, რისთვისაც მას სამ დღეში გენერლის ჩინი უბოძა. თენგიზ გუდავა, 55 წლის ასაკში, 2009 წლის 15 აპრილს პრაღაში ავტოკატასტროფაში დაიღუპა. მისმა ძმამ ედუარდმა, თენგიზის ცხედრის კრემაციისთანავე (ძმები უცხოეთში კათოლიკურად მოინათლნენ) ფერფლი თბილისში ჩამოიტანა და მამამისის გვერდით დაფლა. თავად ედუარდიც მალე, 2011 წლის ნოემბერში, აშშ-ში ავადმყოფობით გარდაიცვალა.

***(თემის გაგრძელება დოდონა კიზირიას წერილით იხ. მე-9გვ-ზე)***

**ლეილა ცომაია**

# ჭაბუა ამირეჯიბის ბერად შედგომის საჭიროება

დასაწყისი გვ. 5

წინ დაუხვდება ქართველს წყმედად და მთხრებლად. მართალთა სისხლი აჩნია ამირეჯიბის ბერულ კაბას. არ მწამს მისი ბერობისა. ამირეჯიბმა სახელი მოიპოვა როგორც ჰუმანიზმის იდეალების დამცველმა მწერალმა სოციალისტურ საქართველოში. შემდეგ იყო მხოლოდ ინერცია და გაზეთების მაქინატორობა მისი სახელის გარშემო. ჭაბუა ამირეჯიბის ავტორიტეტს ერთი მისხალიც არ შემატებია პოსტსაბჭოთა დროებაში. ამირეჯიბი და მისი რომანის გმირის ეკრანზე მაცხოველებელი ოთარ მეღვინეთუხუცესი კაპიტალისტურ სისტემაში ლანდებად იქცნენ. საქართველოს დეჰუმანიზაცია გრძელდება მეოთხედი საუკუნე და ამაზე ამირეჯიბი არას ამბობს. თუ რაიმეს ამბობს, სააკაშვილს აბრალებს და ახალი არჩევნებისას იმედეულობს. არჩევნები არ უშველის ქართლის ჭირს. არჩევნები ბევრჯერ იყო. ბოროტი მოდის საქართველოს კვლავ საგვემად. არ შეჰფერის მხცოვან ბერს ასეთი ოპტიმიზმი. ამაზე ქვემოთ კიდევ ვიტყვი.

არ შეჰფეროდა „დათა თუთაშხიას“ დამწერს პოლიტიკური კინტოობა. ჭაბუა ამირეჯიბისა და აკაკი ბაქრაძის ნათქვამებმა გააგიჟა 1992-ში ისედაც მუდამ ჭკუამცირე ქართველები. უდიდესი ავტორიტეტი ჰქონდათ ორთავე მათგანს 90-იანი წლების დასაწყისში. აკაკი ბაქრაძე ილიას მომაგიერედ მიიჩნეოდა. ათი წელი და მეტი ბოლშევიზმის საგინებლად ყბებს რომ იცვეთდნენ ქართველი ინტელიგენტები და კაპიტალიზმის ქებით თავს ქვეყნის მომავლის მცოდნეებად აჩენდნენ, აგერ, ბოლოს რა საჯაყად გაუხდა ქართველობას საქმე. კაცი არ იპოვება, რომ ამისა აზრიანი და დასავარგები რამ თქვას.

როგორც სერგი ჭილაიას რომანს „ეკატერინე ჭავჭავაძეს“ ეძებდნენ უწინ, ეგრეც ჭაბუა ამირეჯიბის დიდ ქართულ რომანს „დათა თუთაშხიას“ ეძებდნენ. საკულტო წიგნი იყო „დათა თუთაშხია“ ქართველთა შორის და ეს ყოველთვის უნდა ითქვას. მთელი საქართველო, განსაკუთრებით სამეგრელო აღმერთებდა მის ავტორს. მე მქონდა „დათა თუთაშხიას“ სამი ქართული, ერთი რუსული, ერთი ინგლისური გამოცემები. ამირეჯიბისა და მეღვინეთუხუცესის ფოტოების დასტა მქონდა. შეუდარებლად მოერგო დათა თუთაშხიას როლს ოთარ მეღვინეთუხუცესი. რომანის ამონარიდები ზეპირად მახსოვდა. თავაშვებულ და ქვეყნის არევის მოყვარე ქართველებში კაცობის ეტალონად დადგინდა ამირეჯიბის რომანი. ეს დიდი მიღწევა იყო. ქართული სული სულობდა. თავისი დრო ედგა ქართულ ლიტერატურას. მე ის ბრიყვი ვიყავი, სტუდენტობისას რომ ჩემ ლექციებს ვაცდენდი და ლიტერატურის ინსტიტუტში ახალი წიგნების კრიტიკულ განხილვებზე მივდიოდი, რუსთველოლოგების მოხსენებებს ვესწრებოდი. ნუგზარ წერეთელმა, გურამ რჩეულიშვილზე რომ დაწერა მოგონებები, მის წიგნს ეძებდნენ. ნათელში ეგოს ეს მუდამ კეთილად მოსახსენები ჭაბუკი და სამუდამო ხსოვნა იყოს მისი. გურამ რჩეულიშვილი ელინური წესით – აგონისტურად ცხოვრობდა. თავის ღირსებათა შესაფერისი სახელის მონაგრებას ცდილობდა ქართველთა შორის. კი იყო ცენზურა და იდეოლოგიური იდიოტიზმები, მაგრამ აგონისტურად ცხოვრება შესაძლებელი იყო, რადგან ბოლშევიზმი სოციალური პლატონიზმის გარანტად იდგა. ერთურთს სცნობდნენ ქართველები, ერთურთი ახსოვდათ. მოგონებები დღეს ურიცხვი იწერება, წამკითხველი აღარვინაა. ახლა ერთურთს ემალებიან. რაც გინდა კაი კაცი იყავი, ეს ყველას ფეხებზე ჰკიდია. აღარაა ქართველი კაცი მოყვასის მძებნელი, თეთრის მძებნელია. კაცობა წაეგვარა ქართველს და მაგიერად გაზეთი მოეგვარა. გახელდა ქართველთა ვნება ყოვლის წაბილწვისა და გაარაფრებისა. ქართველს რომ სანთელ-საკმევლისთვის გზა დაუკარგია, ასე ვის უქნია? სულ რაღაც ოცი წლის წინ ქართველს ქართველობა ეხარებოდა. გული გულობდა ქართველთა შორის და ქადაც ორივე ხელით იჭმეოდა. მაშინ არ იყო ამდენი პარტია, მაგრამ ქართველნი კაცობდნენ. ამდენი გაზეთი არ იყო და სიტყვას დიდი ძალა ჰქონდა. გაზეთი „ლიტერატურული საქართველო“ ხელიდან ხელში გადადიოდა. რაც უყო „ლიტერატურულ საქართველოს“ უებრო თახსირმა თამაზ წივწივაძემ, არდასავიწყები დანაშაულია. შევარდნაძის საყმოდ და საბილწედ აქცია მან ეს ეროვნული სულის მქონე გამოცემა. ამ საქმეში მას შველოდა მწერალი ამირხანაშვილი. ეს ივანე ამირხანაშვილი ახლა ერთ ჟურნალში ერისკაცობს და თავს იმტკნარებს. ვინმე მოკვდება და სახიობურ გამოსათხოვარს ან მოსაგონარს აშანშალებს. წივწივაძე დღეს ოპოზიციაში უდგას მთავრობას და ვითომ ერისკაცობს. პირს ამყრალებინებენ მას მისებრ მყრალი გაზეთები.

შევარდნაძის ტლაპოში ნატყაპუნები კაცები ვერ იქნებიან ეროვნული ოპოზიციონერები. მასხარა ოპოზიციონერები კი სამარის კარამდე იქნებიან. მწერალთა კავშირის წაწყმედის შემდეგ დაფუძნდა სამწერლო გაერთიანება „ოტარიდი“. ისიც შურის, ჯიბრის, სიგიჟის გამო განქარდა. გაბევრდნენ შევარდნაძის მაქებარი და სააკაშვილის მაძაგებელი პოეტი მამა-შვილი, პოეტი ძმები, პოეტი ცოლ-ქმარი, პოეტი რძალ-მული. რაღა ჩამოსათვლელნი არიან? არა, სულ ასე უნდა იყოს? როგორ დადიან მათთან ჟურნალისტები. მათ უგებ-უცანობას მამულიშვილურ ნაფიქრად ასაღებენ, მკითხველს ასულელებენ. ესენი ვითომ ეროვნული მოძრაობისას ესავენ. მკითხველს ეგულითადებიან, ილიას, აკაკის, რუსთველის სახელებს უხსენებენ. ერთი წერტილი არაა სარწმუნო ქართველი ჟურნალისტებისა. სულ გადასხვაფერება, სულ ტყუილები.

სააკაშვილის მოსვლამდე ენა მუცელში ჰქონდათ ჩაგდებული, ეროვნული მოძრაობა არ გახსენებიათ და შემდეგ კი ყველა ზვიადის დამტირებელი გახდა. მკვდარი და ცოცხალი ულანძღეს წლობით ზვიადს და ახლა მოგონებებს წერენ მასზე. მის გინებაზე უარესი არის მოჩვენებითი მწუხარება მისი მოკვლის გამო, რასაც ბევრი შესდგომია. ოღონდ ცოცხლები იყვნენ, ოღონდ თავისი პატარა ჭია ახარონ და სიცრუის ქოხები აგონ. ქართველების ნახევარზე მეტი იმისი ღირსიც არაა, რომ ცხოვრებაში ერთხელ მაინც წარმოთქვას ზვიად გამსახურდიას სახელი. არაა ქართველი ჟურნალისტი ეროვნული იდეის მცველი და არც იქნება. უკვე ეს არის კატასტროფა, რომ ქართველი ცხოვრების დვრიტას გაზეთში პოულობს. სულ სხვა თავად არის ქართველი და სულ სხვას გაზეთში იწერინება. კი გამოდის უთვალავი პატრიოტული ნაწერი, მაგრამ უცხოელია ქართველი თავის მამულში. მისთვის სამშობლო დიდი ხანია უცხოეთად იქცა. ვერ ხედავს ამას ამირეჯიბი? ან სხვა უფროსი თაობის მწერლები ვერას ხედვენ?

ამირეჯიბმა ვერა გაიგო რა პოლიტიკისა, ისევე როგორც მისმა დოსტმა ჯაბა იოსელიანმა, აკაკი ბაქრაძემ, გურამ დოჩანაშვილმა, თამაზ წივწივაძემ, ჯანსულ ჩარკვიანმა, რეზო ამაშუკელმა და შევარდნაძის დასის ბევრმა სხვა მწერალმა. ამირეჯიბის ბერად შედგომა არის გზადაკარგული ბერიკაცის სახიობა. ბევრზე ბევრს ეცადა ქართული მედია, რომ ამირეჯიბი წარმოეჩინა ღვთის მოესავ უხუცეს ერისკაცად, ქართველთა იდეურ მამად და ილიას მემკვიდრედ. ამისგან არა გამოვიდა რა. ცუდი სახილველი იყო ამირეჯიბის იუბილე და პატრიარქის მიერ მისი დაჯილდოება. ცუდი სახილველი იყო ტიტველა ამირეჯიბის ფოტო ერთი ჟურნალის გარეკანზე. არა, რას იტიტვლები? განდეგილობაში დაღალულხარ და ქვეყანას სულის მოსაგებ გზას უჩვენებ? ასკეტობას მისდევხარ და დიდ სულობას დასდგომიხარ? ქართველების მაჰათმა ხარ? ეს ინდუისტურ და ბუდისტურ ქვეყნებშია წესად ტიტვლად გება. ამირეჯიბის ეს ფოტოღა აკლდა მის ერისკაცად გამოჩენას ჟურნალ-გაზეთებში? ოღონდ ტირაჟი ამოყიდოს, ოღონდ ბრიყვ მკითხველს შეეტყუოს ჟურნალისტი და კულტურის, სულობის მოჩვენებითობა შექმნას. ჟურნალისტებმა ისიც თქვეს, რომ „შევარდნაძე 80 წელს გადაცილებულია და ქართველი ხალხის მიმტევებლური ბუნებიდან გამომდინარე, მას გასამართლებას არვინ აკადრებს.“ ხომ გაბილიკებული აქვთ ჟურნალისტებს შევარდნაძის სამყოფლამდე და ეს რომ ჩამოუჯდა ამათ და მუსაიფი გაუბა, მოახლეს ყავა შემოატანინა, თავისი რძალ-სიძეებისა და შვილიშვილების სურათი გამოატანა გაზეთში დასაბეჭდად. ჰოდა, აქებენ ჟურნალისტები მას. ასე უჭირვებლად ჩავიდეს ედუარდი საფლავში და ხახვივით შერჩეს ყველაფერი? ამას ეძახიან ცივილიზებულობას? შეჩენილი ჰყავს ქართველებს მათივე ჟურნალ-გაზეთი მწამლავად და მაგიჟებლად. აქვს აზრი, რომ შეუყივლო ჟურნალისტებს? თარსიანი და კრულია საქართველო ყველა დროში. კბილნი შვილთანი მამათა ნაჭამის გამო ბევრჯერ მოიკვეთა და მაინც ისევ ისე არამად ჰგია ქართველთა მისხი. ბოლო რა არის სიტყვის თავისუფლებისა? ქართული გაზეთი ხელში არ აიღება, ქართულ ტელევიზიას ვერ გაუძლებ და გაიქცევი. შეგრცხვება და შეგძულდება ქართველად გება. ბოლო რა არის ქართველთა თავის ნებაზე მიშვებისა? ყველაფრის განულება, იდიოტობა და კაცთმოძულება. ვერას ხედავს ამირეჯიბი, რომ იშაქრება და ბრძნობს? მიტინგებზე სანთლების ქაჩვის ბოლო არის სრული უცხოობა. ამდენი ჟურნალ-გაზეთია და ეროვნული სულის მქონე გამოცემა კი სანატრელი გამხდარა. დაჰკარგვიან საქართველოს ეს ჟურნალ-გაზეთები. 1992 წლის ცოდვის გასამართლებლად ქვეყანა მთლიანად იქნა მედიაზირებული. ყოველივე გადატანილ იქნა მედიაცენტრულ, განზრახ პროფანირებულ, ყოვლად ნაბილწავ გარემოში. ამ გარემოში ეკლესია სიცრუის მესაყვირედ დადგა და შევარდნაძეს ემსახურა. ამ მედიაზაციას დაერქვა თავისუფალი აზროვნების განვითარება.

2006 წელს არსებობდა ოპოზიციური საზოგადოებრივი მოძრაობა „ქართული ცხოვრების წესი“, რომლის საპატიო წევრები იყვნენ პატრიარქი ილია II, ჭაბუა ამირეჯიბი, სხვა ცნობილი მწერლები, ბიზნესმენები. ეს მოძრაობა გამოსცემდა თავის გაზეთს „საქართველოს ცხოვრება“. თითქოს რაღაც იწყებოდა და არც არაფერი კი ყოფილა სინამდვილეში. რამდენი ასეთი მოჩვენებითი რამ შეიქმნა საქართველოში 2005 წლიდან დღემდე.

ერთი რამ მინდა ვთქვა კიდევ: შევარდნაძის დასში იყვნენ ამირეჯიბი და დოჩანაშვილი. ამირეჯიბი დღეს ოპოზიციონერია, დოჩანაშვილი პრეზიდენტის ფავორიტი მწერალია. ორთავენი პატრიარქის მეგობრები არიან. ორთავე მათგანს ერთნაირად განადიდებენ ვითომ ოპოზიციური გაზეთები. ხომ არის ეს რედაქტორების უსინდისობა? რატომ სულ ასეთი უკუღმართია ქართული მედია? მთელი ცხოვრება, ყველა მთავრობის დროს ბენეფისი გაქვთ? ალიბი და ავალა მთელი ცხოვრება, კაცო? რა ნაქნარნი გაქვთ ასეთი? ამდენი სიმრუდის შემდეგ ისევ ისე ქება მათი, ვითომც არა ყოფილა რა. სულ მუდამ რედკოლეგიების წევრები, სულ მუდამ რაღაც საზოგადოებების საპატიო წევრები არიან. არ ხდება მათი შემეცნებითი დონის გარკვევა, განვლილი გზის მხედველობაში ქონა და სულ მათი ინტერვიუები კია გაზეთებში. რა უნდათ, რაებს ჩმახავენ?

შევარდნაძის სიძე წიგნებს გამოუცემს დოჩანაშვილს, ჩარკვიანსა და სხვებს. არა, თქვას ცოცხალ კლასიკოსად სახელდებულმა დოჩანაშვილმა, რომ უბედურების ჟამია საქართველოში. რას გაყუჩებულა? რის გამო აქებს ამდენი ჟურნალ- გაზეთი დოჩანაშვილს? რა საქნარნი უქნია? რა ისეთი დაუწერია ზვიადის ამ დიდ მოძულეს? განა მან არ დაიდო წილი ეროვნული მოძრაობის ამოძირკვაში? განა მან კომუნისტების დროს მოპოვებული სახელი სასიხლოდ ატეხილი ჯეელების გაგიჟებას არ მოახმარა? სულ ახლახანს დაჟუჟა მთავრობამ ქართველები, აწამა და სახიჩარჰყო. ამოიღოს ხმა დოჩანაშვილმა. ამოიღოს ხმა იმაზე, რომ დაანელა და მოაყმო ქართველთა მოდგმა ოცწლიანმა ლიბერტარიზმმა. შინ გესტუმრა პრეზიდენტი და რატომ მტკნარდები? ორი სიტყვა თქვი კაცურად, რომ მცირედ მაინც მოგეწმინდოს მწიკვლი. შენს რომანებში ვისთვის ისწავლები სინდისსა და კაცობას? რაობით აჩემებენ დოჩანაშვილს ერისკაცის სახელს უსინდისო ჟურნალისტები? ზვიადის ეს დიდი მოძულე, ბებიით ემუხვარი (ესეც იყო სიძულვილის მიზეზი, რომ კონსტანტინე გამსახურდიამ რომანში „მთვარის მოტაცება“ ჰემუხვარები დაწყევლილ გვარად გამოიყვანა) გამტკნარებულა და არას ამბობს. თქვი, რომ დიდი სიბრიყვე იყო წლობით აფხაზების დაცინვა ეთნონიმ აფსუას გამო. ეს არ უნდა მომხდარიყო ერთი დღითაც კი და ეს გაგრძელდა ოც წელზე მეტი. ახლა დაწეროს მან ბალღამით ნაწერი „ლოდი ნასაყდრალი“. არ ხარ ერისკაცი, ქართველთა მოჭირისუფლე არ ხარ და ის მაინც თქვი, რომ ნუ მაჩემებთ იმ სახელს, რაც არ მეკუთვნის. განა მარტო დოჩანაშვილს უხამს ამის თქმა, არამედ ეს უნდა თქვან ამირეჯიბმა, ამაშუკელმა, შევარდნაძის ბიოგრაფოსმა იმედაშვილმა და სხვებმა. შევარდნაძის ფილოსოფოსმა მიხეილ ნანეიშვილმა განმარტოს ახლანდელი დრო ისე, რომ მისი ნათქვამიდან რაღაც ღირდეს მოსახსომად.

ჭაბუა ამირეჯიბისათვის უკეთესი იქნებოდა მცირედ ლაპარაკი და დუმილი. ეს მას არ ძალუძს, რადგან ამაოების მატლი უღრღნის გულს ოფსილა არ აქვს მის სიტყვას და ამ მოცანცარე გოგო-ბიჭების მოსატყუებლად თუ გამოდგება.

შევარდნაძის მომხრე ინტელიგენციამ 1992 წელს პოლიტიკური სპეკულაციისათვის გამოიყენა ის, რომ გამსახურდია ქართველ ინტელიგენციას არ ენდობოდა და ის ქართული სულის არამქონე კლასად მიაჩნდა. დრომ ზვიადის ამ მსჯავრის სისწორე დაადასტურა. საქართველოს არ ჰყავს იდეურად ქართველები. კი ბევრი ითქმის დავით აღმაშენებელზე, მაგრამ ეს არის ქართველთა სინამდვილის დასაფარი შირმა. დავით აღმაშენებელმა კავკასიის იმპერია შექმნა, როგორც აბსოლუტურმა მმართველმა, თვითმპყრობელმა და არა ისე, რომ ოთხი წელი იყო არჩეული მმართველი და ვადის ამოწურვისას წავიდა. დავით IV-ის გავლილზე ნაწამები, შაყნაკრავი ქართველების გვამები რჩებოდა. სასტიკად ტყიპა მან ურჩნი და ცამდე მართალი იყო. დიდ საქმეს დიდი სისხლი შესწირა ამ ნეტარხსენებულმა ჭეშმარიტმა მეფემ. განა გაზეთი გამოუშვა და მისით ქვეყანა წამლა. განა ქალები დაიხვია გარს და აყაყანა. დავითი ასე ქლესაობას კი არ დაუწყებდა ქართველთა ბრბოს, არამედ რკინით მოჭედილ კეტს მოატანინებდა და თავებს დაუხეთქდა. იმპერიის განმტკიცების მიზნით ჩამოასახლა მან ქართლში ყივჩაყ-პაჭანიკთა ურდო და კავკასიის გაღმა მდებარე დიდი სტეპიდან მოსულ ყივჩაყ არისტოკრატიას ანდო კავკასიის ქართული იმპერიის გაძღოლა. დავითი ხედავდა, რომ ქართველი იმპერიას ვერ მოუვლიდა, კავკასიის ხალხების სამწყემსავად არ გამოდგებოდა. დავითი ქართველებს სულ მათრახით ადგა თავზე. როგორც ილიას სახელი მოარგეს ლიბერალ-კაპიტალიზმს, ასევე დავით აღმაშენებლის სახელი შერიეს დემოკრატიას.

მთავრობის ისტორიკოსთა თქმით, ილიას ოცნება დასავლეთთან ინტეგრაცია იყო. დიდგორის ომი ნატოში შესვლას დაუკავშირდა. თურმე ჯერ კიდევ მაშინ დავითმა განჭვრიტა დასავლური ორიენტაციის სისწორე. ლიბერტარისტი (ექსტრემისტი ლიბერალი) პრეზიდენტი სააკაშვილი დავით მეფეს ედრება მოსვლის დღიდან. მან თქვა, რომ დავით მე-

გაგრძელება გვ. 17

# სალამი, ძვირფასო ლეილა!



ნუნუსგან მივიღე თქვენი წერილი, რამაც ძალიან დამანაღვლიანა. ამ დანაღვლიანების მიზეზს, თუ ეს წერილი ძალიან არ გამიგრძელდა, ბოლოში მოგწერთ, მაგრამ ჯერ ვუპასუხებ თქვენს წერილში დასმულ კითხვებს.

პირველ ყოვლისა, სააკაშვილის და ჩემი გამოსვლის შესახებ ამერიკის ხმით. როგორც მახსოვს, ეს მოხდა მხოლოდ ერთხელ და მედიატორ- კომენტატორი იმ დროს იყო ეთერ ფიჩხაძე. მესამე პირი, ჩემსა და მიშას გარდა, იყო ერთი კაცი, რომელიც მაშინ საქართველოს საელჩოში მუშაობდა და შევარდნაძის დიდი ერთგული იყო. ჩემზე იერიში მოიტანა არა სააკაშვილმა, არამედ იმ კაცმა. მე ძალიან კარგად მახსოვს ის საუბარი, ვინაიდან იმ კაცს შემდეგ რამდენიმეჯერ პირადად შევხვდი, მაგრამ სრულიად სხვა სიტუაციაში. მაშინ კი, როცა მე კომენტარი გავუკეთე 91-93 წლებში მიმდინარე ამბებს საქართველოში, მან მითხრა, რომ მე უფლება არა მაქვს ამაზე ვილაპარაკო, რადგან წარმოდგენა არა მაქვს, რა ხდება საქართველოში, რომ მე არა ვიცი იქაური ამბები და აქ არხეინად და უსაფრთხოდ ვარ. „უნდა ბრძოლის ხაზზე იყოთ, რომ ილაპარაკოთო,» ბრძანა მან. მე მინდოდა მეპასუხა, რომ სწორედ ბრძოლის ხაზზე ვიყავი და არაერთხელ ტყვიებმა სულ ახლოს ჩამიფრინა (რაც, სხვათა შორის ჩემმა ნათესავებმა არც კი იციან). თქვენ კი სად ბრძანდებოდით, არ ვიცი-მეთქი. მაგრამ პირის დაღებაც ვერ მოვასწარი, რომ ჩაერთო სააკაშვილი და სთქვა, ეს უსამართლო და არასწორი ბრალდებაა. რომ საქართველოდან შორს მყოფი ქართველები, როგორც წარსულში, ასევე ახლაც დიდ სამსახურს უწევენ საქართველოს და მათ პატრიოტიზმში ეჭვის მიტანა არ შეიძლებაო. მახსოვს, გურამიშვილიდან დაიწყო და ბევრი ქართველი დაასახელა, რომლებსაც უანგარო სამსახური გაუწევია ქვეყნისთვის. ძალიან ვაჟკაცურად და ღირსეულად ილაპარაკა. მისი სიტყვების შემდეგ იმ კაცს ხმაც არ ამოუღია. თუ ჩემს სიტყვებში ეჭვი გეპარებათ, შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ეთერ ფიჩხაძეს და მას ჰკითხოთ, ასე იყო თუ არა. ეთერი ეხლა ამერიკის ხმაში აღარ მუშაობს, მაგრამ სადღაც მაქვს მისი ელ-ფოსტის მისამართი და გამოგიგზავნით. რაც შეეხება იმ კაცს, ის ეხლა ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტში მუშაობს. მან მე, სხვათა შორის, ბოდიში მომიხადა და მითხრა, არ ვიცოდი შევარდნაძის რეალური სახეო. მე არ მჯერა, რომ არ იცოდა, ვინაიდან მისი თავგადაკლული დამცველი იყო და კარგადაც ისარგებლა ამით, მაგრამ მაინც მივიღე მისი ბოდიში და მას შემდეგ კოლეგიალური ურთიერთობა მქონდა მასთან. მისი მეგობარი ვერ გავხდებოდი და არც ვენდობი, მაგრამ მასთან არც მტრობა მინდა და არც მისი მოღალატედ გამოცხადება. სხვათა შორის, ის ახლა სააკაშვილის ოპოზიციაშია და თქვენ მეგობრულ ხელს ალბათ მას უფრო გაუწვდიდით, ვიდრე მე. ამაში მე მწარე ირონიას ვხედავ.

ეხლა სურათების შესახებ. ერთ სურათზე სააკაშვილი ვერ შევამჩნიე. ის დავინახე მხოლოდ მეორეზე, სადაც ის ზის დაბლა კიდეზე ხელმარცხნივ (თუ ნამდვილად ის არის, მაგრამ ამაზე ქვემოთ). რამდენადაც მესმის, ეს გადაღებულია ჩეხოსლოვაკიაში, როდესაც ჭანტურია და ძმანი მისნი ზვიადს ლანძღავდნენ და საზიზღრობებს ლაპარაკობდნენ. იმ დროს სააკაშვილი სტუდენტი იყო და როგორც სტუდენტების უმრავლესობა დასავლეთში მუშაობდა. მაშინ ის თარჯიმნობდა გაერთიანებული ერების ევროპის ორგანიზაციებში, თარგმნიდა რუსულ, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე. ზუსტად ვერ გეტყვით, მაგრამ შესაძლებელია ის იქ იყო ან როგორც თარჯიმანი, ან უბრალოდ როგორც ქართველი. მე მახსოვს ეს ჩეხოსლოვაკიის ამბები და ვიჩხუბე კიდეც გუდავებთან (ერთი ძმა მაშინ ამერიკაში იყო) ამის გამო. მე რომ მაშინ ევროპაში ვყოფილიყავი, მეც უსათუოდ წავიდოდი და დავესწრებოდი. შესაძლოა შემთხვევით ვიღაცას სურათიც გადაეღო, რომელშიც მეც მოვხვდებოდი. სხვათა შორის, მახსოვს, 91 წელს თბილისიდან ჩამოვიდა ზვიადის მთავრობის დელეგაცია, რომელთა შორის უმთავრესად იყვნენ ისინი, რომლებმაც მას მერე უღალატეს. მაშინ აქ ცოტანი იყვნენ ქართველები და მათ მე მთხოვეს მათთვის მეთარჯიმნა. მე მაშინვე მივატოვე სამსახური (რისთვისაც დიდი უსიამოვნებაც შემხვდა), ინდიანიდან ნიუ-იორკში გავფრინდი ჩემი ხარჯით (რაც საკმაოდ ძვირად დამიჯდა, რადგან მეორე დღისთვის ვიყიდე ბილეთი) და მათ დავყვებოდი თითქმის კვირაზე მეტი. სურათი ჩვენთვის, თუ კარგად მახსოვს, არავის გადაუღია, მაგრამ რომ გადაეღო, მეც მიხილავდით მოღალატეებს შორის. თქვენ როგორ ფიქრობთ, ვარ მოღალატე? ან ვარ ღირსი ტალახი მესროლონ, როგორც საქართველოს უღირს ადამიანს? ეგებ თქვენი აზრით ვარ, ვინაიდან მე არ ვემხრობი ოპოზიციას და ვემხრობი სააკაშვილს. ჩემზე რას იფიქრებთ, ეს თქვენი ნებაა, მაგრამ მე ჩემს თავს მოღალატედ არ ვთვლი და ჩემი პრიციპებისგან არ გადამიხვევია. ყოველთვის ვაკეთებდი და ვამბობდი იმას, რაც ღრმად მწამს. ღმერთმა იცის, არავისგან არც თანამდებობა მიმიღია და არც გასამრჯელო.

ეხლა იმაზე, რატომ შემეპარა ეჭვი, ნამდვილად სააკაშვილია თუ არა იმ სურათზე. 90 წელს სააკაშვილი იყო სტუდენტი, 22-23 წლის. კარგად დააკვირდით მის სახეს, ჰგავს ეს სახე ამ ასაკისას? შეხედეთ სარიშვილს ზედა სურათზე და შეადარეთ მის დღევანდელ შეხედულებას. არის თუ არა განსხვავება? ჩემი რწმენით, ეს დაუდევრად გაკეთებული მონტაჟია იმ ხალხზე გათვლილი, ვინც ადვილად დაიჯერებს და უნდა კიდეც დაიჯეროს, რომ დღევანდელი საქართველოს პრეზიდენტი სტუდენტობიდანვე მოღალატე იყო. ეხლა გეტყვით იმას, თუ რატომ დამანაღვლიანა თქვენმა წერილმა. ლეილა, მე ყველა თქვენს აზრს ვერ ვიზიარებ, მაგრამ გთვლით უაღრესად წესიერ, ღირსეულ და თქვენი ქვეყნისთვის უანგაროდ თავდადებულ ადამიანად. ჭეშმარიტად განცვიფრებული ვარ თქვენი უშრეტი ენერგიით და უშიშრობით. ისეთები, როგორიც თქვენ ხართ, დიდი ხანია აღარ იბადებიან ამ ქვეყანაზე. სწორედ ამიტომ განსაკუთრებით გული მწყდება იმაზე, თუ როგორ ეხმარებით საქართველოს მტრებს იმით, რომ თქვენს ენერგიას არასწორად მიმართავთ. დამერწმუნეთ, მე სააკაშვილს მხარს ვუჭერ არა იმიტომ, რომ ის იდეალად მიმაჩნია. იმასაც გეტყვით, რომ მე შემიძლია თქვენზე უკეთესად, უფრო ავად და ზუსტად გავაკრიტიკო, ვინაიდან მისი მთავრობის პოზიციის ზოგიერთი მხარე არ მომწონს და არ ვეთანხმები. მაგრამ მე ვუყურებ საერთო სიტუაციას და ვხედავ, რომ დღეს ის არის ერთად-ერთი პიროვნება, რომელსაც შეუძლია საქართველო სრულ გაქრობას გადაარჩინოს. მის საწინააღმდეგოდ გამოსვლით თქვენ თქვენს თავს აყენებთ იმ ხალხის გვერდით, რომელიც თავის თავს ოპოზიციას უწოდებს და რომელთა უმეტესობა რუსეთის სამსახურშია, და რუსეთის საქმეს აკეთებს. ეგებ გგონიათ, რომ თქვენ მათ მხარს არ უჭერთ? აბა დაფიქრდით, ვინ იქნება მოგებული, თუ სააკაშვილის მთავრობა დაემხობა? ზვიადი გაცოცხლდება? არ გახსოვთ, რა ხდებოდა 90-იან წლებში? არ იცით ქართველების ამბავი? არ იცით, როგორ არის ჩასაფრებული რუსეთი, რომ საქართველოში სულ პატარა არეულობის შემთხვევაში ტანკებით შემოგრიალდეს? ის რაც ეხლა ხდება, არ გარწმუნებთ ამაში? ეს ფოტოც რაღა ეხლა ამოტივტივდა, როცა რუსეთი აგრესიას აღარც ნიღბავს, და არა, მაგალითად, პრეზიდენტის არჩევნებამდე? ეს ვის აწყობს? რაც არ უნდა გაბრაზებული იყოთ იმაზე, რაც ახლა ხდება, შეეცადეთ წარმოიდგინოთ ის, რაც შეიძლება მოხდეს, თუ თქვენი სურვილი შესრულდება და სააკაშვილი გადადგება. ეს იქნება საქართველოს დასამარება. ნეტავ შეგეძლოთ დაინახოთ სიტუაცია იმ გარე კუთხიდან, რომლიდანაც მე ვუყურებ. თქვენ უამრავი რამ ჩემზე უკეთესად იცით და ხედავთ, მაგრამ ზოგიერთი რამ შორიდან უკეთესად ჩანს. სწორედ ამიტომ მიკვდება გული, რომ ისეთი თავდადებული ადამიანი, როგორიც თქვენ ხართ, მისდაუნებურად სატანას ემსახურება და არა კეთილ საქმეს. არა და, რამდენი კარგის გაკეთება შეუძლია თქვენი შემართების ადამიანს!

ლეილა, მე ძალიან გულწრფელად გწერთ ამ წერილს. იცით, მე ეხლა ვმუშაობ საზაფხულო სემესტრში. ყოველდღე 5-6 საათის განმავლობაში ლექციები და გაკვეთილები მაქვს. ამ დროის განმავლობაში ეს 70 წლის ქალი ფეხზე ვდგავარ და ძალიან ინტენსიურად ვლაპარაკობ, ვუხსნი, და ასე შემდეგ. სახლში მოვდივარ ისე დაღლილი, რომ ჭამის თავიც არა მაქვს. ცოტას ვისვენებ და მერე უკვე მეორე დღისთვის ვამზადებ მასალებს. თითქმის არაფრისთვის არა მაქვს დრო. მე რომ თქვენ პატივს არ გცემდეთ და არ ვიცოდე, როგორი პატრიოტი ადამიანი ხართ, ან საერთოდ არ გიპასუხებდით, ან გიპასუხებდით ორი-სამი წინადადებით. იმედია ეს წერილი დაგარწმუნებთ ჩემს გულწრფელობაში. ეს მინდა იცოდეთ, რომ ზოგჯერ არის სპეციფიკური, კონკრეტული გადაწყვეტილებები, რომელსაც სააკაშეილის მთავრობის რომელიმე უწყება ღებულობს, რაც მე ნამდვილად არ მომწონს. ამდაგვარი გადაწყვეტილებებისა და ამ კონკრეტული უწყებების კრიტიკაში მხარს დაგიჭერთ, მაგრამ სააკაშვილის მთავრობის გადადგომის მოწოდებებში, ან სააკაშვილის წარსულის ქექვაში და რაღაც უსაფუძვლო, შემთხვევითი ამბების „მხილებაში“ და ვითომდა მის „მოღალატეობის“ მტკიცებაში მხარს ვერასოდეს ვერ დაგიჭერთ, ვინაიდან ეს საქართველოს დამღუპველ საქმიანობად მიმაჩნია.

გისურვებთ ჯანმრთელობას, წარმატებას და იმ სიმძიმეების შემსუბუქებას, რომელიც ასე უსამართლოდ დაგაწვათ ცხოვრებაში.

**დოდონა კიზირია, 19.07.08**

## “ყველა ადამის შვილი ვართ, თათარის წესი ძმა არი“, მაგრამ „ურჯულოსად ვაქცევთ ქართველს“!

გასულ წელს ჩვენი საზოგადოების სამართლიანი ვნებათღელვა გამოიწვია საქართველოში ოსმალეთის სულთნის აზიზეს მეჩეთის მშენებლობის საკითხმა. მაშინ სააკაშვილის რეჟიმმა საზოგადოებრივ აზრს წინააღმდეგობა ვერ გაუწია და მისთვის ჩვეული ყალთაბანდობით უკანა პლანზე გადასწია საკითხი.

ხარობდა ობივატელი, გავიმარჯვეთო, მაგრამ ვაი, რომ ხანმოკლე აღმოჩნდა ეს სიხარული.

როცა ჩვენმა მრავლისმნახველმა ელექტორატმა გზა განუმზადა ოცნებების სინამდვილედ ქცევის პროცესს, ისევ ამ ვნებათაღელვის წინაშე აღმოჩნდა. ჩვენი ქვეყნის ახალი პრემიერ-მინისტრი ეახლა რა ოსმალოს, სიგელ-გუჯრზე ხელმოწერით დასტური უყო სულთან აზიზესათვის საძულველ გურჯისტანში მისი სახელობის მეჩეთის აღმართვას.

გაურკვეველ ვითარებაში აღმოჩნდა ალალ მეოცნებეთა ერთი ნაწილი, ნამდვილად არ მოელოდა ვაზირთუხუცესისაგან ასეთ ფანდს.

მაგრამ პოლიტიკოსად შერაცხულმა, ყალთაბანდობის დიდოსტატმა მურმან დუმბაძემ, რომელიც გუშინ შარვალ-ხალათს იხევდა მეჩეთის მშენებლობის გამო, ბათუმლებს მეჩეთის მშენებლობის ვაზირთუხუცესის მიერ გაცემული დასტური მიულოცა.

საუკუნეთა ბედუკუღმართობამ ჩვენი სისხლი და ხორცი ძალმომრეობით მოაქცია მაჰმადის რჯულზე, მოსწყვიტა საქართველოს სხეულს და ჩვენს სასიქადულო მართლმადიდებლობას, ქრისტეს სჯულს. ზართა წკრიალსა და ღვთიურ გალობას ჩაუნაცვლა მოლის ძახილი. წარსტაცეს რწმენა, მაგრამ ვერ მოუშთეს დედა ენა, რაიც იმედად და ღვთიურ სხივად დარჩა მათი საჩვენოსკენ შემობრუნებისათვის.

დღეს, როდესაც მთელი ჩვენი ძალისხმევა მიმართული უნდა იყოს მათი ჩვენი დედა ეკლესიისაკენ მოსაქცევად, პირუკუ ხდება.

საქართველოში ბოლო მონაცემებით ფუნქციონირებს 240-მდე მეჩეთი და უამრავი სამლოცველო სახლი. როგორც ამბობენ, მეჩეთების უმრავლესობა გახსნილია ყოველგვარი ნებართვის გარეშე.

ახლა მოვიძიოთ საქართველოში მუსულმანთა საერთო რაოდენობა და შევუფარდოთ ის სამლოცველოების რაოდენობას.

თუ ოფიციალურ მონაცემებს ვერწმუნებით, საქართველოს მოსახლეობა 2002 წლისთვის შეადგენდა 4. 601,500. კაცს. ქართველების რაოდენობა 3,661,000 უდრიდა, ანუ მთელი მოსახლეობის 83,8% იყო.

აქედან, მართლმადიდებელი ქრისტიანები – 84.00%, მუსლიმანები – 9.9%, ამ ცხრა პროცენტში შედის, რა თქმა უნდა ქართველი მუსულმანები.

თბილისისა და მცხეთა-მთიანეთის მხარის მოსახლეობა 1. 300.000 აღწევს და მცხეთა თბილისის ეპარქიაში ფიქსირდება მხოლოდ 315 მოქმედი ეკლესია მონასტერი. იმერეთის მხარის მოსახლეობა აღწევს 700. 000. ქუთაის-გაენათის ეპარქია კი ითვლის 129 მოქმედ ეკლესია მონასტერს.

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ საქართველოს მუსულმანთა რაოდენობა აღწევს 460 000 კაცს და საქართველოში ფუნქციონირებს 240-ზე მეტი ჯამე და მეჩეთი (მათგან 150 მეჩეთი და 50 მედრესა აჭარის ტერიტორიაზე), უამრავი მედრესე და მრავალი ასეული სამლოცველო სახლი. მაგრამ ამბობენ, რომ

გაგრძელება გვ. 15

# ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ უ ლ ი  გ ვ ე რ დ ი

# ზაურ ქობალია

*მე ვიცნობდი ზაურ ქობალიას, მე ვიცნობდი მას ეროვნულ–განმანთავისუფლებელი მოძრაობიდან, მიტინგებიდან, უზენაესი საბჭოდან, ზუგდიდიდან, როცა ის ხელმძღვანელობდა ეროვნულ–დაუმორჩილებლობის კომიტეტს, ერთად ვიყავით როცა „მხედრიონის“ ალყაში იყო ზუგდიდი. მერეც, როცა კანონიერი ხელისუფლება მეორედ განდევნეს. ვხედავდი პოლიტიკურად, როგორ ებრძოდა იგი შევარდნაძის უკანონო ხელისუფლებას. ვიცოდი, რომ იგი იყო დისიდენტი, არაერთგზის რეპრესირებული, პოლიტპატიმარი.*

*მაგრამ.... ზაურ ქობალიას, როგორც პოეტს, ფილოსოფიურად მოაზროვნეს, შემოქმედს, უაღრესად განსწავლულ, ჭეშმარიტად მორწმუნე კაცს არ ვიცნობდი. მე იგი აღმოვაჩინე მის გარდაცვალებამდე რამოდენიმე თვით ადრე, როცა წავიკითხე მისი ლექსები, მისი რომანი, ვნახე საკუთარი ხელით მოჩუქურთმებული დადიანისეული ეკლესიის შესასვლელი კარი. მე, გავოცდი მისი სულიერი სამყაროს სიმაღლით... და დამწყდა გული, რომ მე მას არ ვიცნობდი მანამდე ასე სრულად. არ მისაუბრია მასთან ამ თემებზე, და საერთოდ, ვერ ვიგრძენი მისი სულის სიდიადე.*

*დასანანია, რომ ასეთი დიდებული ადამიანი ცოცხალი ლეგენდა ცხოვრობდა ჩვენს გვერდით და არა მარტო ახალგაზრდებმა, არამედ ჩემი თაობიდანაც ბევრმა არ იცოდა, ვინ იყო ზაურ ქობალია.*

*დასანანია, რომ სათანადოდ ვერ მოვეფერეთ მას სიცოცხლეში.*

*მჯერა, რომ მისი თანამებრძოლები, ეხლა მაინც გააცნობენ ფართო საზოგადოებას, მომავალ თაობას, ამ დიდი კაცის ცხოვრების სტილს, მის ვაჟკაცურ სულს და გაუტეხელ ბუნებას, რათა მომავალი თაობისთვის მისაბაძი გახდეს ზაურ ქობალიას მიერ განვლილი ცხოვრების გზა.*

*ნათელში ამყოფოს ღმერთმა ამ დიდი კაცის სპეტაკი სული!*

*ნათელა ჭედია*



## ნაპირი

*„ელვარებდა ნაპირი სამუდამო მხარეში“*
*გალაკტიონი*

დაუშვით აფრები!
ჩაუშვით ღუზა!
აჰა, მოვედი აღთქმულ ნაპირთან,
დასრულდა წრფელი მარათონი ცხელი მიზნების,
გამოჩნდა თეთრი ლოდინის ფერი –
ჩემი ლტოლვის თეთრი სიმყარე.
ამ ნაპირზეა გაფენილი ჩემი არსის ყველა ხაზები,
გადმოიტანეთ ღმერთის კურთხევა,
გადმოიტანეთ წყევლაც და დარდიც,
ო, გადმოტვირთეთ ნისლები ვრცელი,
და გადააცვით ამ ველურ ფერდობს,
გადმოტვირთეთ ჩემი ფიქრები
და აქ დამარხეთ, ამ სიჩუმეში.
გადმოასვენეთ მშვენიერების ლურჯი ხატი,
მთელი სიცოცხლე თაყვანს რომ ვცემდი,
გადმოქაჩეთ ჩემი სისხლი – წრფელი ლოცვები.
შემომეგებე თეთრო ნაპირო,
ეს მე მოვედი, შენი სუნთქვის ერთი ნაწილი,
ო, გამისწორე თვალი, წარსულო,
იმედი მაქვს, არ შეგრცხვება ჩემთან ნავარდი.
გაჭიმეთ თოკი ნაპირამდე,
გაჭიმეთ თოკი!
ამ ბეწვის ხიდზეც შემოვდგა ფეხი,
ფიანდაზებად მოაფრქვიეთ ხალიჩებს მზერა,
მე დინჯად უნდა შევაბიჯო გრაალის კოშკში
და ჩემი ძმების სულთმოფენას გავანდო დარდი.

* * *

ჩემო ლოცვებო, ჩემო ცხვრებო
მგლების ხროვაში,
მხოლოდ თქვენ გადევთ მაისის
ყვავილის ფერი,
თქვენს უკან, ტყეში გაიხედეთ,
რა ხმაურია,
რქოვან გველებმა ერთმანეთი
ზე–ზე შესანსლეს.
აჰა, იქცევა ყოფის ტაბაკი
და დასაბამის თოკი დაღრღნეს
დროის თაგვებმა.
მიწა ქანაობს, და ბარბაცებს
მეფისტოფელი,
და დაძრწის ტყეში შიშველი ნიმფა,
სურს რომ აცდუნოს ცხოვრების კაცი,
სურს რომ გახადოს და გააშიშვლოს,
რომ გამოუჩნდეს ეშმაკის კუდი.
ვერ ხედავთ, როგორ დაჯირითობს
ცხოვრების ეტლი,
ბორბლები ძვრება, მაგრამ ვინ ხედავს?!
ყველა მგზავრი მთვრალია ერთობ.
ხელში უჭირავთ ცივი მარყუჟი –
დასასრულის ცხელი ალვირი.
ჩემო ლოცვებო,
ნუთუ ვერ ხედავთ, რომ თქვენს
უკან სიბნელის ტყეა,
ამ სიბნელეში მიერეკება ღმერთი
მოკვდავთ გადასარჩენად.
რადგან არ უნდათ სინათლეზე
ნებით გამოსვლა.
და როცა ყოფა არ იქნება,
თქვენ სად იქნებით,
ჩვენ ხომ აქამდე გვაცილებდა
თქვენი ალმური.
თუ თქვენ ახლავე ჩემთან წამოხვალთ.
ჩემს სიხარულთან ერთად
დაგაწვენთ და
ჩემთან დარჩებით სამარადისოდ!

## ახალი ფრესკა

გუშინ სანთელი სულ მთლად დაიწვა,
შენ რომ დამინთე და დაილევენთა;
და მეც ერთბაშად გადამავიწყდა,
რაც დამაბარე, უფალთან მეთქვა.
იმ „ვიწრო კართან“ ისე შევჩერდი,
ვერ მოვასწარი დარდის შენახვა,
ვფიქრობ: შენა ხარ, ვისაც ვეძებდი
და თეთრი ლტოლვაც, მგონი, შენა ხარ.
ვდგავარ, ვიხსენებ შენს მკრთალ სილუეტს
და მსურს, ხატივით სუნთქვით დაგნისლო,
თითქოს სამყარო უპყრია დუეტს
და დაიქცევა ნაღდად უმისოდ.
ჩვენ ვეჭიდებით უსუსურ ხავსებს,
რაც გადაურჩა ძლიერთა ბორგვას
და თითქოს ჩვენი სიცოცხლით ვავსებთ
ამ დაბერებულ ადამის მოდგმას.
ვხედავ, განსაცდელს მიზანი ხეხავს
და ჰორიზონტზე ბადე მაჩერებს,
და ჩემი სული ჩხირებით ქექავს
ჩვენი წარსულის ფერფლის ნარჩენებს.
და სიყვარულის დაუმწვარ მუხტებს
კვლავ იცვამს სული ახალ ხატებად;
ჩემი თბილისი კვლავ ჩამიხუტებს
და სულ სხვა ფრესკა დაიხატება.

* * *

მიცურავს მზერა ვარდისფერ ზღვაში
და ეფერება ზღაპრისფერ ლანდებს,
უცნაურობის ბურუსის ზღვაში
ღვთიურ მავთულზე ფენს სულის ფარდებს.
ისე გაიხსნა ზე საფარველი,
რომ ავიწყდება მზერას გადახრა
და ანგელოსი, ჩემი მფარველი
მისტიურ შობის ჭინთვებს გადაჰყვა.
ზემავთულების ღვთიური ჰანგი
არხევს სიმივით, ზეცას გახეულს
და ჩემი სულის უმწეო ლანდი
დაეძებს ზღვაზე რაღაც სხვა სხეულს.
უსასრულობის ცეცხლის ქვიშაზე
იწვის უფორმო გონის ნალვენთი;
გზაჯვარედინის წითელ ნიშანზე
გაძვრა სული და იხილა ღმერთი.
უკან მიხედვაც აღარ მინდება;
კვლავ მწუხარება მესმის ყოფიდან,
ახლა ისეთი დგას გარინდება,
თითქოს მიწაზე აღარ ვყოფილვარ.
დასაბამიდან თითქოს იქ იდგა
ჩემი სახლი და ჩემი კარავი,
სამშობლოს ცეცხლი თრთოდა იქიდან
და სიყვარული დაუფარავი.

## ყვითელი ჯანჩენი

დღეს ამ საკანმა რაც განიცადა,
ფერთა გლოვაა, სევდა კი არა;
ეს დედამიწა ბორბლად იქცა და
ზედ სიყვარულზე გადამიარა.
გული მიძვრება ცხოვრების ბალში
და მკერდში ტოვებს მწვავე იარას,
სიცოცხლეს ხელში უჭირავს ვაშლი,
მამონას – ცოდვით სავსე ფიალა.
და ყოფნის ზღვიდან უბერავს ქარი,
სიყვარულის ხე ვაშლის ხეს არხევს
და მიუწვდომელ ოცნებით მკვდარი
გასკდა გული და იქვე დამარხეს.
და როცა სიზმარს სული გაჰყვება,
თან მოისურვებ საუბარს მესთან,
შენ ჩემი გული ისევ დაგხვდება
სიყვარულის და სიცოცხლის ხესთან.
ცრემლით შენამე ეს ბედისწერა,
ცივ მარმარილოს ზედ დადებული,
გულით კედელზე ნახე ნაწერა:
„სიყვარულისთვის მსჯავრდადებული“.

ლიტერატურული გვერდი

# დარეჯან კვანჭიანის ლექსები



*ეს ლექსი დავწერე ადრე ზვიად გამსახურდიას კვლევის «ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი» წაკითხვის შემდეგ და შთაბეჭდილების ქვეშ.*

## იმედიანი ლექსი

**და ესე ვითარცა თქუა, ჴმითა დიდითა ღაღატ-ყო: ლაზარე, გამოვედ გარე!**

**და გამოვიდა მკუდარი იგი შეკრული ჴელით და ფერჴით სახუევლითა, და პირი მისი დაბურვილ იყო სუდარითა. ჰრქუა მათ იესუ: განჰჴსენით ეგე და უტევეთ, ვიდოდის.**

**იოანეს სახარება**

**დამარხულ არს ენაჲ ქართული დღემდე მეორედ მოსვლისა მესიისა საწამებლად, რაჲთა ყოველსა ენასა ღმერთმა ამხილოს ამით ენითა. და ესე ენაჲ მძინარე არს დღესამომდე, და სახარებასა შინა ამას ენასა ლაზარე ჰრქჳან!**

**იოანე ზოსიმე**

**ელირსებაო ლუხუმსა,**
**ლაშარის გორზე შადგომა.**
**ვაჟა**

წვიმაა, ნისლია, ქარია...
ბეთანს თუ, ბეთლემს თუ ნაზარეთს...
მოთქვამენ მართა და მარიამ—
—ლაზარე მოგვიკვდა, ლაზარე!

სულში ღვარცოფი და ბზარია,
მზე კვდება, ცა წყრება, ზანზარებს...
ტირიან მართა და მარიამ—
—ლაზარე, ლაზარე, ლაზარე!

შავ ცაზე მტირალი მთვარეა,
დღემ სახე დაიწვა მწყაზარი...
გოდებენ მართა და მარიამ—
—ადექი, რად გძინავს ლაზარე?!

მზე არის, გზა არის, კარია,
შუქი მოეფინა ვაზნარებს,
ვედრებენ მართა და მარიამ—
—იესო, უშველე ლაზარეს!

შუქია, სხივია, დარია
ბეთანს თუ ბეთლემს, თუ ნაზარეთს...
გალობენ მართა და მარიამ—
– ლაშარზე შემოდგა ლაზარე!

## სისხლი

მე ის ვარ,ვინაც თრიალეთური
თასები ვავსე მზის ნაჟურითა,
მე ის ვარ, ვინაც ვაგე აწყური,
ვამკე ხახული საღვთო შურითა!

ვინც მზეს სულივით მივეცი „ლილე“,
ვინც არმაზს ქვაზე ვკვეთდი არაკებს...
ვინაც არტანუჯს გული გავწირე
და ივერიას მივუზვარაკე!

მე ის ვარ, ვისაც გოჯი, ბირთვისი
რვალის კვართივით ტანზე რომ მეცვა,
ვინც ჩამოვღვარე ზეცა ყინწვისში
და ზეცის ფერით დავხატე ფრესკა!

ვისაც თავს მადგა შუქი ციერი
და... ვეფხვში ვპოვე ქალთამზის ხატი,
მე ის ვარ, ვისაც შვიდნათლიერი
მზისშესადარი ასე მიყვარდა!

ვინაც იმ სვიან უხსოვარ დროში
სულის სიმაღლით ვწვდებოდი ზეკარს...
ვინც ახლაც თრთოლით ვდგავარ დიდგორში,
სისხლი ჩამომდის და ზარებს ვრეკავ!

## იმედიანი სონეტი

***რამეთუ ყოველი საიდუმლოჲ ამას ენასა შინა დამარხულ არს.***
***...და ესე ენაჲ შემკული და კურთხეული სახელითა უფლისაჲთა, მდაბალი და დაწუნებული – მოელის დღესა მას მეორედ მოსვლასა უფლისასა.***

**იოანე ზოსიმე**

მცხეთურ ჩუქურთმებს ჩახვევია მთვრალი
ვაზები,
და ვაზის ჯვარი მზის ემბაზში ნათლავს
წარმართებს,
იმ პირველყოფილ სიცხოველეს მზეს ვინ
წაართმევს,
თმით შეკონილი ჯვარი თვით მზედ
გარდისახება.

დაფარულს ადევს შეუცნობლის წმინდა
რაზები,
ღვთიურობს ენა და ლოგოსი წყვდიადს
ანათებს,
დაწუნებული და მდაბალი ღამეს გაათევს
და დღეს მოელის საიდუმლოს გამოცხადების

ამაღლებული შეიცნობა ოდენ ოცნებით
და სულის მზერის მიღმიერში ჩასხივოსნებით...
წარუვალ ნათელს მოიხილავს ადამიანი

და საგალობელს აამზევებს სული ცხოველი!
ქართულზე უფრო ქართულია სვეტიცხოველი
და ბაკმად ადგას უცნაური ღამე მზიანი!

* * *

დამღალა ბრძოლამ საკუთარ თავთან,
ყოველ სიხარულს დააკვდა მტვერი...
და შორეული მომავლის კართან
გაბრწყინებული დგას მონასტერი.

და მონასტერი მიმელის მხევალს,
ვით ღვინობისთვეს მხცოვანი მეზვრე,
მე კი ცრემლების კუბოში ვწევარ,
შავი კაბა კი კიდია მზეზე.

თითქოს მეწია ვილაცის წყევლა
და ყოველ ცოდვას მიწყავენ მისხლით...
საკურთხეველთან განრთხმულა რწმენა
და ჭრილობიდან გადმოსდის სისხლი.

მე თვალს ვარიდებ მონასტრის ნათელს,
ვით დამნაშავე მსაჯულის მზერას,
დაუნდობელი სინდისი მამხელს
და ეჭვიანი თვალებით
მზვერავს.

მონასტერი კი ბრწყინვას
უმატებს,
მზის ათინათებს ჩააფენს
გზებზე
და მეთერთმეტე ჟამის
მუშაკებს
ელის, ვით რთველობას
მხცოვანი მეზვრე.

* * *

***წარწერა კონსტანტინე გამსახურდიას ნოველაზე „ზარები გრიგალში“***

შემოგაღამდა, ოქროპირ მნათევ!
აქ სანთელს ახლა არავინ ანთებს,
არც სულს დებს ვინმე ღვთისათვის
მსხვერპლად...
შენ არ მეშვები, მოდიხარ ჩემთან,
სულს ეხები და ზარივით რეკავ.
სულში წკრიალით მიქრიან ხმები!
მე, ხორცი,უცბად ვჭკნები და ვქრები,
სული-ვმაღლდები და ვუერთდები
დაუსაბამო სიწმინდეს ციურს,
უჟამო ჟამს და სიმაღლეს ღვთიურს!
...და შორს მდუმარედ იშლება გზები,
სხივდაფენილი, მადლითმოსილი,
თითქოსდა არის ჩემი ქორწილი
და სანეტარო სასიძოს ვხვდები,
ღვთისგან რჩეული და დალოცვილი.
...აქ კი დაღამდა ძვირფასო მნათევ!
და ერთ სანთელსაც არავინ ანთებს,
მღვდელმა სავაჭრო გახსნა თემშარას,
სამიკიტნოა მთელი ქვეყანა!
...და ძაძა მოსავს ღვთაებრივ ნათელს!
მღვდელი არ არის, რომ გაზიაროს.
მნათევ, ღვინოში ჩაალბე პური,
ცის ხმას მიუგდე, საბრალოვ, ყური!
სული მზიანობს,სული მზიანობს,
თვით ქრისტესგან ხარ ზიარებული!
მტკიცედ მოჰკიდე ზარს, მნათევ, ხელი!
უფრო ამაღლდი, უფრო და უფრო!
ზარები გელის, ზარები გელის,
გაბრწყინებული სასუფეველი,
ნეტარება და უფლის საუფლო!

## მიგნება

მე ცად გეძებდი, ნაზარეველო!..
შენ აქ ყოფილხარ
ჩემს ცრემლებში,
ჩემს სინანულში...
შენ აქ ყოფილხარ
ალუჩის კვირტში
წვიმის თბილ წვეთში,
გაფუებული მიწის ხნულებში
და თოთო ბავშვის სუნით სავსე
ნათელ ოთახში...
შენ აქ ყოფილხარ
დედაჩემის მთრთოლარე ხმაში
და მოყვასის მზიან თვალებში...
... მე ცად გეძებდი, უფალო ჩემო!..

# ენობრივი პოლიტიკის შუქ-ჩრდილები საინფორმაციო ომისა და საქართველოს უსაფრთხოების კონცეფციის კონტექსტში

დასაწყისი გვ. 6

ზაზე დაახლოებით 5 ათასი ადამიანი მსახურობს.

რუსეთისთვის გაცილებით უსაფრთხოა გორი — ბორჯომი — ახალქალაქი — გიუმრის სახმელეთო გზა; მით უმეტეს, თუკი სამცხე-ჯავახეთში საუკუნენახევრის წინ რუსეთის იმპერიის მიერ ჩამოსახლებულ ეთნიკურ სომეხებს მიენიჭებათ საქართველოს „ავტოქთონონი უმცირესობის" უფლებები. შდრ.,ამგვარ უფლებებს რუსეთის პოლიტიკური წრეების გარდა ითხოვს:

— სომხეთის ოფიციალური ხელისუფლება;

— „ჯავახქის" ლიდერები (მაგ., ვაჰაგნ ჩახალიანი); ჯავახეთიდან სომხეთის პარლამენტის წევრი შირაკ ტოროსიანი და სხვ.; ასევე, რაც, საინტერესოა, „ევროსაბჭოს „უმცირესობის ენების ქარტიის" სამდივნოს წარმომადგენლები...

აქვე საინტერესოა აღინიშნოს ისიც, რომ „ვიკილიქსის» მასალების მიხედვით, საქართველოში აშშ-ის ელჩი ჯონ ტეფტი ვაშინგტონისთვის 2008 წლის 29 სექტემბერს მიწერილ ტელეგრამაში „სამართლიანად და კანონიერად» მიიჩნევდა ეთნიკური სომხების მიერ საქართველოში სომხური ენის რეგიონალურ ენად გამოცხადების შესახებ. http://www.ghn.ge/news49982.html

შემთხვევითი არც ის არის, რომ ამერიკის ხმამ საგანგებო გადაცემა უძღვნა „ჯავახკის" ერთ-ერთი მოსკოველი ლობისტის, რუსეთის საზოგადოებრივი პალატის წევრი ალექსანდრე ბროდის პოზიციას; კერძოდ, ის ამბობს: „საქართველოს ხელისუფლების მხრიდან, მე ვერ ვხედავ რაიმე სურვილს, ქვეყანაში არსებული ეთნიკურ-კულტურული ენების მრავალფეროვნება განავითაროს. ეს გამოწვეულია ხელისუფლების პოლიტიკური ბანკროტობით, უუნარობით, და იმ მიზეზით, რომ მათ სურვილი არ აქვთ, მისცენ ეთნიკურ უმცირესობებს თვითრეალიზაციის საშუალებები." http://www.amerikiskhma.com/content/regional-minority-languages101488904/531133.html იხ., ასევე:

ნორიკ კარაპეტიანის — 2010 წელს „ეროვნული მოძრაობა ჯავახკის" კონგრესის ერთ-ერთი ინიციატორის — პოზიცია, რომელიც გამოითქვა ამავე კონგრესზე:

• ციხიდან დაუყოვნებლივ გათავისუფლდნენ „ჯავახკის" აქტივისტები;

• რეგიონულ თვითმართველობების უფლებები დაუბრკოლებლად იყოს რეალიზებული;

• სომეხთა კომპაქტური განსახლების ადგილებში სომხურ ენას მიენიჭოს რიგიონული ენის სტატუსი; თანხმობა გაიცეს ჯავახეთში სომხურ-ქართული უნივერსიტეტის შექმნის შესახებ;

• გადაწყდეს სომხური სამოციქულო ეკლესიის იურიდიული სტატუსის საკითხი საქართველოში და დაუბრუნდეს მას სომხური ეკლესიები. http://news.ge/ge/news/story/27189-ivanishvili-javakhkis-tavmjdomaremshekhedulebebi-sheitsvala.

ახლახან ციხიდან გათავისუფლებული ვააგნ ჩახალიანის მსგავსი განცხადების შესახებ იხ.:

http://www.kvirispalitra.ge/politic/15403-vaagn-chakhaliani-da-qerthianijavakhkiq-separatizmis-akhali-safrthkhe.html?add=1

იხ. პრეზიდენტ სარქისიანის განცხადებაც:

რუსული სააგენტოს «ინტერფაქსის» ცნობით, სერჟ სარქისიანმა 2009 წლის 2 სექტემბერს განაცხადა: «სომხეთმა საქართველოში მცხოვრები თანამემამულეებისთვის დახმარების აღმოჩენას მთელი ძალისხმევა უნდა მოახმაროს. მიმაჩნია, რომ საქართველოში სომხური ენის რეგიონულად ცნობა, სომხური სამოციქულო ეკლესიის ეპარქიის რეგისტრაცია და სომხური ძეგლების დაცვა ქართულ-სომხური მეგობრობის გამყარებას და ურთიერთნდობის ატმოსფეროს გაღრმავებას შეუწყობს ხელს".

http://www.kvirispalitra.ge/politic/403-somkhethis-prezidenti-saqarthveloshi-somkhuri-enis-regionulenad-gamockhadebas-ithkhovs.html

იხ., ასევე: http://regions.ge/2&newsid=1955&year=2009&position=news-diary

სომხურისთვის საქართველოში რეგიონული ენის სტატუსის მინიჭებას მხარს უჭერს ქართველ პოლიტიკოსთა ერთი ნაწილიც; მაგ.:

2011 წლის თავის ერთ-ერთ ინტერვიუში ბ-ნი პაატა ზაქარეიშვილი აცხადებს, რომ საქართველომ აიღო ვალდებულება, რეგიონული ენის სტატუსი მიანიჭოს სომხურს და ის ამაში ცუდს ვერაფერს ხედავს იხ.:,ინტერვიუს მცირე ფრაგმენტი (http://tinyurl.com/abhn6xo):

–ზოგიერთი სომეხი პოლიტიკოსი ითხოვს, რომ სომხური საქართველოში რეგიონალურ ენად უნდა გამოცხადდეს. ასეთი მოთხოვნით გამოვიდა სომხეთის პრეზიდენტი სერჟ სარქისიანიც. – ეს არ არის მნიშვნელოვანი ამბავი. სომხებს ამით ცუდი არაფერი მოუთხოვიათ. რაც მთავარია, ისინი ჩვენ არაფერს გვაძალებენ. სომხურის რეგიონალურ ენად გამოცხადებაზე ჩვენ ვალდებულება გვაქვს აღებული, თანაც, ჰაერზე კი არა გვაქვს განცხადება გაკეთებული, ხელი გვაქვს მოწერილი. ამას ხელი სააკაშვილმა მოაწერა. – როდის მოხდა ამ ვალდებულებაზე ხელის მოწერა? – ეს მაშინ მოხდა, როცა ევროპის საბჭოში თავქუდმოგლეჯილები გავრბოდით. იქ ჩვენ 1999 წელს მიგვიღეს. მახსოვს, სააკაშვილი ძალიან გახარებული იყო. უხაროდა, იქ სომხეთსა და აზერბაიჯანზე ადრე რომ მიგვიღეს. ისინი ევროსაბჭოს წევრები 2000 წელს გახდნენ. სამაგიეროდ, ისეთი ვალდებულება არ აუღიათ, როგორიც ჩვენ. რაკი ვალდებულებები ავიღეთ, უნდა შევასრულოთ კიდეც. ასე რომ, სომხების მოთხოვნა რეგიონალურ ენაზე ნორმალურია. ამ ვალდებულებას თუ შევასრულებთ, ეს არ იქნება ტრაგედია. რეგიონალური ენების აღიარებით მოხდება ტემპერატურის დაცემა. საქართველოს ამ რეგიონში ისედაც ხომ სომხურად ლაპარაკობენ. თუ ამას ფორმალურ ჩარჩოებში მოვაქცევთ, მაშინ უფრო მეტად დავავალდებულებთ, რომ მათ სახელმწიფო ენა შეისწავლონ. ახლა, რაკი ჩვენ არ ვასრულებთ ჩვენს ვალდებულებას, ისინიც არ სწავლობენ სახელმწიფო ენას.

მოძმე სომეხი ერისა და საქართველოს სტრატეგიული პარტნიორის ამერიკის შეერთებული შტატების პატივისცემის, ასევე, რუსეთის სტრატეგიული ინტერესების ანალიზის ფონზე კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღვნიშნავ:

საქართველოში ისტორიული, ავტოქთონი უმცირესობა არ არსებობს!

მით უმეტეს ისეთი, რომელიც გაქრობის საფრთხის ქვეშაა. შესაბამისად, მკაცრად თუ დავიცავთ „ენის ქარტიის» პრინციპებს, საქართველოს შეუძლია ისე მოახდინოს «რეგიონული და უმცირესობის ენების შესახებ ევროპული ქარტიის» რატიფიკაცია, რომ საერთოდ არ გააკეთოს რეგიონული ან უმცირესობის ენების ჩამონათვალი, ან არ აამოქმედოს ქარტიის მესამე ნაწილი (ამის საფუძველს თუ საშუალებას იძლევა «განმარტებითი მოხსენების» 42-ე და 49-ე პუნქტები).

• საქართველოში კონსტიტუციითა დაცული აფხაზური ენა. საქართველოს ხელისუფლების კეთილი ნების შემთხვევაში, «ქარტიის» მეორე ნაწილი შეიძლება ამოქმედდეს დიდი საფრთხის წინაშე მყოფი ასირიული, უდიურისა და ოსურის ენების მიმართ, რომელსაც, როგორც ჩანს, სხვაგან არსად აქვს გადარჩენა-განვითარების პერსპექტივა.

შდრ.: საქართველოში დამკვიდრებული ეთნიკური უმცირესობების ენობრივი უფლებები დაცულია სახელმწიფოს კონსტიტუციითა და შიდა კანონმდებლობის სხვა სამართლებრივი დოკუმენტებით; ასევე: «ეროვნულ ან ეთნიკურ, რელიგიურ და ენობრივ უმცირესობათა უფლებების გაეროს დეკლარაციით". ამ მიზნითაა შექმნილი ასევე: — ოსლოს რეკომენდაციები ეროვნულ უმცირესობათა ენობრივ უფლებებთან დაკავშირებით და განმარტებითი ბარათი; თებერვალი, 1998 წელი (ეხება ეთნიკური უმცირესობების ენობრივ უფლებებს: ადგენს, როგორ, რა ფორმით და სად შეიძლება ეროვნული/ეთნიკური უმცირესობების ენების გამოყენება) http://www.diversity.ge/files/files/oslo-geo.pdf. — ლუნდის რეკომენდაციები საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ეროვნული უმცირესობების ქმედით მონაწილეობასთან დაკავშირებით და განმარტებითი ბარათი; სექტემბერი, 1999: http://www.diversity.ge/files/files/lund-geo.pdf http://conventions.coe.int/Treaty/Commun/QueVoulezVous.asp?NT=157&CM=8&DF=12/15/2008&CL=EN; — ევროსაბჭოს «ჩარჩო კონვენცია ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ" და სხვ.

უმცირესობების უფლებების დაცვის მიმართულებით ამ ბოლო დროს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი დოკუმენტი შექმნა საქართველოს მთავრობამ, კერძოდ, 2009 წლის მაისში პრემიერმინისტრის ნიკა გილაურის ხელმოწერით გამოქვეყნდა «შემწყნარებლობისა და სამოქალაქო ინტეგრაციის ეროვნული კონცეფცია და სამოქმედო გეგმა» /http://www.epfound.ge/files/koncepcia--geo.pdf, რომელიც შემუშავდა „ჩარჩო კონვენციის" საფუძველზე. ამ დოკუმენტითაც მაქსიმალურადაა დაცული სომხურენოვანი, აზერბაიჯანულენოვანი თუ სხვაენოვანი უმცირესობების ენობრივ უფლებები განათლების, მასმედიის და სხვა მიმართულებებით. ვფიქრობ, საქართველოში ბევრი რამაა გაკეთებული უმცირესობების ენობრივი უფლებების დაცვის მიმართულებით. უფრო პრობლემურია მათთვის სახელმწიფო ენის სწავლება და ქართული ენისა თუ მისი განშტოებების დაცვა.

„ენობრივი უფლებების" კონტექსტში საინფორმაციო შემოტევის მოსაგერიებლად და თავდასაცავად აუცილებელია, მთავრობის მიერ მომზადეს ისეთი დოკუმენტი, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოს სახელმწიფო ენისა და სხვა ქართველური ქვესისტემების დაცვასა და პოპულარიზებას; კერძოდ:

1. სახელმწიფო ენის სტატუსის დაცვასა და სწავლებას (სახელმწიფო ენა სახელმწიფოს ღირსებაა): სახელმწიფო მოხელეებისთვის სახელმწიფო ენის ფლობის სერტიფიკატის (დონეების მიხედვით) შემოღებას; 2. კუთხური მეტყველებების (მეგრული, ლაზური, სვანური, ტაოური, ფერეიდნული, ინგილოური, ფერეიდნული, ხევსურული, თუშური...) შესწავლა-გადარჩენასა და დიალექტური ლექსიკით ეროვნული სამწიგნობრო ენის გამდიდრებას /ამ მიმართულებით საგანგებო ღონისძიებების დაგეგმვაა საჭირო/;

3. ქართული სალიტერატურო ენისა და, ზოგადად, ქართველური ენობრივი სამყაროს ინტერაქტიული სწავლების პროექტების დაფინანსებას...

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით საქართველოს უსაფრთხოების კონცეფციაში უნდა შევიდეს შესწორებები; კერძოდ, საქართველოს ხელისუფლების მიერ შემუშავებულ «ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის « დოკუმენტში (რომელიც დევს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ვებგვერდზე (http://www.mfa.gov.ge/index.php?lang-id=GEO&sec-id=12), არ ჩანს, ჩემი აზრით, ხუთი არსებითი მიმართულება:

I.ქართველთა ენობრივ-ეთნიკური ერთიანობისა და უდიდესი მემკვიდრეობის ქართველთა კუთხური მეტყველებების (მეგრულის, ლაზურის, ხევსურულის, ტაოურის, თუშურის...) — შენარჩუნებისათვის ზრუნვა; II. ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის, ფუნქციონირების აღდგენის სტრატეგიის შემუშავება და ყველა სახის უმცირესობებისათვის საქართველოს სახელმწიფო ენის სწავლებით ინტეგრაციის რეალური პირობების შექმნა; III. ქართული ენის ტექნოლოგიზება; ამ კუთხით საქართველოს განათლების სისტემის დაგეგმვა საქართველოს სახელმწიფო ინტერესების გათვალისწინებით; IV. საქართველოს სახელმწიფოობრიობის ისტორიისთვის ქართულენოვანი მართლმადიდებლობისა და საქართველოს ეკლესიის განსაკუთრებული როლის აღიარება; V. ქართველების, განსაკუთრებით კი სამხრეთ კავკასიაში (ტაო-კლარჯეთი, ლაზეთი) მცხოვრები ავტოქთონი ქართველების ეთნიკური იდენტობისა და ქართველური კულტურული მემკვიდრეობისათვის ზრუნვა /ამ რეგიონში მეტია ქართული ენისა და მეობის გაქრობის საფრთხე/.

და ბოლოს: ნორმალურ სიტუაციაში «ენის ქარტია» არავისთვისაა საშიში. საქართველოსთვის «ენის ქარტია» საშიში მხოლოდ იმ შემთხვევაში გახდება, თუკი გარეშე ძალები ჩვენს ქვეყნას თავს მოახვევენ ამ დოკუმენტის ძირითადი პრინციპებისა და კრიტერიუმების არაადეკვატურ კვალიფიკაციებს.

რამდენადაც „ქარტია" პრეროგატივას ანიჭებს ქვეყნის ხელისუფლებას, რომელმაც დემოკრატიული პრინციპების გათვალისწინებით თავად უნდა განსაზღვროს ის კრიტერიუმები, რომლებზე დაყრდნობითაც ამ ქვეყნის ტერიტორიაზე გავრცელებულ ამა თუ იმ ენას მიენიჭება „დამოუკიდებელი ენის სტატუსი", არსებობს რეალური საფუძველი, საქართველომ დაადასტუროს „ენის ქარტია" ინგლისსა თუ ფინეთში ჩამოყალიბებული ლოგიკური პრინციპების მიხედვით.

**ტარიელ ფუტკარაძე**

# მძიმე სამხილი ნუგზარ წიკლაურის მამის მამუკა წიკლაურის წინააღმდეგ



*მიმდინარე წლის 25 თებერვალს Facebook-ის აქტიურმა მომხმარებელმა ბესო ხომერიკმა, ამ ავადსახსენებელ ისტორიულ თარიღთან დაკავშირებით თავის კედელზე გამოაქვეყნა ქვემომოყვანილი ტექსტი, რასაც გამოხმაურებები მოჰყვა.*



**Beso Khomeriki** ეს ამბავი 80-იანი წლებში მოხდა გამომცემლობა «მერანში». გამოსაცემად მზადდებოდა ქართული პოეზიის ანთოლოგია და შემთხვევით თუ გამიზნულად, კოლაუ ნადირაძის «თებერვალიც» (თოვდა... და თბილისს ებურა თალხი) შევიდა. მოხდა ისე, რომ წიგნის მხატვარმა გარეკანზე სწორედ კოლაუ ნადირაძის ამ ლექსის ფაქსიმილე გაუშვა. გაატარეს თუ მართლა ვერ შეამჩნიეს, ახლა ამაზე ლაპარაკს რა აზრი აქვს, მაგრამ კრებული ამ სახით დაიბეჭდა. და გასაყიდად რომ უნდა გაეტანათ, «მერანის» თანამშრომელმა ატეხა ერთო ამბავი და ცეკამდე მიიტანა ეს ამბავი. ის კაცი ქართველი პოეტი იყო და დღესაც ცოცხალია. მოგვიანებით გამსახურდიას მგზნებარე მომხრე გახდა. წიგნის მთელი ტირაჟი დააყადაღეს (ახლა რარიტეტული იშვიათობაა და ვისაც შემთხვევით აღმოაჩნდა, სასიგნალო ეგზემპლარად ნაჩუქარი, ალბათ), რასაკვირველია, ხოლო ამ «დაუდევრობას» გამომცემლობის რამდენიმე თანამშრომელი შეეწირა (კარგი კიდევ, 80-იანი წლები იყო და მხოლოდ მოხსნეს, თუმცა მოხსნეს ლამის მგლის ბილეთით) — ასევე ცნობილი მწერლები და ლიტერატორები. არ განვიკითხავ ამ ადამიანს, ვინც დაასმინა მთელი გამომცემლობა, ეგებ ნანობს კიდეც, რაც მოხდა. არც იმის მომხრე ვარ, რომ მშობლების შეცდომები შვილებმა უნდა ზღონ. მაგრამ ამ კაცის შვილი ყველაზე გააფთრებით იბრძვის დღეს მოღალატეების და კაგებეშნიკების წინააღმდეგ. ბატონ ნუგზარის მამაზე ვსაუბრობ).



**Nino Gugeshashvili** დატოვა ჩანაწერი **Beso Khomeriki**

22 საათის წინ

ბესო, შენი სტატუსი დავაკოპირე და ნახე ლიამ რა მიპასუხა:

**Лия Метревели** ნინო, ეს წიგნი ერთი დღე იდო „საქწიგნის“ საწყობში, მეორე დღესვე ბრძანება გვაახლეს და რეალიზაცია შეგვაჩერებინეს. მაშინ „საქწიგნის“ მმართველი ნოდარ ჯორჯიკია იყო, პირველი მოადგილე, ზურაბ ჩილაჩავა. რამდენიმე თანამშრომელთან ერთად ითათბირეს, მათ შორის ვიყავი მე და გადავწყვიტეთ გვეთქვა, რომ წიგნის მიღებული რაოდენობიდან ნახევარი გავყიდეთ.თითოეულს 20 -20 წიგნის წაღება მოგვიწია შინ. ჩემგან მოხვდა ეს წიგნი ახლობელი ჟურნალისტებისა და ფილოლოგების ოჯახებში.ზუსტად ასეთივე,თითქმის იდენტური ვითარება შეექმნა აკაკი ბაქრაძის „ილია ჭავჭავაძეს“. წიგნებს ვმალავდით, ვრისკავდით და შინ მიგვქონდა.მამუკა წიკლაურმა „მერანის“ გაყიდვიდან უზარმაზარი წილი ჩაიდო ჯიბეში და შინ დაჯდა, ცხრა წელი მისი შვილი „ჯეჯილობდა“ და დგანან, მორალს გვიკითხავენ. ისე, მაგრები არიან, კი გადაგვიქციეს სამშობლო დედინაცვლად!



**Lela kurdgelashvili** მე მაქვს ეს წიგნი. კოლაუს ლექსი შიგ ხელნაწერის სახითაა ჩართული. მახსოვს, დიდის ამბით მოიტანა დედაჩემმა სახლში. მაშინ ვერაფერს მივხვდი, ბავშვი ვიყავი და ვიცოდი, რომ 25 თებერვალი დასვენების დღე იყო. მაშინ რა ვიცოდი, ასეთი საბედისწერო თუ გახდებოდა ეს ლექსი მთელი ჩემი თაობისათვის.



**Khatuna Gabunia** **Tea Khoperia**

მინდა, განმარტება გავაკეთო ჩემს დღევანდელ განცხადებასთან დაკავშირებით ნუგზარ წიკლაურის მამის, მამუკა წიკლაურის შემთხვევის გამო. როგორც ჩემმა მეგობარმა შემატყობინა პირადად, მან გადაამოწმა ინფორმაცია მწერალთა კავშირის იმდროინდელ სხვა მწერალთან, სხვა გამომცემლობის თანამშრომელთან, რომელმაც თქვა შემდეგი: წიგნი რომ დაიბეჭდა, მერე გაიგო ცეკამო და პირიქით, მაგ წიგნის საფუძველზე გაათავისუფლეს სამსახურიდან... მამუკა, გრიგოლ ჯულუხიძე და იზა ორჯონიკიძეოოო.... და თუ თავად დაასმინა მამუკამ, მაშინ, ლოგიკურადაც, მას რატომ მოხსნიდნენო.

ასე რომ, ნამდვილად არ მინდა, არც ვინმეს ტყუილად ჩირქის მოცხება და არც დადუმება იმ შემთხვევაში, თუ რამე მსგავსი აქვს გაკეთებული. საბედნიეროდ, ბევრი ადამიანია დღეს ჩვენს ირგვლივ, ვინც მაგ ამბების შემსწრე და მცოდნე უნდა იყოს, და კარგი იქნება, თუ ვინმე დაინტერესდება და ეცდება, გაიგოს, რა და როგორ მოხდა სინამდვილეში.

*გვერდი მოამზადა*
**ქეთევან ჭანტურიამ**

***ხსენებული პირების ჩვენდამი გამოხმაურების შემთხვევაში, ჩვენ უფრო სერიოზულად ჩავუღრმავდებით ამ მეტად საჩოთირო საკითხს და მომავალ ნომერში გამოვაქვეყნებთ მას. ეს კი, უბრალოდ და მხოლოდ Facebook-იდან ამონარიდებით მომზადებული გვერდია და ცხადია არ წარმოადგენს ჩვენი გაზეთის კუთვნილ კორესპონდენციებს(რედ.).***

**კ უ ლ ტ უ რ ა**

# XXI საუკუნემ ხელოვნება გაასვენა?!

12 მარტს, საქართველოს მწერალთა კავშირმა და თბილისის მერიამ დიდი საიუბილეო შეხვედრა მოუწყო აზერბაიჯანის მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს, მსოფლიოში სახელგანთქმულ პოეტს ანარიანს. მეც, თქვენმა მონა-მორჩილმაც თბილი სიტყვებით, ჩემი ფერწერული ნახატი და ჩემივე ავტორობით გამოცემული წიგნი „ვაჟა-ფშაველა და დრო“ გადავეცი მოწვეულ სტუმარს. სიტყვით, რა თქმა უნდა, გამობრძანდა საქართველოს მწერალთა კავშირის მდივანი, დიდი პროზაიკოსი და საოცარი ორატორი რეზო მიშველაძე, რომელიც საინტერესო მისალმების შემდგომ, აზერბაიჯანის მწერლების ხელფასებითაც დაინტერესდა. პოეტ ანარიანის თქმით, აზერბაიჯანის უფროსი თაობის მწერლებს ხელფასის სახით ყოველთვიურად უხდიან 1000$, საშუალო თაობისას — 500$, ხოლო უმცროსი თაობის მწერლებს 300$. ეს მართლაც ღირსეული დაფასება და მზრუნველობაა მუზის მსახურთა მიმართ. საქართველოში კი, არც მწერლობა და მხატვრობაა დაფასებული, ერთობ დამშეულ-გაღატაკებულია შემოქმედი ხალხი, დაკნინებულია ეროვნული მწერლობა.

ჩვენი გაზულუქებული მთავრობის წევრები ასიათას დოლარიანი მანქანებით დაქრიან, სადილ-სავახშმოდ რესტორნიდან რესტორანში დასლოკინებენ და არც კი ახსოვთ შემოქმედი ხალხი. საზოგადოების გულცივობაც შემოქმედი ადამიანების მიმართ, მთავრობის მანკიერი პოლიტიკითაა განპირობებული. უკულტურო მთავრობას არ ანაღვლებს კულტურის მუშაკების დამცირებული და შეჭირვებული ყოფა. საქართველოს ეკლესიაც სრულ გულგრილობასა და უზრუნველობას ავლენს შემოქმედი კლასის მიმართ, მათგან მხოლოდ „შემოგვწირეთ“ ისმის და მოგვიმრავლდნენ ღიპიან-ჯიპებიანი მდიდარი მღვდლები მაშინ, როცა მხატვრების, მწერლების, მუსიკოსების მოქანდაკეების აბსოლუტურ უმრავლესობას საზოგადოებრივი ტრანსპორტით გადაადგილების საშუალებაც არა აქვთ და ცარიელი სატომაქით წერს, ხატავს... ამ მხრივ, ყველაზე მეტად, ახალგაზრდა შემოქმედთა ყოფაა მტანჯველი და გაუსაძლისი, რომელიც საღებავის ფულსაც კი ვერ შოულობს ხშირად.

დედაქალაქის მერია, ზოგჯერ კი ეხმარება შემოქმედ ადამიანებს გამოფენების მოწყობაში, წიგნების გამოცემაში. პირადად მეც დამეხმარნენ და მადლობელიც ვარ, მაგრამ ამას ხომ სისტემური ხასიათი არა აქვს, არამედ ბედნიერ გამონაკლისსა და იშვიათ მოვლენას წარმოადგენს. შემოქმედებას კი მუდმივი



თანადგომა და მხარდაჭერა ჭირდება, სწორედ სახელმწიფოსაგან. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს შემოქმედების განვითარება. ამისთვის ბიუჯეტში უნდა იყოს გაწერილი გარკვეული რაოდენობის თანხები. სახელმწიფომ, აგრეთვე უნდა დაავალოს ბიზნესმენებს მწერალთა კავშირის, მხატვართა კავშირის, კომპოზიტორთა კავშირისა თუ ყველა შემოქმედებითი კავშირების მეურვეობა მცირედი დახმარებებით მაინც, რომ შემოქმედი ხალხი სულ მთლად მიტოვებულად და დაუცველად არ გრძნობდნენ თავს და სასოწარკვეთილებაში არ ვარდებოდნენ ეს უფაქიზესი სულის ხალხი.

ბოლოს და ბოლოს, სახელმწიფო ქონების ერთ-ერთი მეწილე ხომ შემოქმედი ადამიანებიც არიან და მათ მიზერული წილი მაინც ხომ ეკუთვნით ამ საერთოსახალხო ქონებიდან. რეალურად, ყველა ქონებიდან ამოქაჩული ფული სახელმწიფო ბიუჯეტსა და ხელისუფალთა პირად ყულაბაში იყრება, რომელიც შავი კუბოა ერის კულტურისა და ცივილიზაციისათვის.

1992 წლის შემდგომ, ჩვენს ქვეყანაში გაჩნდნენ მრავალი მოწვევის პარალამენტარები და მრავალჯერადი მინისტრები, რომელთა ხელფასები და პრემიების სახით შემოსავლები ბევრ კაპიტალისტურ და განვითარებული ქვეყნების ხელმძღვანელი პირების შემოსავლებს აჭარბებს და ყოველ მათგანს, ასევე გარანტირებული აქვთ სოლიდური პენსიებიც. ხოლო, „ხმალი ავლესოთ, ქართველებო“ს და „დავით აღმაშენებლის“ ავტორი დიდი პოეტი თინათინ მღვდლიაშვილი კი წლებია სიცივესა და უკიდურეს სიდუხჭირეში ცხოვრობს, ხილი ენატრება.

ჩვენ, ყველამ ერთად, ხელისუფალთა მიერ შექმნილ ხელოვნების ნიმუშებით სავსე შავ კუბოს, უნდა გამოვტაცოთ შემოქმედების ნაწარმოებები, უბედურების კუბო ხრამში გადავჩეხოთ და ხარბი და გაუმაძღარი ხელისუფლება განვდევნოთ სათავეებიდან და ავაღორძინოთ XXI საუკუნის ქართული სულიერი ცივილიზაცია, რათა ის მარადიული ფანჯარა, მომავალ თაობებს, უაზრო შავ კვადრატად არ ექცეს...

*მხატვარ-პროზაიკოსი*
**რეზო ადამია,**
***2013 წლის მარტი.***

**პოლემიკა**

# აი, ასე წერდა ზვიადი...

სულიერ–ინტელექტუალურ ფასეულობათა სამყაროში მკაფიოდ განსაზღვრული იერარქია ბატონობს. ეს იერარქია იმდენად მკაცრი და შეუვალია, რომ თავის წიაღში სავსებით გამორიცხავს ეგალიტარულ მისწრაფებებს. ის ვერ ჰგუობს მდაბიური სიტლანქითა თუ სნობური ამპარტავნებით აღბეჭდილ ფსევდოქმნილებებს, ალმაცერად შესცქერის მათ ავტორებს და „მასობრივი კულტურით" გატაცებულ მილიონებს... „მე არ ვენდობი მწერალს, რომელიც უამრავ ხალხს მოსწონს, ისევე, როგორც არ ვენდობი უამრავ ხალხს". (პოლ ვალერი).

* * *

ზვიად გამსახურდიამ, როგორც მოღვაწემ, მწერალმა და მეცნიერმა, უკვე დაიმკვიდრა ღირსეული ადგილი ქართველ იერარქთა შორის. ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ მასზე დღემდე გაუთავებლად საუბრობენ, დავობენ, კამათობენ და ლეგენდებსაც კი თხზავენ. ამ თვალსაზრისით მეტად საყურადღებოა გაზეთ „განმათავისუფლებელში" გამოქვეყნებული პუბლიკაციები, რომლებიც ზვიად გამსახურდიას სახელით გავრცელებულ რამდენიმე ლექსს ეხება. ამ ლექსებიდან საზოგადოების განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს „ქრისტეშობა", რომელიც 1992 წლის 7 იანვრით არის დათარიღებული.

მკითხველს აქვე შევახსენებთ, რომ ამა თუ იმ ქმნილების ავთენტურობის საკითხი არაერთხელ ქცეულა კამათის საგნად. მაგ: რამდენიმე წლის წინათ ერთ–ერთ ქართულ გაზეთში („ჯორჯიან თაიმსი") დაიბეჭდა ლექსი „ყველაფერი კარგად იქნება". ეს პრიმიტიული ნაწარმოები, ალბათ, ვერასოდეს გახდებოდა მკითხველის ყურადღების ღირსი, რომ არა მისი უწმინდესობის – ილია მეორის სახელი, რომელიც ლექსის ავტორად იყო გამოცხადებული. საპატრიარქოს პროტესტის შემდეგ ყველაფერს ნათელი მოეფინა, მაგრამ ფაქტი მაინც ფაქტად დარჩა: მთელი ერთი კვირის განმავლობაში, ანუ გაზეთის მორიგი ნომრის გამოსვლამდე, – „პატრიარქის ლექსი" ხელიდან–ხელში გადადიოდა, ზოგი „აღფრთოვანებული" იყო, ზოგიერთები კი გაოცებისგან მხრებს იჩეჩავდნენ – ეს „რა უთქვამსო"...

ზვიად გამსახურდიას სახელით გავრცელებული „ქრისტეშობა" პროფესიულად გაანალიზეს ქალბატონმა ლეილა ცომაიამ, ბატონმა ომარ გოჩელაშვილმა, ბატონმა კონსტანტინე გამსახურდიამ და სხვებმა, რომლებმაც დამაჯერებლად ცხადყვეს, რომ პოეტიკის, სტილისტიკის, ლექსიკისა და მსოფლმხედველობის თვალსაზრისით ეს ქმნილება ზვიად გამსახურდიას არ ეკუთვნის. ჩვენთვის დღემდე უცნობი რჩება მისი ნამდვილი ავტორის ვინაობა, რომელსაც, ალბათ, სურდა მკითხველისათვის წარმოეჩინა სამშობლოდან განდევნილი პრეზიდენტის მძიმე საშობაო განცდები, მაგრამ რელიგიური თემატიკა, რომელიც ასე ღრმად ჰქონდა განცდილი ზვიად გამსახურდიას, გაცილებით მეტ პოეტურ არსენალს საჭიროებს.

როგორ წერდა თვითონ ზვიად გამსახურდია? შედარებითი ანალიზისთვის ამ საკითხის განხილვა, ვფიქრობ, რამდენიმე ნაბიჯით მიგვაახლოვებს რეალობას.

* * *

„პოეტის ცხოვრების ფინალი ხშირად დასაწყისია მისი შემოქმედების ჭეშმარიტი გაგებისა. ეს ფინალი მუდამ სიმბოლურია და ძირეულზე მიუთითებს" (ზვიად გამსახურდია, „პერსი ბიში შელლის ლირიკა").

ზვიად გამსახურდიას ცხოვრების ფინალიც სიმბოლურია და ამიტომ ისიც „დასაწყისია მისი შემოქმედების ჭეშმარიტი გაგებისა".

„მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრება თითქმის პატიმრობაში გავატარე. იყო ნამდვილი პატიმრობა, შინაპატიმრობა, გადასახლება, ციხე... იყო პერიოდი, ლუკმა–პური უჭირდა ჩემს ცოლ–შვილს, **მაგრამ მე სხვაგვარად არ შემეძლო... ადამიანში არის რაღაც, რასაც ვერაფრით შეცვლი, ალბათ, ესაა ბედისწერა. მე არასოდეს მიფიქრია სხვაგვარ ცხოვრებაზე"** (ზვიად გამსახურდია). დიახ! მას იმთავითვე შეცნობილი ჰქონდა თავისი „ბედისწერა" და „სხვაგვარად არ შეეძლო", მარტვილის მძიმე გზით უნდა ევლო.

ზვიად გამსახურდიას პოეტური ქმნილებები ღრმა ქრისტიანული სულისკვეთებით არის აღსავსე. ლირიკული პერსონაჟებიც გამოკვეთილი რელიგიური განწყობით გამოირჩევიან და გარდასულ დროთა არქაულ სურნელს აფრქვევენ. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ დავით გურამიშვილის შემდეგ ქართული ლირიკის საგანძურში თითქმის არ მოიპოვება ქრისტიანულ–ბიბლიური თემატიკის ისეთი შთამბეჭდავი ვარიაციები, როგორიც ზვიად გამსახურდიას ლექსებში გვხვდება. აქ ლირიკული პროტაგონისტი ახალ შინაგან სიცოცხლეს ანიჭებს ცალკეულ ბიბლიურ ეპიზოდებს და მათ წიაღში აგრძელებს არსებობას. მაგალითად, ერთგან ავტორი გეთსემანიის ბაღში იესოს ლოცვის პოეტურ ხატს წარმოსახავს და უჩვეულო თვითიდენტიფიკაციასაც ახდენს. ამ მშვენიერი ლექსის სახელწოდებაა „მამა" და იგი ისეთი ღრმა შინაგანი სევდით არის აღსავსე, როგორსაც მოსალოდნელი განსაცდელის ცხადი ხილვა აღძრავს ხოლმე ადამიანში:

**„თვალნი ყოველთანი შენდამი ესვენ,**
**უფალო, ამაცდინე სასუმელი ესე.**
**მამა ხარ ყოველთა, ძეთათვის მზრუნველი,**
**უფალო, ამაცდინე ესე სასუმელი.**
**ნუ ჩემი იყოფინ, არამედ შენი,**
**შენ თავად ნება ხარ, სიმართლის მჩენი.**
**ხამს მოყვასისათვის სიმძიმე ვითვისო,**
**გვედრი, შემიწყალე, ძეო დავითისო!"**

მკითხველისთვის იმთავითვე ცხადია, თუ რომელ „სასუმელზეა" აქ საუბარი და რისი გამოძახილია ავტორის ვედრება. მაგრამ ჩვენს განცვიფრებას იწვევს ის წინასწარმეტყველური მინიშნება, რაც ლექსის ქვეტექსტშია დაფარული. გეთსემანიის ბაღში მამისკენ ხელაპყრობილი მლოცველის მსგავსად, ვერც ზვიად გამსახურდიამ აიცილა მწარე „სასუმელი" და ბოლომდე შესვა იგი.

ასეთსავე ალეგორიას ვხვდებით ტერენტი გრანელისადმი მიძღვნილ მეტად ორიგინალური სტრუქტურის მქონე კიდევ ერთ ლექსში. შეიძლება ითქვას, რომ ავტორს აქ თავის თავზე, მთლიანად ინდივიდუალურ გრძნობებსა და განცდებზე გადააქვს მკითხველის ყურადღება, მაგრამ ყველაფერი „შეფარვის" ისეთი ხიბლით არის მოსილი, რომ ულრმესი თანაგანცდით აღავსებს მკითხველს. ზვიადს თავად უთქვამს ჩემთვის, – ტერენტი გრანელი მე თვითონ ვარო... ამ ლექსის ერთ ქვეთავს „ეპიტაფია" ჰქვია და იგი ღრმად ტრაგიკული ხილვებით არის აღსავსე. აი, ისიც:

**„ვჭვრეტ საღამოს – ნიმბიანს, დანისლულს,**
**ო, რაგვარად ეუცხოვა ტანი სულს...**
**შენკენ მომაქანებს ფიქრის ჩქარი წვა მე**
**რარიგ მეუცხოვა საკუთარი გვამი...**
**ვდუმვარ და არა აქვს ძალა ჩემს სტრიქონებს:**
**ბინდიან ფიქრებში ქარი თუ მიგონებს...**
**რარიგ ვეუცხოვე სამყაროს ცივ დენას,**
**ნექტარიც წავიღე და შხამიც იმდენი...**
**რარიგ ვეუცხოვე მიწის გაშლილ მკლავებს,**
**გასცქერის გოლგოთა გაძარცვულ საფლავებს..."**

ეს არის სულისშემძვრელი ხილვა და ბედისწერის წინასწარი განჭვრეტა, სიკვდილის ცხადი და ხელშესახები შეგრძნება. ეს სწორედ ის ბედისწერაა, რომლის შეცვლაზეც მას არასოდეს უფიქრია, რადგან „სხვაგვარად არ შეეძლო".

დიახ, სხვაგვარად არ შეეძლო! თითქოს თავის თავზე წერდა: „ცხოვრების დინების საწინააღმდეგო სვლა, ჯერ კიდევ ადრე, სიჭაბუკეში გადაექცა ვნებადო".

ასე ცხოვრობდა ზვიად გამსახურდია.

აი, ასე წერდა ზვიად გამსახურდია!

**თემურ ქორიძე**

# ზვიად გამსახურდიას კუთვნილებად მიჩნეულ ლექსების გამო

ზვიად გამსახურდიას კუთვნილებად მიჩნეულ ლექსებთან დაკავშირებით („ჩემი თაობა", „ქრისტეშობა" და „ქვაბავაზაკი") კვლევა გავაგრძელეთ და ამ წერილით ვასრულებთ მას. კვლევის შედეგად კი დადგინდა, რომ ლექსის – „ჩემი თაობა" – ნამდვილი ავტორი გახლავთ ლ ი რ ი კ ო ს ი პოეტი პეტრე პეტრეს ძე ბაგრატიონ-გრუზინსკი (გარდაიცვალა 1984 წელს, დაკრძალულია სვეტიცხოვლის ტაძარში). ჩვენ სიტყვა „ ლირიკოსს", პოეტ პეტრე გრუზინსკის მიმართ შეგნებულად გავუსვით ხაზი, ვინაიდან ბატონი პეტრეს ლირიკული ლექსებისაგან მკვეთრად განსხვავებული „დისიდენტური" სულისკვეთების (და ასეთი მას სულ ხუთიოდე ლექსი აქვს) ამ ლექსში იგი მებრძოლ რაინდად და გულმხურვალე პატრიოტად წარმოჩინდება. პატრიოტული სულისკვეთების გაჟღერება გახლდათ მისი ხელნაწერი ჟურნალი „ანათემა" (1944 წ.), რომელშიც პოეტი წერდა: „დღეს ბაგრატიონს აღარ მარტყია მეფე ერეკლეს პირბასრი ხმალი..." როგორც ვიცი, ბატონი პეტრე საქართველოს უკანასკნელი მეფის გიორგი XII პირდაპირი შთამომავალი გახლდათ. რეპრესირებული პეტრე გრუზინსკის პატრიოტული ლექსები საბჭოთა პერიოდის ცენზურის მიერ აკრძალული იყო და ხალხში ხელნაწერის სახით ხელმოუწერლად ვრცელდებოდა. უთუოდ ამან განაპირობა მოგვიანებით მის ლექსზე ზვიადის ინიციალების გაჩენა მავანი მკითხველის მიერ. პეტრე გრუზინსკის ლირიკაზე შექმნილი ცნობილი სიმღერები კი დღესაც სიამით გვივსებს გულებს.

ჩემდა სამარცხვინოდ, ჩემთვის დღემდე არ იყო ცნობილი 2009 წელს პეტრე ბაგრატიონ- გრუზინსკის ლექსების სრული კრებულის (თუმცა ძალზე მცირე, სულ 300 ცალი ტირაჟით) გამოცემის შესახებ, ვიდრე ჩვენი გაზეთის აქტიურმა უხუცესმა მკითხველმა, 93 წლის ქალბატონმა თინა თუაშვილმა არ დამირეკა და არ მამცნო, რომ ლექსი „ჩემი თაობა" პეტრე გრუზინსკის ახალ გამოცემაში პირველ ლექსად არის შეტანილიო. მე დაუხანებლად ვეწვიე მას, რომელმაც გარკვეული დროით მათხოვა ეს აკადემიური გამოცემა (გამოცემა ეკუთვნის გიორგი ლეონიძის ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმს). ამ სქელტანიან წიგნში სადავო ლექსი „ჩემი თაობა" აქ, თუმცა უსათაუროდ, მაგრამ მართლაც პირველ ლექსად აღმოჩნდა შეტანილი და თან, სრული ვერსიითა და დაწერის თარიღის მითითებითაც – 1948 წელი, რისი გაცნობისთვისაც დიდ მადლობას ვუხდი ქალბატონ თინა თუაშვილს.

უნდა აღვნიშნოთ, რომ „ჩემი თაობა", რამდენიმე წლის წინ, ელიზბარ ჯაველიძის რედაქტორობით გამომავალ გაზეთ „აისშიც", ზაზა დავითაიას პუბლიკაციაში დაიბეჭდა, როგორც ზვიად გამსახურდიას ლექსი, რასაც პეტრე გრუზინსკის შვილის ქალბატონ მზია ბაგრატიონ-გრუზინსკის სატელეფონო საყვედური მოჰყვა, რის გამოც გაზეთის მომდევნო ნომერში რედაქციამ აღიარა შეცდომა და მოუბოდიშა პოეტის ქალიშვილს.

მაშასადამე, ქალბატონ მზია ბაგრატიონ-გრუზინსკის დოკუმენტური მტკიცებითა და ამ დასტამბული წიგნის მიხედვითაც დასტურდება, რომ ლექსი „ჩემი თაობა" ეკუთვნის პოეტსა და თეატრის რეჟისორს პეტრე ბაგრატიონ-გრუზინსკის.

ლექს „ქრისტეშობასთან" დაკავშირებით კი, 9 თებერვალს, მოკლე წერილის თანდართვით Facebook-ზე გაზეთის ლინკი გავუგზავნე ჩემს მიერ ამ ლექსის სავარაუდო ავტორად შერაცხულ ცოტნე გამსახურდიას, მაგრამ მან წერილზე პასუხს დუმილი ამჯობინა, ანუ, არც დაადასტურა და არც უარყო ჩემი ვარაუდი (იხილეთ მისდამი მიწერის ტექსტი):



**Tsotne Gamsakhurdia**

**Leila Tsomaia**



**გამარჯობათ ცოტნე, გთხოვთ ყურადღებით გაეცნოთ მე-11 გვერდზე განთავსებულ მასალას და ამასთანავე გთხოვთ, თქვენს პირუთვნელდააკადემიურპასუხსსაგაზეთოდ. http://iberiana2.files.wordpress.com/2013/01/n34.pdf**

მინდა ბოდიშის მოხდით განვაცხადო, რომ ვინაიდან მე ფორს-მაჟორულ ვითარებაში აღმოვჩნდი მკვლევარის მდგომარეობაში, წინა პოლემიკაში დრო არ მეყო მეტი წყაროების მოსაძიებლად, რაც ყველაზე მეტად დაეტყო ლექსებს „ჩემი თაობა" და „ქვაბავაზაკი". ეს უკანასკნელი ლექსი („ქვაბავაზაკი") ირინე ტალიაშვილს 2000 წელს დაუბეჭდავს თავისი რედაქტორობით გამომავალ ჟურნალში „კარდუ", როგორც ზვიად გამსახურდიას მიერ 80-იან წლებში დაწერილი ლექსი (იხ. „კარდუ" N2, გვ.24). ხსენებული ლექსი, უფრო უადრეს კი შეტანილი აქვს კონსტანტინე გამსახურდიას (უმცროსი) თავის 1977 წელს გამოცემულ წიგნში (რომელიც წაკითხული მქონდა, მაგრამ არ მახსოვდა) „დინების საწინააღმდეგოდ" ( გვ. 50-52) და მასვე, თავისი სიმამრის, ჯონდო ბარდაველიძის მეშვეობით დასაბეჭდად გადაუცია ჟურნალ „კარდუსთვის", რამეთუ თავად კონსტანტინე იმ პერიოდისათვის იძულებით ემიგრაციაში, შვეიცარიაში იმყოფებოდა (დაბრუნდა 2003 წლის ბოლოს).

ბატონი კონსტანტინეს თქმით, ლექსი „ქვაბავაზაკი" ნამდვილად ზვიად გამსახურდიას ეკუთვნის და იგი მას, თავად ზვიადის ხელნაწერაში, ორიგინალში აქვს წაკითხული, მაგრამ ლექსი, არამც და არამც არ ასახავს ამჟამინდელი პატრიარქის ილია II-ის პერიოდის ეკლესიის მამების ყოფას (შეგახსენებთ, რომ ილია II კათოლიკოს-პატრიარქად აღსაყდრება მოხდა 1977 წელს), არამედ დაწერილია, უფრო ადრე, 1972 წლამდე და კონკრეტულად ამხელს გაიოზ (ბიძინა)კერატიშვილსა და მისი ტიპის სამღვდელო პირებს კათოლიკოს-პატრიარქების ეფრემ II და დავით V (დევდარიანი) პერიოდისას. ასეთივე თვალსაზრისი გამოთქვა ჩემთან პირად საუბარში თემურ ქორიძემაც. ზემომოყვანილი არგუმენტების მიხედვით შეიძლება დავასკვნათ, რომ მცდარია ირინე ტალიაშვილის წინათქმა ლექსის დაწერის თარიღისა (80-იანი წლები).

კონსტანტინესავე თქმით, ამ ლექსს ზვიადი არანაირ მხატვრულ ღირებულებას არ ანიჭებდა, რაც უთუოდ გახდა მიზეზი, რომ ზვიადმა იგი არ შეიტანა 1989 წელს გამოცემულ თავის ლექსების კრებულში „მთვარის ნიშნობა". ჩვენი შეფასებით, ეს გახლავთ ექსპრომტად დაწერილი ლექსი, რომელსაც კონკრეტული ადრესატი (გაიოზ კერატიშვილი) ჰყავდა.

ამ წერილით ჩვენ ამოვწურეთ კვლევა სადავო ლექსებისა და თუ ვინმეს გაუჩნდება სურვილი უფრო არგუმენტირებული პოლემიკისა, სიამოვნებით დავუთმობთ გაზეთის გვერდებს.

**ლეილა ცომაია**

# “ყველა ადამის შვილი ვართ, თათარიც ჩვენი ძმა არი“, მაგრამ „უპირველესად ვაღმერთებ ქართველს“!

დასაწყისი გვ. 9

აჭარაში ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში 25 ათასი თურქი შემოვიდაო, რაზეც ჩვენი ხელისუფლება დუმილს ამჯობინებს!

ბოლო დროს საინფორმაციო საშუალებებმა გაავრცელეს ინფორმაცია ე.წ. მესხეთელი თურქების საქართველოში „რეპატრიაციის“ შესახებ.

ეს ძალზედ საშიში და დამუპველი აღმოჩნდება ქართული სახელმწიფოებრიობისათვის. აშკარაა მეჩეთების მომრავლების ტენდენცია გამიზნულად ხდება, წინასწარ ახვედრებენ მათ სამლოცველო სახლებს.

თუ „რეპატრიაციაა“ მაშინ ნამდვილი სარეპატრიანტო ადგილი მათთვის დღევანდელი თურქეთია და არა მესხეთ-ჯავახეთი, სადაც მათი წინაპრები, როგორც დამპყრობლები ისე შემოვიდნენ.

საქართველოს უკანონო რეჟიმების კაპიტულანტური საგარეო პოლიტიკა შეგნებულადაა მიმართული საქართველოს სახელმწიფოებრიობის მისი ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ.

ბოლნისში აზერბაიჯანელებმა მეჩეთის მშენებლობა დაასრულეს და საზეიმოდ გახსნეს. ეს მეჩეთი 2 წლის განმავლობაში შენდებოდა საქართველოს წესდების უხეში დარღვევით, რადგან წესდების მიხედვით მშენებლობა საქართველოს საყდრიონთან უნდა შეთანხმებულიყო.

ბოლნისში აშენებული მეჩეთი იმ დიდი გაყიდვა-გარიგების ნაწილია, რომელიც სააკაშვილმა თურქეთთან და აზერბაიჯანთან საიდუმლოდ დადო. სააკაშვილმა საფასურად კი 200 მილიონი ამერიკული დოლარი ჩაიჯიბაო.

ალიევის ძეგლი და ალიევის ქუჩა თბილისში სააკაშვილის მადლიერების კიდევ ერთი გამოხატულებაა გულუხვი ქრთამისათვის, რომელიც აზერბაიჯანმა მისცა.

თურქეთმა სააკაშვილის მოსყიდვით მიიღო:

– საქართველოს საჰაერო გზების და საჰარო სადგურების შეუზღუდავი მართვის უფლება;

– აჭარაში მოქმედების თავისუფლება, ქარხნების და სხვა თურქული დაწესებულებების გახსნის შუზღუდავი უფლება, სადაც ქართველებს მხოლოდ მონების მდგომარეობა აქვთ;

– 1944 წელს სამხრეთ კავკასიიდან გასახლებული თურქების საქართველოს სამხრეთში, თურქეთის საზღვრის გასწვრივ ჩასახლება;

– თურქული უხარისხო და ხშირად დაავადებული პროდუქტის შეუფერხებელი შემოტანის საშუალება;

– თურქული საწარმოები საქართველოში სარგებლობენ განსაკუთრებული მდგომარეობით – დაბალი გადასახადები ან სულაც გათავისუფლებულნი არიან გადასახადებისაგან;

– თურქებს საქართველოდან იაფად და შეუფერხებლად გააქვთ ხე-ტყე, ჯართის სახით ფერადი ლითონები, რკინეულობა და სხვა.

აი, ასეთია საქართველოს ნგრევის სტრატეგია.

და ეს ყველაფერი ხდება რელიგიური „ტოლერანტობისა“ და მსოფლიოში აღიარებული „დემოკრატიული პრინციპების“ დეკლარაციით. თუმცა ვნახოთ რა მდგომარეობაა ამ მხრივ თავად ევროპის ქვეყნებში. გავაკეთოთ მოკლე ისტორიული ექსკურსი:

ისლამმა ფეხი ევროპაში, ჯერ კიდევ ადრეულ შუასაუკუნეებში, არაბეთის ხალიფატის გაძლიერებისას შედგა. არაბები გადავიდნენ ხმელთაშუა აუზის სანაპირო ევროპის ქვეყნებში. მეშვიდე საუკუნიდან ისინი დამკვიდრდნენ თითქმის მთელს ესპანეთსა და პორტუგალიაში და მოედვნენ მიმდებარე ტერიტორიებს და დარჩნენ დღევანდელი ესპანეთის სამხრეთში 1492 წლამდის. მათი განდევნის შემდეგ ეს ქვეყნები კვლავ გაქრისტიანდა და ამის შემდეგ ევროპის სამხრეთში საერთოდ აღარ დარჩა მუსლიმური უმცირესობები.

იტალიაში მუსლიმები შეჰყავდათ ერთმანეთში მოქიშპე მთავრებს. იტალიის ტერიტორიების ნაწილი დაპყრობილ იქნა მუსლიმების მიერ და გამუსულმანდა. იქ ისლამი ბატონობდა სანამ 753 წელს არ შეიქმნა თეოკრატიული სახელმწიფო. კუნძული პანტელერიაზე 700 წლამდის, სარდიანიაზე 720 წლამდის. სიცილიაზე, რომელიც 827 წლიდან 1091 წლამდის არაბთა უღელქვეშ იმყოფებოდა, მუსულმანებმა მიაღწიეს მოსახლეობის 50%, როგორც ეს მოხდა ესპანეთში, სადაც არაბები და ბერბერები 150 წლის განმავლობაში იმყოფებოდნენ.

დღევანდელ იტალიაში მუსულმანები, რომელთა რაოდენობა მილიონზე მეტია, არიან ხიზნები მაროკოდან, ალბანეთიდან და ტუნისიდან. ეგვიპტელები, ბანგლადეშლები და სენეგალელები, დღესდღეობით ხიზანთა ყველაზე დიდ ჯგუფებს წარმოადგენენ.

1354 წლიდან ოსმალები დარდანელით გადავიდნენ აღმოსავლეთ ევროპაში და დაიპყრეს ბალკანეთის დიდი ნაწილი, 1453 წელს კი კონსტანტინეპოლი. მათი ექსპანსია აღწევდა წმინდა რომის იმპერიის დედაქალაქ ვენამდის (1529 და 1683 წ.წ.). მეორე წარუმატებელი ალყის შემდეგ მთავრდება ევროპაში ისლამური ლაშქრობები. განმანთავისუფლებელი ომების შედეგად, რომელიც გრძელდებოდა 1913 წლამდის, ოსმალურმა სახელმწიფო საზღვრებმა დაიხიეს დღევანდელი თურქეთის საზღვრებში. მაგრამ ასწლეულების განმავლობაში ილამურმა ბატონობამ თავისი კვალი დატოვა და ევროპაში დარჩა ორი ისლამური ქვეყანა ალბანეთი და ბოსნია. მაკედონიაში, სერბიაში, საბერძნეთსა და ბულგარეთში კი დარჩნენ მუსულმანური უმცირესობები.

2005 წლის მონაცემებით ევროპაში ცხოვრობდა 35-დან 53 მილიონამდის, რაც ევროპის 700 მილიონიანი მოსახლეობის 5-7,5% იყო. ერთ მესამედამდე – 14-დან 42 მილიონამდის მოდიოდა რუსეთზე, 16 მილიონი ევროკავშირზე და 6 მილიონამდე მუსლიმი კი ცხოვრობდა თურქეთის ევროპულ ნაწილში, ალბანეთსა და კოსოვოში, სადაც მუსლიმები უმრავლესობას წარმოადგენენ. მუსლიმთა უმრავლესობა მძლავრობს, აგრეთვე ბოსნია- ჰერცოგოვინაში, კვიპროსის ჩრდილოეთში, სერბეთის მხარე ნოვი ფაცარში, ბულგარეთის, მაკედონიისა და საბერძნეთის ზოგიერთ პროვინციაში.

ევროკავშირის ქვეყნებიდან საფრანგეთში ცხოვრობს 5-6 მილიონი, გერმანიაში 5 მილიონამდის მაჰმადიანი. 2004 წლისათვის ევროკავშირის მოსახლეობის საშუალო მაჩვენებელში მუსლიმები შეადგენდნენ 3,28%. ევროპის საშუალო მაჩვენებლით საფრანგეთში მათი რაოდენობა შეადგენს 8,2%, ნიდერლანდებში 5,7%, საბერძნეთში 4,9%, გერმანიაში 4,7% და ბელგიაში 5%, ავსტრიაში 4,2%, შვედეთში კი მოსახლეობი 6%.

გერმანიაში, როგორც უკვე მოგახსენეთ, მუსლიმთა რაოდენობა 4,7% შეადგენს. ახალშობილთა რაოდენობაში მუსლიმი ბავშვების ხვედრია 10%. რაინსა და ნორდჰეინ-ვესტფალიის რურში ყოველი მეოთხე მოსწავლე ისლამის მიმდევარია. თუ საფრანგეთსა და იტალიაში დომინირებენ არაბი მუსულმანების ჯგუფები, გერმანიაში დომინირებს თურქული ჯგუფი.

შვეიცარიაში დომინირებენ მუსულმანები ყოფილი იუგოსლავიიდან (მეორე ადგილზე არიან თურქები). ბოსნიელები ავსტრიაში ქმნიან მეორე დიდ მუსულმანურ ჯგუფს თურქების შემდეგ.

ავსტრიაში ისლამის ისტორიას განსხვავებული ხასიათი აქვს. ავსტრია-უნგრეთის იმპერიაში 1874 წელს ისლამი რელიგიად აღიარებულ იქნა სახლმწიფოს მიერ. 1878 წლიდან ბოსნია ორმოცი წლის განმავლობაში ავსტრო-უნგრული ბატონობის უღელქვეშ იყო. აქედან მოყოლებული ცხოვრობდნენ პირველი ბოსნიელები ავსტრიაში. ბოლო წლებში იკვეთება პრეტენზიები აქ არსებული ოფიციალური რელიგიური თემებიდან, როგორც დომინირებული სუნიტური ჯგუფისაგან, აგრეთვე სუნიტებისაგან და ალავიტებისაგანაც.

ახლა კი გადავიდეთ მთავარ სათქმელზე და ვნახოთ თუ როგორი შეფარდებაა ევროპის ქვეყნებში მცხოვრებ მუსლიმებსა და მეჩეთების რაოდენობას შორის.

„ტაიმსის“ ცნობით ბრიტანეთში მეჩეთების თითქმის ნახევარი – 1350 მეჩეთი კონტროლდება რადიკალური ისლამისტების



მიერ. დღეს ბრიტანეთში სულ მცირე 2700 მეჩეთი ფუნქციონირებს. „ტაიმსისავე“ ცნობით ისლამური სემინარების 80% ფინანსდება რადიკალი ისლამისტების მიერ. ესპანეთში, მკვიდრი მოსახლეობის აზრით, არასასურველ ხასიათს იძენს მეჩეთების რაოდენობის ზრდის ტემპი. ანდალუზიაში ოფოციალურად რეგისტრირებული 83 მეჩეთის გარდა, ფუნქციონირებს 200 მეტი არალეგალური მეჩეთი. ესპანეთის კანონების მიხედვით საკულტო დაწესებულებებსა და შენობებს უნდა ჰყავდეს დამფინანსებელი, კანონი უნდა აკონტროლებდეს ფინანსურ მხარეს. კანონი მეჩეთების არსებობას არ კრძალავს, მაშ რატომ არსებობს ორი ასეული მეჩეთი კანონის გვერდის ავლით? ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ **ისლამისტი რადიკალების ბაზები, სწორედ ამგვარ მეჩეთებში იქმნება.**

როგორც მოგახსენეთ, გერმანიაში ხუთ მილიონამდის მუსლიმი ცხოვრობს. 2009 წლისთვის ოფიციალურად რეგისტრირებული იყო 206 მეჩეთი მინარეთით. „შპიგელის“ ცნობით კი გერმანიაში ფუნქციონირებს 3000 მეჩეთი და სამლოცველო სახლი. არალეგალური მეჩეთების რაოდენობა აქაც გაურკვეველია. გამოცემა „შპიგელი“ იუწყება, რომ **ამ მეჩეთებში მიმდინარეობს გერმანიისადმი მტრული ქადაგებები.**

დღეს, როდესაც მოდაშია გაუკუღმართებული, ყალბი რელიგიური მიმტევებლობა, მგონი დასავლეთის მესვეურებიც კი მოდიან აზრზე, რის დასტურიცაა გერმანიის კანცლერის ანჟელა მერკელის განცხადებაც „მულტიკულტი“ საზოგადოების შექმნის შესახებ. მისი აზრით არსებულმა რეალობამ უჩვენა, რომ „მულტიკულტურული“ საზოგადოება არ შედგა და მკვდრადშობილად გამოაცხადა.

გერმანიაში მცხოვრები მუსულმანების 20%-ზე მეტი უარყოფს ინტეგრაციას, განსაკუთრებით რადიკალურები არიან გერმანული პასპორტის არმქონე ახალგაზრდები. ამის შესახებ იუწყება გამოცემა „ბილდი“, რომელმაც ჩაატარა კვლევები. ყოველი მეოთხე მუსლიმი ახალგაზრდა წინააღმდეგია ინტეგრაციის და ამჟღავნებს მიდრეკილებას ტენდენციური ძალმომრეობისაკენ, წინააღმდეგია ჰუმანური ღირებულებების.

ასეთი ყოფით შეწუხებული შინაგან საქმეთა ფედერალური მინისტრი ჰანს-პეტერ ფრიდრიხი ამბობს: „ გერმანია ითვალისწინებს თავის მომავალს და ამავე დროს თავისი მიგრანტების კულტურული იდენტიტეტის შენარჩენებას, მაგრამ წინააღმდეგი ვართ ავტორიტარული, ანტიდემოკრატიული და რელიგიური ფანატიზმის იმპორტისა. ვინც თავისუფლებისა და დემოკრატიის წინააღმდეგ გაიბრძოლებს, მას აქ მომავალი არ ექნება. ეს ყველამ უნდა დაინახოს.“ ადრე ახალგაზრდა მუსლიმთა ფანატიზმის შესახებ გაფრთხილებას იძლეოდა კიდევ ერთი პოლიტიკოსი ჰანს პეტერ ული.

გამოცემა „ბილდის“ კვლევების შედეგები:

- არა გერმანელი მუსლიმების 24% 14-დან 32 წლის ასაკამდის ხასიათდებიან, როგორც „მკაცრი რელიგიურობით“ დაპირისპირებულები დასავლეთთან, ძალმომრეობისა და ინტეგრაციასთან მიდრეკილების არმქონენი.
- არაგერმანელი მუსლიმთა 33% შეუწყნარებლები არიან ებრაელთა მიმართ.
- გერმანიის მოქალაქეობის მქონე ახალგაზრდა მუსლიმთა 15% აღიარებს მკაცრ რელიგიურობას, უარყოფენ დასაველთს და იდეოლოგიურად ეყრდნობიან „ძალა საშუალებაა დასავლეთის შემოტევებისაგან თავდასაცავად“.
- ყოველი ასაკის გამოკითხული გერმანელი მუსულმანების 22% ხაზს უსვამენ თავიანთი „წარმომავლობის კულტურას“.
- დამაფიქრებელია არაგერმანელ მუსლიმთა გამოკითხვის შედეგები. მხოლოდ 52% თანახმაა ინტეგრაციაზე. 48% უჩვენებს „მკვეთრ სეპარაციას“.

გერმანული ისლამური ინსტიტუტის მონაცემებით 2008 წელს არსებობდა 206 მეჩეთი და 2 600 სამლოცველო სახლი. დაგეგმილი იყო 126 მეჩეთის მშენებლობა.

ავსტრიაში ოფიციალური მონაცემებით ცხოვრობს ნახევარ მილიონამდის მუსულმანი, მათ განკარგულებაშია მხოლოდ 5 მეჩეთი, სამლოცველო სახლებთან ერთად მათი რაოდენობა აღწევს 190.

ავსტრიაშიც დგას მეჩეთებისა და მინარეთების მშენებლობის პრობლემა, ხელისუფლება ნებას არ რთავს მაღალი მინარეთების მშენებლობის. მუსულმანებს სურდათ 20 მეტრზე მაღალი მინარეთის აშენება, მაგრამ ხელისუფლება მხოლოდ 15 მეტრით შემოიფარგლა.

შვეიცარიაში მუსულმანთა რაოდენობა აღემატება 400 000 კაცს, ქვეყანაში ფუნქციონირებს მხოლოდ 13 მეჩეთი და მინარეთი, 130 სამლოცველო სახლი და მუსულმანური ცენტრი.

2009 წლის ნოემბერში შვეიცარიაში ჩატარდა რეფერენდუმი მეჩეთებისა და მინარეთების საკითხთან დაკავშირებით. რეფერენდუმში მონაწილეთა მაღალი პროცენტული მაჩვენებელი 54% მოულოდნელი აღმოჩნდა ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრებისათვის. რეფერენდუმში მონაწილეთა 58% უარი თქვა მუსლიმური სალოცავების მშენებლობაზე, რამაც შეაშფოთა დასავლეთ ევროპის სოციალ-დემოკრატიული სამყარო.

ნორვეგიის ხუთმილიონიან მაცხოვრებლების 2% შეადგენს მუსულმანები, მაგრამ მათი პრეტენზიები იმდენად თავხედურია რომ მოითხოვენ ცალკეული ზონების გამოყოფას, სადაც იქნება შარიათზე დაფუძნებული თვითმმართველობა.

ნორვეგიის მთავრობამ უარი განუცხადა მუსულმანური ქვეყნების მთავრობებს მეჩეთების მშენებლობის მოთხოვნაზე და მათ დაფინანსებაზე, რამაც უკმაყოფილება გამოიწვია მთელ რიგ არაბულ სახემწიფოების მესვეურთა შორის.

ანალოგიური სიტუაციაა შვედეთშიც, მუსულმანური გაერთიანებები და მათი ლიდერები სულ უფრო და უფრო ხმამაღლა აცხადებენ პრეტენზიებს შარიათის კანონების დაშვებაზე.

სკანდინავიის ქვეყნებში მწვავედ დგას მუსულმანთა და ებრაელთა ურთიერთდამოკიდებულების საკითხი. იქაური მუსულმანების მხრიდან სულ უფრო და უფრო მატულობს ებრაელებზე განხორციელებული ძალმომრეობა.

მიხედავად შვედეთის ხელისუფალთა მრავალწლიანი ხელშეწყობისა და ამისათვის გაღებული ურიცხვი ხარჯებისა, შვედეთში მუსულმანთა ინტეგრაციამ განიცადა სრული ფიასკო. ამას უკვე შვედი ხელისუფალნი ხმამაღლა აცხადებენ, ქალაქ გოტებორგის მაგალითზე, სადაც ერაყელმა ბომბების დამაზადებელმა აიფეთქა თავი. მსგავსი რამ ხშირად ხდება შვედეთის სხვადახვა ქალაქებში. შვედეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა კარლ ბილდტმა განაცხადა, რომ ამ მხრივ შვედეთმა თვით ინდონეზიასაც კი გადაუსწრო, როდესაც ეკლესიაში მლოცველ ქრისტიანებს ბომბებს აყრიან, ბომბები კი რძის ჭურჭელშია.

ჰოლანდიაში მუსულმანთა რაოდენობა აღწევს მოსახლეობის 6%. ისლამის ზრდა აქაც დამახასიათებელია. დღეისათვის ნიდერლანდებში ცხოვრობს 1 მილიონამდის მუსულმანი, მათ შორის 330 000 მაროკოელი და 350 000 თურქი.

საყურადღებოა ისიც, რომ 2007 წლისთვის მუსულმანი გახდა 12.000 მეტი აუტოქტონი ნიდერლანდელი. სტატისტიკური მონაცემები უჩვენებენ, რომ ჯერ-ჯერობით ყოველწლიურად მუსულმანი ხდება 500 მეტი ჰოლანდიელი. აქტიურდებიან ისლამისტი მქადაგებლები. ნიდერლანდებში ოფიციალურად რეგისტრირებულია 430 მეტი მეჩეთი, მათ შორის 220 თურქული (!), 140 მაროკოული და 50 სურინამული. გარდა ამისა, ხელშეკრულებების თანახმად ჰოლანდიაში ფუნქციონირებს 45 ისლამური საშუალო სკოლა და 2 უმაღლესი სასწავლებელი.

მუსულმანთა აღზევება ნიდერლანდებში იწვევს ადგილობრივი მოსახლეობის პროტესტს. 2006 წელს მძაფრი პროტესტი გამოიწვია ნიდერლანდების იმდროინდელი იუსტიციის მინისტრის წინადადებამ შარიათის კანონის დაშვებაზე საკანონმდებლო კრებულებში. მას მოჰყვა პროტესტი, როგორც მოსახლეობის მხრიდან ასევე ლოიალურად განწყობილი მემარცხენე პარტიებიდანაც კი.

ფრანგმა დემოგრაფმა მიშელ ტრიბალატმა გამოთვალა 3, 7 მილიონი „შესაძლებელი“ მუსულმანი საფრანგეთში რომლებიც ბოლო პერიოდში შევიდნენ საფრანგეთში, მათში სჭარბობენ მუსულმანები ჩრდილოეთ აფრიკიდან და შავი აფრიკელები, 3 მილიონი მაღრიბის ქვეყნებიდან და 700 000 შავი მუსულმანი. სხვა სათვალავია ადრე შემოსული მუსულმანების შთამომავლები, კერძოდ 1, 7 მილიონი, რომელთა შვილები და შვილიშვილები 300 000 აჭარბებენ. (საფრანგეთში საერთო ჯამში ცხოვრობს 14 მილიონი მიგრანტი, რაც მოსახლეობის 23% შეადგენს.

მსგავსი კვლევები გამოაქვეყნა ალენ ბოიემ შინაგან საქმეთა სამინისტროდან. მისი მონაცემების მიხედვით საფრანგეთში ცხოვრობს 4,2 მილიონი მუსულმანი, მასში შეტანილი არ არის „არალეგალური“ ემიგრანტები და ოფიციალური სტატუსის მქონე ხიზნების შთამომავლები. ამ ციფრიდან არის 1,55 მილიონი ალჟირელი, 1 მილიონი მაროკოელი, 350 000 ტუნისელი, 310 000 თურქი, 250 ათასი შავი აფრიკელი და ამას დამატებული მუსულმანობაზე გადასული 40. 000 ფრანგი.

საფრანგეთის გაათეისტებულ საზოგადოებაში თავისი ფანდებით ფეხს იკიდებს ისლამი, რაც საზოგაოების პატრიოტული ნაწილის შეშფოთებას იწვევს.

მუსულმანთა რელიგიურობის ხარისხის მაჩვენებლები გამოაქვეყნა

გაგრძელება გვ. 16

# “ყველა ადამის შვილი ვართ, თათარიც ჩვენი ძმა არი“, გაზრაგ „შინაურულად ვადგართან ქართველს“!

დასაწყისი გვ. 15

გამოცემამ „ლე მონდი“. გამოკვლევა ჩატარდა 18-25 წლის ასაკის საფრანგეთში მცხოვრები მაღრიბელ, საჰარის ზონელ და თურქ ახალგაზრდებს შორის. მათგან 90 % იცავს კვების პროდუქტების მიღებას და რამადანს. 21-25 წლის ასაკის ახალგაზრდებიდან 305 მუდმივად დადის ლოცვებზე, როცა ეს მაჩვენებელი 40 წლის ასაკიანებში 20%.

21-25 წლის ასაკის ადამიანებში გაიზარდა რელიგიური აღზრდისა და რელიგიური ქორწინების მნიშვნელობის შეგნება. ისლამის სპეციალისტი გილ კეპი, რომელმაც დიდხანს იმუშავა ამ საკითხზე პარიზის უბნებში, ამბობს: „ ამ ადგილებში თანამედროვე საფრანგეთის შექმნის მითები, რომლის მიხედვითაც ერი მუდმივად რჩება ისეთ მდგომარეობაში, რომლის დროსაც შესაძლებელია ყველას ინტეგრირება, დაიმსხვრა. სიშმაგემ და ისლამმა გავრცელების ადგილი იქ პოვა, სადაც ჩავარდა რესპუბლიკა“.

მეორე გამოკვლევების მიხედვით ისლამი წინ უსწრებს კათოლიციზმს, როგორც ძლიერი რელიგია საფრანგეთში.

საფრანგეთში ადამიანთა უმრავლესობა ენდობა ახალ გამოკითხვებს, რომ საფრანგეთის საზოგადოებაში ისლამი ძლიერ გავლენიანია და ნახევარს მიაჩნია მუსულმანები ეროვნული იდენტურობის საშიშროებად.

გამოკვლევები ადასტურებენ ისლამის იმიჯის შესამჩნევ ვარდნას საფრანგეთში. შედეგები უჩვენებენ, რომ ფრანგი ამომრჩეველის მზარდი ნაწილი უნდობლადაა განწყობილი მუსულმანური ქვენებიდან მასიური შემოსვლის მიმართ, რაიც ფრანგული პოლიტიკური და კულტურული ელიტის მიერ გათვალისწინებული იყო მულტიკულტურული საზოგადოების შექმნისათვის.

გამოკვლევები ჩატარდა საფრანგეთის საზოგადოებრივი აზრის კვლევის ინსტიტუტში. კვლევები უჩვენებენ: ფრანგთა 64% მიაჩნია, რომ ისლამი „აშკარა და გავლენიანი“ გახდა, ეს მაჩვენებელი 5% აღემატება ორი წლის წინანდელ მონაცემებს.

ამასთანავე, კვლევებმა უჩვენა, რომ ფრანგთა 43%-თვის ემიგრანტები მუსულმანური ქვეყნიდან წარმოადგენენ თავიანთი ეროვნული იდენტობისათვის საფრთხეს, მხოლოდ 17% ამბობს, რომ ეს არის საზოგაოების გამდიდრება.

ფრანგთა 68% მუსულმანურ ინტეგრაციასთან დაკავშირებით მიაწერენ პრობლემებს მიგრანტებს, რომლებიც უარს აცხადებენ ინტეგრაციაზე (ორი წლის უკან ეს მაჩვენებელი 61% იყო) და 52% ადანაშაულებენ მათ კულტურულ დიფერენციაში (ორი წლის წინ ეს მაჩვენებელი შეადგენდა 40%).

როგორც მოგასხენეთ, ინტენსიურ ხასიათს იძენს რადიკალი ისლამისტების ქმედებები, საფრანგეთი იძულებულია გადადგას ნაბიჯები რადიკალების წინააღმდეგ. საფრანგეთის მთავრობამ გამოაცხადა მკაცრი მიდგომა უკიდურესი და ფანატიკური ისლამისადმი. სიძულვილის მქადაგებლების და ყველა ისინი, ვინც „ჩვენს ღირებულებებსა და ინსტიტუციებს თავს ესხმის, არ აქვს ადგილი საფრანგეთში!“ თქვა შინაგან საქმეთა მინისტრმა მანუელ ვალსმა. უყოყმანოდ იქნებიან საფრანგეთიდან გასახლებული ისინი, ვინც „სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს საზოგადოებრივი წესრიგისათვის“, განაცხადა ვალსმა. საფრანგეთი შეუწყნარებელი იქნება იმ რადიკალური უცხოელის მიმართ, ვინც არ დაიცავს მის კანონებს.

მეჩეთების უკანონო და თავმიშვებული მშენებლობების წინააღმდეგ საფრანგეთში ხმას იმაღლებდა მსოფლიოს კინოს ვარსკვლავი, საფრანგეთის ერთგული შვილი ქალბატონი ბრიჯიტ ბარდო. ის მრავალჯერ გამოსულა მოწოდებებით, წერილებით, მაგრამ საფრანგეთის მაშინდელი მესვეურები ამას აფასებდნენ, როგორც უკიდურეს „ნაციონალისტურ გამოხტომებს“ და ქალბატონ ბრიჯიდს აჯარიმებდნენ 30-50 ათასი ფრანკით.

ახლა კი გვსურს ერთი მეტად კურიოზული და ამავე დროს განმაცვიფრებელი ამბის შესახებ გაუწყოთ.

**საფრანგეთში, პარიზში გაიხსნა ევროპაში პირველი მეჩეთი ლესბოსელთა და ჰომოსექსუალთათვის (?!). დამფუძნებელია ყოფილი რადიკალი სალაფისტი ლუდოვიკ-მოჰამედ ზაჰედი – დღეს ის იბრძვის პროგრესული ისლამისათვის. მსგავსი რამ წარმოუდგენელია მუსულმანური სამყაროსათვის. ბევრ მუსულმანურ ქვეყანაში ისინი სიკვდილითაც კი ისჯებიან.**

მსგავსი მეჩეთის აშენებას გეგმავს შვედეთის მუსულმანური გაერთიანება ქალაქ გოტებორგში, ეს განაცხადა არდერშირ ბიკაკაბადიმ, ორგანიზაციის ხელმძღვანელმა.

ევროპული ჰომოსექსუალური მეჩეთების წინამორბედები უკვე კარგახანია ყოფილა ამერიკის შეერთებულ შტატებში. იქაური მუსულმანები, თურმე გამოირჩევიან უკიდურესი ლიბერალობით, ლოცვას ქალებიც კი უძღვებიან. მუსულმან ჰომოსექსუალებისათვის კი ქორწინებაც ნებადართული ყოფილა. მათი მეთაურია იმამი დააიიეე აბდულაჰი. ასეთ მოძრაობას, განსაკუთრებული გასაქანი, თურმე ობამას ხელისუფლებაში მოსვლამაც მისცა.

იტალიაში ოფიციალური სტატუსით ცხოვრობს 1, 273 000 მუსულმანი. გარდა ამისა იტალიის მოქალაქეობა აქვს 50 000 მუსულმანს. ისლამზე მოქცეულ იტალიელთა რაოდენობა აღწევს 10 000. მათ შორისაა იტალიის ყოფილი ელჩი საუდის არაბეთში ტორკუატო კადრილი.

არალეგალური ხიზნების ერთ მეოთხედს შეადგენენ მუსულმანები, მათი უმეტესობა მაროკოელებია. შემდეგ მოდიან ტუნისელები, ეგვიპტელები, ბანგლადეშისა და სენეგალის მუსულმანები. ლიბიაში 2 მილიონი ლტოლვილი ელოდება ხელსაყრელ დროს იტალიაში გადასასვლელად. პოლიტიკური მოტივით მრავალმა პოლიტიკოსმა და პარტიის წევრმა მიიღეს თავშესაფარი იტალიაში ირანიდან, ერაყიდან, სომალიდან, ლიბიიდან და ქურთებმა. მათ შორისაა ავღანეთის მეფე მოჰამად საჰირ შაჰი.

როგორც ევროპის სხვა ქვეყნებში, იტალიაშიც სოკოსავით მრავლდება ლეგალური თუ არალეგალური მეჩეთები. ყოველ ოთხ დღეში ერთი ახალი მეჩეთი ჩნდებაო, ამას ხელს უწყობს მემარცხენე პოლიტიკური პარტიები და კათოლიკური ეკლესიის ერთი ნაწილი(?).

ხშირ შემთხვევაში ეს მეჩეთები ასრულებენ არა „ღმერთის სახლის“ ფუნქციას, არამედ სამხედრო-შეიარაღებულ ფორპოსტებს ისალმიზაციისათვის „ურწმუნოთა“ ქვეყანაში, ასე აფასებენ დღეს იტალიელთა მოზრდილი ნაწილი ამ პროცესს.

მუსულმანთა ქმედებები ყოველგვარ თავხედობას სცილდება, ისინი აწყობენ მრავალათასიან უკანონო შეკრებებს და შეკრებების დროს იჩენენ აგრესიას არამუსულმანი ადამიანების მიმართ. ჩრდილოეთ იტალიაში ამას ხელმძღვანელობს იმამი აბუ იმადი, რომელიც მსგავსი ქმედებებისათვის მრავალჯერ იყო გასამართლებული იტალიის მართლმსაჯულების მიერ.

რადიკალური ქმედებებით გამოირჩევა, აგრეთვე კოტოლენგოს მეჩეთის იმამი მოჰამედ კოჰალია, მისი აგრესია მიმართულია ებრაელებისა და ქრისტიანების მიმართ.

იტალიაში დამკვიდრდა ასეთი გამოთქმა: **ვინც მეჩეთს თესავს, ის ტერორს იმკის!.** მეჩეთების უმთავრესი ამოცანა ის კი არაა, რომ იქადაგონ სხვა აღმსარებლობის ხალხებთან მშვიდობიანი ცხოვრება, არამედ მათთან დაპირისპირება, ძალმომრეობა ან ძალმომრეობით მოქცევა მაჰმადის რჯულზე. იტალიელი და სხვა უცხოელი ტერორიზმთან ბრძოლის ჯგუფები, შენობებში ნახულობენ, არა მარტო სასულიერო წიგნებს, არამედ იარაღს, საბრძოლო მასალას, ასაფეთქებლებს, ვიდეოებს, რომელშიც ასახულია თავდასხმები, თვითმკვლელობები და სიკვდილით დასასჯელი დასავლეთელები, რომლებიც ალაჰის მტრებად მოიაზრებიან.

ერთ-ერთ ვიდეოში გადმოცემულია მილანელი იმამის აბუ ტალალის **მოწოდება: „ ღმერთის მტრების წინააღმდეგ ტერორი ჩვენი რელიგიისათვის მოვალეობაა, ჩვენი ისლამი ძალმომრეობის რელიგიაა!“** (წყარო: Minority Report, S. 347).

იტალიაში ისლამური ტერორი ყოველდღიურ მოვლენად იქცა. რადიკალი ისლამისტები არ ინდობენ თვით თავიანთი ოჯახის წევრებსაც, თუ კი რომელიმემ რაიმე სახის მიმტევებლობა და შემწყნარებლობა გამოიჩინა.




ბელგიის სამეფოში კი ამ მხრივ მეტად „სახალისოდაა“ საქმე; ბელგიის სამმილიონნახევრიან მოსახლეობაში ერთ მილიონზე მეტი მუსულმანია. აქედან, მაროკოლები წარმოდაგენენ 400 000, თერქები კი 250 000 კაცს.

მუსულმანთა გეგმების შესრულება თითქოსდა ნელი ტემპით მიმდინარეობს, მაგრამ ისინი ეტაპობრივად აღწევენ თავიანთ მიზანს. მათი მიზანია ბელგიაში მმართველობის ხელში აღება. რეგიონალურ არჩევნებში ბრიუსელთან ახლომდებარე ორ ქალაქში, მოლენბეკსა და ანდერლეხტში მუსულმანებმა შეძლეს უმრავლესობის ხელში ჩაგდება. ამ ეტაპზე მუსულმანებს სურთ მუსულმანური დღესასწაულების აღიარება- დაწესება.

არჩევნებში გამარჯვებული მუსულმანური პარტიები უკვე ხმამაღლა აცხდებენ, რომ ბელგიის მმართველობა და კანონმდებლობა უნდა დაეყრდნოს შარიათის კანონებს. გარდა ამისა, ეს პარტიები ქადაგებენ, რომ მთელს ევროპაში უნდა განავრცონ ისლამი, როგორც უნივერსალური რელიგია და აცხადებენ, რომ ეს გარდაუვალია. ბრიუსელის მერია იმ ზომამდე მივიდა, რომ შეამციროს საშობაო ნაძვის ხეები, რადგან ეს შეურაცხჰყოფას აყენებს არაქრისტიან მოქალაქეებსო (?).

ბელგიელი მუსულმანები და მათი იმამები მოუწოდებენ ბელგიის მეფეს ალბერტ მეორეს, ზურგი აქციოს ქრისტიანობას და მოექცეს მუსულმანად.

მუსულმანთა ასეთი თავგასულობისა და თავხედობის გამო ბელგიის პარლამენტი იძულებული ხდება შეზღუდოს მთელი რიგი საკანონმდებლო აქტები, რომლებიც დაკავშირებულია რელიგიასთან და ამით გაუწიოს წინააღმდეგობა ისლამისტურ ექსტრემიზმს. მაგრამ მემარცხენე ლიბერალები და სოციალდემოკრატები არ იშლიან უგუნურობას და ამ ქმედებას აჩერებენ, როგორც ადამიანის უფლებების დარღვევებს, მიუხედავად იმისა, რომ სტრასბურგის საერთაშორისო სასამართლომ 2003 წელს დაადგინა: „რომ შარიათის კანონები შეუთავსებელია დემოკრატიის პრინციპებთან“. ბელგიელი ისლამისტები მიზნად ისახავენ კენჭი იყარონ 2014 წლის ევროპარლამენტის არჩევნებში და ამ ხერხით გზა გაუხსნან ევროპის ქვეყნებში მოქმედ სხვა ისლამისტურ პარტიებსაც.

ბელგიის სამეფოში ისლამის აღზევება ერთ-ერთი პირობა ხდება იმისა, რომ გაიზარდოს ამ ქვეყნის მოსახლეობა მუსულმანთა ხარჯზე, ე.ი. მრავალი მუსულმანი მიაშურებს ბელგიას საცხოვრებლად.

ექსპერტების აზრით 2020 წლამდის ბელგიის მუსულმანთა წილი გაიზრდება 10%, ხოლო 2030 წლისათვის ისინი უკვე გახდებიან ბელგიის მოსახლეობის უმრავლესობა.

გარდა ამისა იკვეთება ერთი რამ, ბელგიაში დანაშაულობათა, ძალმომრეობისა და წესრიგის დარღვევების სხვა მაჩვენებლებლებში უკვე ჭარბობს ახალგაზრდა მუსულმანთა წილი. ამის გამო ბევრი საწარმოს პატრონი იძულებული ხდება დახუროს თავისი საწარმო, იგივეს აკეთებენ უცხოელი ინვესტორები, რომელთაც აშინებს არასტაბილური საზოგადოებრივი ყოფა.

ქვეყანაში კატასტროფულად მზარდი მუსულმანური ემიგრაცია საფრთხეს უქმნის, აგრეთვე ამ ქვეყანაში მცხოვრებ ებრაელებსაც, რომელთა მიმართ ხშირია ჯგუფური თავდასხმები და ძალმომრეობა.

ბელგიის პარლამენტი და მთავრობა აწესებენ მთელ რიგ კანონებს, რომლებიც კონტროლს გაუწევს ისლამისტური პარტიების, მეჩეთებისა და სასწავლებლების ფინანსებსა და ქადაგებებს. საგულისხმოა ისიც, რომ ბელგიაში მეჩეთები ფინანსდება სახელმწიფოსაგან. ბელგიის პოლიტიკოსები და ოფიციალური პირები თანდათან რწმუნდებიან გარდაუვალ საშიშროებაში და ცდილობენ თავიდან აიცილონ ის. კანონმდებლები თანდათან უახლოვდებიან იმ აზრს, რომ რადიკალი იმამების წყალობით მეჩეთები დაკარგავენ სახელმწიფო სუბსიდიებს.

ავსტრალიის მთავრობამ გააკეთა სერიოზული განაცხადი მუსულმანებთან დაკავშირებით. იმ მუსულმანს, რომელიც არ ცნობს ამ ქვეყნის კანონებს, მის ღირებულებებს, კულტურულ მიღწევებს და სურთ შარიათის კანონებით ცხოვრება, მოუწევს ქვეყნის დატოვება, რადგან ასეთი პიროვნებები საშიშროებას წარმოადგენენ ავსტრალიის სახელმწიფოსათვისო. ავსტრალიის მთავრობის წევრებს უკიდურესად უარყოფითი დამოკიდებულება აქვთ იმ მუსულმანების მიმართ, ვინც ეწინააღმდეგება ინტეგრაციას, ისინი აცხადებენ, რომ არავის დაუწყებენ ლოიალობას და მობოდიშებას. ზოგიერთი პოლიტიკოსი და მთავრობის წევრი კი უკვე ხმარობს სიტყვა „გაეთრიეთ!“.

საბერძნეთში მუსულმანთა რაოდენობის ზუსტი მონაცემები არ არის. ზოგი მონაცემი მილიონამდის მუსულმანს ითვლის, რომელთაც საბერძნეთის მოქალაქეობა აქვთ. აქ გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ ბერძნების ერთი ნაწილი ძალმომრეობით იქნა გამუსულმანებული. საბერძნეთის ემიგრანტებში ითვლიან 500 00-ან 700 000 მუსულმანს.

საბერძნეთის დედაქალაქი არის ერთად ერთი ევროპული დედაქალაქი, სადაც არ არსებობს ოფიციალური მეჩეთი. მაგრამ, როგორც სჩანს ეს ამბავი ძალიან აღელვებს ევროკავშირის მთავრობასა და თურქეთის პრემიერ- მინისტრს ერდოღანს და საბერძნეთს აიძულებენ დედაქალაქში მეჩეთის აღმართვას. ერდოღანი გასაგებია, მაგრამ ევროკავშირის მთავრობის სიჯიუტე ნამდვილად დამაფიქრებელია.

**ევროპაში უმეჩეთო კუნძულად დარჩენილ ათენსაც მისწვდენ!**

საბერძნეთში თურქული ინვესტიციების სანაცვლოდ ერდოღანს სმარასათვის ათენში მეჩეთის აშენების ულტიმატუმი წაუყენებია.

ანალოგი ხომ ჩვენცა გვაქვს?!

მუსულმანები არამუსულმანურ ქვეყანაში მოითხოვენ მაქსიმალურ ტოლერანტობას, მაგრამ თავის მხრიდან თუ როგორ ტოლერანტობას იჩენენ სხვების მიმართ, ამაზე ქვემოთ.

საუდის არაბეთში საერთოდ არ არსებობს ეკლესია და ქრისტიანული სიმბოლოების: ჯვრის, ხატის ტარება, ბიბლიის ქონა ისჯება მკაცრი კანონით. პაკისტანში, ქრისტიანებს, რომლებიც ისაუბრებენ საკუთარი რელიგიის შესახებ, ელოდებათ ციხე, წამება და ხშირ შემთხვევაში ქვებით ჩაქოლვა. სუდანში მთელი სოფლები გააკრეს ჯვარს, ისევე როგორც თავის დროზე ქრისტე.

ეგვიპტეში მუსულმანები ყოველწლიურად იტაცებენ კოპტ გოგონებს, აუპატიურებენ და ძალმომრეობით ამუსულმანებენ.

სულ ახლახანს მსოფლიომ ნახა ირანში ჩამოხრჩობილი ქრისტიანი მღვდლის სურათი;ირანელი ქრისტიანი იუსეფ ნადარხანი ჩამოახრჩვეს თავისი ქრისტესადმი რწმენისა და ერთგულების გამო. ის იატაკქვეშა ეკლესიის პასტორი(წინამძღვარი) იყო ირანში. მას შესთავაზეს იესოს უარყოფა და ისლამზე დაბრუნება სიცოცხლის შენარჩუნების სანაცვლოდ.

იმ დროს, როდესაც ისლამს ევროპაში ფრთები აქვს გაშლილი, მუსულმანები მაინც საუბრობენ მათ დევნა-შევიწროებაზე. სინამდვილეში კი აი რა ხდება: ევროპელთა განდგომა ქრისტიანული სარწმუნოებისაგან, გაათეისტება გზას უხსნის ისლამისტ მქადაგებლებს, მიტოვებულ ეკლესიებს ხელთ იგდებენ ისლამისტები და აქცევენ მეჩეთებად.

ცარიელი და მიტოვებული ეკლესიების მეჩეთებად გადაქცევის ცნობები მოდის გერმანიიდან, ნიდერლანდებიდან და ევროკავშირის სხვა ქვეყნებიდან. **თუ ასე გაგრძელდა, კაცობრიობა, სულ მალე წარსდგება პოსტ-ქრისტიანული ევროპის წინაშე!**

ჩვენი წერილის დასაწყისში მოვიყვანეთ ქართველი ხალხის სულიერების, ზოგადკაცობრიული იდეების დამახასიათებელი სტრიქონები ჩვენი ხალხური პოეზიიდან. ჩვენ კი ვამბობთ ამას, მაგრამ სხვანი?

**სურა 2, 191: „მოკალი ისინი, სადაც კი შეგხვდებიან და განდევნე ისინი, საიდანაც მათ გამოგდევნეს... ეს არის სამაგიეროს მიზღვა ურწმუნოთათვის!“**

**სურა 3, 28: „მორწმუნეებმა ურწმუნოები არ უნდა გაიხადონ მეგობრად. ვინც ამას აკეთებს მას არაფერი აკავშირებს ღმერთთან...“**

**სურა 4. 55: „ ისინი, ვინც ჩვენს ნიშნებს უარყოფენ, ჩვენ მათ ცეცხლში დავწვავთ.“**

**სურა 4, 89: „ თუ ისინი ზურგს გაქცევენ, მაშინ დაესხი თავს და მოკალი ისინი, სადაც კი წაეწევი, და მათგან არავინ აიყვანოთ მეგობრად და შემწედ“.**

ყურანის სურები განსაკუთრებული აგრესიულობით გამოირჩევიან ქრისტიანების. კერძოდ, მათ მიმართ, ვინც აღიარებს წმინდა სამებას.

ჩვენ აქ შევჩერდებით და დასკვნები თითოეულმა ჩვენთაგანმა უნდა გააკეთოს, თუ რასთან გვაქვს საქმე!

ჩვენ, რა თქმა უნდა არა ვართ უცხოთ მოძულე. მაგრამ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს უცხო და გადამთიელი ჩვენსავე სამშობლოში ჩვენს თვითმყოფადობას, ჩვენს მომავალს ემუქრება, ჩვენ იძულებული ვხდებით დავიცვათ თავი ძალმომრეობისაგან!

საქართველოში საკმარისი მეჩეთი და სამლოცველო სახლია იმისათვის, რომ მაჰმადიანებმა აღასრულონ თავიანთი ღვთისმსახურება, და თუ ეს არ ყოფნით და მეტი სურთ, მაშინ გზა ხსნილია, დაუბრუნდნენ თავიანთ ისტორიულ სამშობლოებს, სადაც უფრო მეტი რაოდენობის მეჩეთი ელით!

**ალექსანდრე სანდუხაძე**

# ჭაბუა ამირეჯიბის ბერად შედგომის საჭიროება

დასაწყისი გვ. 8

ფის ოცნება ნატოში შესვლა არის. მეფე დავითის დემოკრატიამდე დაყვანა პროფანაცია და დიდი სისულელეა. საქართველოსათვის ოთხი წლით არჩეული ახალი მასხარა ვერ იბრძოლებს.

ჭაბუა ამირეჯიბმა თავისი გაზეთი „ივერია“ გამოსცა და მას მკითხველი მიაწყდა, რამეთუ იგი იმედეულობდა, რომ „დათა თუთაშხიას“ დამწერი ქართულ იდეას ახალ სიცოცხლეს სძენდა. მკითხველმა დაინახა, რომ ამირეჯიბის გარჯილობიდან ისევ შევარდნაძე იმზირებოდა. შევარდნაძის მომხრე ვერ იქნებოდა ეროვნული სულის დამცველი. ამირეჯიბი კი ამის დამტკიცებას ცდილობდა თავის ნაჯახირალ გაზეთში. ამ გაზეთმა კიდევ ერთხელ წაშალა ზღვარი უჯეროსა და ჯეროვანს შორის. ხომ ქურდულ გაგებასაც მისდევდა ამირეჯიბი, რის გამოც დიდად სახელდებული იყო ქურდული კონტრკულტურის წარმომადგენლებში. ზვიადის ოპოზიციონერ რეციდივისტებში ჯაბა იოსელიანთან ერთად ამირეჯიბი ძველ ნახიშტარად იყო წოდებული და ვეტყვი მას: გაჰკრა და გამოჰკრა კიდეც ქართველთა მოდგმას ამ ცხოვრებამ, ცხვირ-პირი ამოუნაყა მას და თავისი ცანცარი ცხვირში ძმრად ამოადინა. ამდენი ჭკვიანის ხელში ამ პატარა ქვეყანას ესე ბრიყვულად მოუბოლოვდა. ქართველისათვის ადამიანის სტატუსის დაბრუნების შესაძლებლობა აღარ დარჩა. კაპიტალისტური მსოფლიო კიდევ უფრო სასტიკი და ვერაგი ხდება, ვიდრე აქამდე იყო.

უძლები მამები ჰყავს საქართველოს, რომელნიც არასოდეს მოვლენ მონანულნი, რომელთაც უბედურება ჭკვას არ შემატებს და გულს არ განუწმენდს. ნახევარი საუკუნე რომ კიდევ იცოცხლონ ამათ, ისევ ისეთნი იქნებიან. მართალყოფნა არ შეუძლია ქართველს. სუსტია ის ზნითა და გულით. კი, წიგნებს წერენ და წერენ, რჯულს ემაიმუნებიან და საყდრად იარებიან, მაგრამ უმართლობის დასამალადაა ყველაფერი მოგონილი. უფროსი თაობის მწერალთაგან ზოგი ხელისუფლების კარზე ყარაულად დგას, ზოგი ოპოზიციურ დასს აკოწიწებს და ახალ გაზეთს ეპირება. თქვენ არ ხართ ერთ პირად, როცა ეს დიდად გიხამთ და სხვას რას ანამუსებთ და მოუწოდებთ? გლოვა ეგების მამათაგან, რადგან საქართველოს ბოლო მოდის. ეს კი არა და აკლებულია რამდენიმე გამოცემა ტარიელ ჭანტურიას, ჯანსუღ ჩარკვიანის და სხვათა მასხრობით. რედაქტორები რომ უბეჭდავენ ამას, ეს კიდევ ცალკე სათქმელია. ახლა გაიქცეს თბილისის ზღვაზე ნოდარ ლომოური. გამოვიდეს და განმარტოს მან არსებული სავაგლახო მდგომარეობა. მაშ რისთვის არის ის ისტორიკოსი? მოეშვას ცოტახნით ფეოდალურ ეპოქაზე წერას და დღეისობისა ისიტყვოს. მას ეს არ ძალუძს.

ესაა უძლები მამების დიდი სათემო. რა ჭირად შეჰყრიან ისინი ქვეყანას? სადაც გაიხედავ, ყველგან ესენი ილანდებიან. სიცრუისა და აფრაკობის მთესველთა ზეობაა. სულ ჯიბრში დგომით ცხოვრობენ. არ ჰყავთ ამათ ვაჟები, რომ შეუყივლონ მათ? ვერას ხედავენ შვილნი მამათა ნაქნართაგან? სიცრუის სულია ქართლში დაბუდებული სამისხოდ და საუკუნოდ. შევარდნაძის ძველი მოდასენი კერძო უნივერსიტეტებს ხსნიან, არსებულ სასწავლებლებში ლექტორები და ადმინისტრატორები, რექტორთა მრჩევლები არიან. ამათ რა უნდა ასწავლონ სტუდენტობას? ისევ მათ აქვთ გასაქანი ჟურნალ-გაზეთებში. არშინობით ინტერვიუებს იძლევიან, მოგონებებს ეძლევიან. რაა მოსაგონარი მურდლობის გარდა? სულ იმას როგორ აჩენენ, რომ არა აქვთ სინდისი? სიბერეში მაინც დაირცხვინონ.

რაც დაითესა 1992 წელს, იმასვე მოიმკიან ქართველთა შვილნი. ეს სამისხო ცოდვაა და მისგან დახსნას დიდი სათნოება ესაჭიროება. საჭმოზე გასყიდული ქართველნი კი ამის შემძლენი არ არიან. იფქლის პური არ იპატივა ქართველობამ და ღვარძლის პურის ჭამით გაწყვეტს მას ცხოვრება. რაც დაითესა 1992-99 წლებში, ჯერ მთლად არ დაპურებულა. წყევლის პურის ჭამას ვერ აუვა ქართველობა. ოცი წელიც აღარაა საჭირო ქართველთა გასაწყვეტად. მთელი ქართველობა რომ სულ რაღაც 200-300 ათასი დარჩეს, ის მაინც ისევ ისეთი ჭკუამცირე, გულხენეში და პოლიტიკური მაიმუნი იქნება. ისევ ისე გაიმეტებს და გაწირავს ქართველი ქართველს. შევარდნაძის აქ ჩამოსვლიდანვე ყველაფერი ქართველთა გაწყვეტაზეა მიმართული. ახლა ხომ არის და არის ასე.

1992 წელს ადვილი იყო აფრაკული ლაპარაკი და პოლიტიკური კინტოობა, რადგან მარქსისტული პლატონიზმის კედლები კიდევ იდგა. ამ კედლების საძირკველიც კი მოითხარა ქართველ ჰეროსტრატეთა ლეგიონის მიერ. საქართველოში ამ კედლების ამომყვანი აღარავინ იქნება. ქართველს არ აქვს смыслообразующая способность. ის მუდამ ეპიგონია. კაპიტალიზმის ხანგრძლივი დასასრული დაიწყო დასავლეთში და თუ იქ ახალი იდეა შეიქმნება, ქართველი მის ეპიგონად დადგება. ასე იყვნენ XIX და XX საუკუნეების ქართველი განმანათლებლები. თავისით ქართველი ვერას შექმნის. ხომ უფრო დაპატარავდა საქართველო და ყველა მხრიდან მიწები ააგლიჯეს მას. აი ამ დარჩენილი საქართველოს მასშტაბის მოღვაწეც არასოდეს იშვება. იქნებიან ცრუ ავტორიტეტები, ცრუ მამულიშვილები, სალონის მოუბნარები, ქალაქის უბნის მოსიკელები. საქვეყნო მოღვაწე, ქართველთა ტომების შემკრები არ დაიბადება. არც ეკლესიიდან გამოვა ასეთი ვინმე.

ჭაბუა ამირეჯიბს ვეკითხები: რა სამშობლოა საქართველო, მიზანთროპიისა და აბსოლუტური უსინდისობის ნაკრძალი? დედინაცვალი გერს არ მოექცევა ისე, როგორც ეს სამშობლო თავის მოდგმას ექცევა.

ჭაბუა ამირეჯიბის ნაიმედარი პარტია „ქართული ოცნება“ დილის ჯანღივით გაქრება. ეს ის არაა, რაც უნდა იყოს. ჭაბუა მოესწროს საუკუნის შესრულებას და მის იქით გებას, რომ ეს დაინახოს. ჯერ არ მოსულა ბიძინა ივანიშვილი და რამდენი მხოხავი შემოესია. ფული არ ჰქონიყო მას და ათ კაცს ვერ შეკრებდა. მისი მეხოტბენი გაჩნდნენ და მას ქართველთათვის ნაბოძებ ღმერთის საჩუქრად რაცხენ. ვითომ ხვალიდან რაღაც დიდი იწყება და ივანიშვილის პარტია იწყებს. ივანიშვილი გიორგი ბრწყინვალეს შეადარეს. რახან დავით აღმაშენებლის სახელი სააკაშვილს აქვს მიჩემებული, ამიტომ ივანიშვილზე ვეღარ თქვეს, რომ დავით აღმაშენებელი ისაა.

ისევ შევარდნაძის ძველი მსახურები, ეროვნული მოძრაობის მკვლელები, ნადისიდენტარი მაჩანჩალები შემოეხვივნენ მას. არა, შევარდნაძის პარტიაში იყო მავანი დიდ მოხელედ, სააკაშვილის პარტიაში იყო დიდ მოხელედ და ახლა პრეზიდენტობა თუ პრემიერობა უნდა? ივანიშვილის მოსვლამ და მის გამო ამდენმა ლაპარაკმა დაადასტურა კიდევ ერთხელ, რომ ეროვნული მოძრაობა სამუდამოდ დასამარებული და დავიწყებულია. ეროვნული მოძრაობის დროინდელი ყველა პარტია მკვდარია.

კაცურად მითხარი ბერო ამირეჯიბო, ივანიშვილთან ანგარების გამო მისული ამდენი არაკაცი, ლამაზი სიტყვების წარმოთქმით გაკაიკაცდება? არა, არ უნდა ქართველს ქართველობა. მას ჭამა, გაზეთი და ბუქნა უნდა. ივანიშვილის გამოჩენამ გაახსენა ქართველს სინდისი და სამართალი? ივანიშვილის პარტიაში რაც ქართველზე ითქმის, მოჩვენებითობაა. ეს არის ვერბალური ტრაფარეტების კომპლექსი, რომლითაც ამაგრებენ იმას, ვინც თავად ვერ მაგრობდა და ვერ იმაგრებს. ყოფით ურთიერთობაში ქართველის მოტყუება ძნელია, მაგრამ საქვეყნო საქმეში ის სულ მოტყუებულია. მას გულში არ აქვს ის, რაზეც ამდენს ლაპარაკობს გაზეთში. ქართველობა რომ ნაცია ყოფილიყო, მას რომ ერთობის შეგნება ჰქონოდა, ის ამდენ უბედურებას არ დაითევდა თავზე.

აი ამიტომ ვერ მოვიქცევი ისე, ვითომც არაფერი და ამ აყიყინებულ ქართველმტყუვარ ბრბოს ვერ შევუერთდები იმ იმედით, რომ ჩემს შრომას, ცოდნას, შემეცნებით უნარს, დისციპლინირებულობას, ჩემს წარსულს ვინმე როდესმე დაინახავს და ღირსებისამებრ მომიზღავს. მე ვერ დავიწყებ ცუნგაობას იმ ხანმოკლე ილუზიის გულისთვის, რომ ერთობის მოდასე ვარ. ჩემსავე სააზროვნო ნიშნულს, რომელიც მე თმენითა და გვემით სიმარტოვეში შევქმენი, არ მოვამდაბლებ იმის გამო, რომ პოლიტიკურ კინტუებთან და მეროჭიკეებთან დავდგე და ვიღაცამ გამიცინოს. აქამდე ვის გავხსენებივარ, რომ ახლა მოვაჩვენო, ვითომ ვინმეს გავახსენდი? რომელმა ქართველმა, როდის მკითხა რა გზით მივლია, რა მიფიქრია და მიმეცნია? მერამდენე წელია ვცხოვრობ, როგორც უცხოელი საქართველოში და ვინ დაინახა? სამშობლოდ წოდებული შპს თუ შეძლებს იმდენს, რომ ჩემი შრომის საფასური გადამიხადოს? გაგონება აღარ მინდა ამ ზოგადი ფრაზებისა წინაპრებზე, ძველ ტაძრებზე, ტრადიციებზე. არავინაა ქრისტიანი და მაიძულებენ ისე მოვიქცე, რომ დიდი სულიერებაა საქართველოში. ანტიქრისტიანულია საქართველო. ეგრე სად არის, ესენი რომ იპირებიან და სიტყვობენ? სად არ ნაწანწალები და ახლა ივანიშვილთან მისული თახსირი, მე მასწავლის, რა გზით ვიარო და თუ მას უარვყოფ, ამისთვის ბრიყვთაგან ვიკილებოდე? ეს არვინ დაიჯეროს, რომ მთავრობიდან გამოქცეული ლამაზი ბიჭების ტელევიზიაში კუნკული და კულტურულობა გადააგდებს ამ მთავრობას. ივანიშვილი საქართველოს ნატოში შეიყვანს, არა? ივანიშვილი დააბრუნებს აფხაზეთსა და სამაჩაბლოს, არა? სააკაშვილის ბანაკიდან გამოპარული პოეტები კი მრჩევლებად უდგანან ივანიშვილს და ბრძნობენ? ივანიშვილი ამერიკის გავლენის აგენტებს სახალხოდ პირზე კოცნის ერთობის ნიშნად. აქ რუსეთს აგინებდნენ და იქ ჩუმად უვლიათ. ან კიდევ თბილისში ხვდებოდნენ მალვით და ხმას არ იღებდნენ. შეხმატკბილებულან და ამით ლამობენ მოაცთუნონ სააკაშვილის გადაგდებას მონატრული ქართველი. ამათ უნდა უყივლო: ჰაიტ თქვენა. არ ხართ თქვენ ის ყოჩები, ფარას რომ გაუძღვებიან. ომი რომ დაიწყოს მთავრობამ, იბრძოლებთ? იმის თქმა, რომ თეატრი შეაკეთა, ეკლესია ააშენა, არაა არგუმენტი. ამ დონის ბიზნესმენს სხვაგვარი მსჯელობა მოეთხოვება. ეგრე არ გამოვიდეს, რომ დიდ ვალად დაედოს ქართველთა თემს ივანიშვილის შეკეთებული თუ აშენებული. ივანიშვილმა დაიქირავა თავის გარშემო შემოკრებილი პოლიტიკის მეროჭიკეები, თუ ისინი მასთან იდეის გამო მივიდნენ? რუსეთში ნაშოვნი დიდი თავანებით გინდა რუსეთს ავნო? ასე ვერ იქნება.

სრულიად უცხონი არიან ერთურთისათვის ქართველნი. მერამდენე საუკუნეა კაცური ადლით არ გაზომილა ქართველის ცხოვრება? მერამდენე საუკუნეა სინდისის საწყაულით არ აწყულა ქართველის კაცობა? პოლიტტექნოლოგიური ადლით კი იზომება და ითარგება რამდენიც გინდა. ივანიშვილი გაზომავს და აწყავს კაცური ადლითა და სინდისის საწყაულით? არაა ივანიშვილი ის კაცი, რომ ამათ დიდი სამსჯავრო მოუწყოს და ნაცარცვი ჩამოართვას. ისედაც არ აკლდა საქართველოს პოლიტტექნოლოგია და ახლა კიდევ ივანიშვილს მოაქვს.

პოლიტიკურ მამაძაღლობაზე გაწუწკდა ქართველი. გადალეკა სიცრუემ საქართველო. საყდარში შევედი სულის მოსათქმელად და იქაც ანაფორიან სააკაშვილს გადავაწყდი. გულში ვალალება ვთქვი და გამოვიქეცი. ხანდახან ახლახანს დაფუძნებული რომელიმე გაზეთი მოგივარდება ხელში. გაშლი, რაღაცას ელი და ისევ ის ნაბიჭვრობა და ვირიშვილობაა. არაფერი ეროვნული. მხოლოდ მიმსგავსება და ყალბი ლაპარაკი გაზეთის გასასაღებლად. თან ვითომ არაფერი ხდება, თან ქვეყნის გამო წუხან. ისევ ის ამოცოხნილი ნათქვამები: „შთამომავლობას რა პასუხი გავცეთ?“, „რათა შვილებს თამამად შევხედოთ თვალებში“, „ქართველ ხალხს მანქურთმა სააკაშვილმა კიდევ ერთხელ სულში ჩააფურთხა“ და მისთანები. შვილნი დედ-მამის ნაქურდალს დარაჯობენ. ომი რომ იყო თბილისში 1992 წელს, ამათი დედ-მამა იხვეჭდა. ესენი სკოლაში იყვნენ. მოიზარდნენ და მშობელთა ნაარმალით ზურგმიცემულნი ლიბერალობის მოძღვრებად დადგნენ. ეგრეა, არა? ზოგი პარიზს ეშურება, ზოგი – რომს და მერე წერენ. თავიდანვე უკულმა უნდა გაეგო ქართველს ფილმი „მონანიება“. ცრუა ყოველი მათი კრიტიკა და რეფლექსია, ცრუა მათი ჰუმანიზმი. კაი ფანდია, მათმა მზემ. მოსაბეზრებია პრეტენზიული ჭკუამოკლე ტიპების აზიზობა. სად რას საკლისობენ, სად რას ეძებენ? ვაი ამათ გარჯას!

კვლავ ვიტყვი: ფულის ხიბლით მიესია ქართველობა ივანიშვილს და მისი თავანებისა ეიმედება. ხელად გამოუჩნდა მას ათასი ისტერიული ვექილი. ქართველებში ფულით იზომება კაცობა და დანარჩენს კი გადაასხვაფერებენ. ხან ასე იტყვიან, ხან ისე. განა ეგრეა, რომ ქართველმა თავის ნაქცეურს ჭკუა მიატანოს, არამედ როგორმე იხტუნოს. აქამდე მაგრად იმალებოდა ივანიშვილი, ახლა ყველა გაზეთის პირველ გვერდზეა. აქამდე ხელისუფლებას ფულით ეხმარებოდა, ახლა მისი მხილება იმ მიზნით დაიწყო, რომ თავად მოვიდეს ხელისუფლებაში? დემოკრატიაზე საზოგადო ნათქვამების დრო წასულია. ერთს ვიკითხავ: სწორად მიაჩნია თუ არა ივანიშვილს, რომ საქართველოში ნეოლიბერალიზმი და ლიბერტარიზმი უნდა გაგრძელდეს? ან ჭაბუა ამირეჯიბი თუ ეთანხმება მის გაგრძელებას? ივანიშვილს ამირეჯიბი მოუნახულებია და მათი შეხვედრის ფოტო პრესაში გავრცელდა იმის ნიშნად, რომ ისინი თანამოაზრენი და მოდასენი არიან. ნეოლიბერალიზმსა და ლიბერტარიზმზე, დასავლეთის ცივილიზაციურ კრიზისზე კრინტი არაა დაძრული ივანიშვილის გამოსვლებში. რასაც ივანიშვილი ამბობს, ეს მის ჩამოსვლამდე წლობით ითქმოდა. მისი უბრალო ნათქვამიც კი ბრძნობად საღდება და ერთი ამბავი დგას. ლიბერტარიზმი იქნება თუ არა სააკაშვილის შემდეგ? თუ არ იქნება, მაშ როგორი კაპიტალიზმი იქნება? აი ეს კითხვა უნდა იყოს თავი და თავი. სხვა დანარჩენი აქედან უნდა ამოვიდეს. ისე გამოითქმის მსჯელობები, თითქოს არ იყოს კაპიტალიზმის სისტემური კრიზისი დასავლეთში. „ქართული ოცნების“ შეკრებებზე არაფერი ითქმის იმაზე, რისი თქმაც წინაპირველში ჰხამს. რა პოლიტეკონომიურ მოდელს დაეფუძნება პოსტნაციონალური, სააკაშვილის შემდგომი საქართველო? პოლიტიკურ დასს „ქართული ოცნება“ რომ დაერქვა, არაა სწორი. ეს სახელი იმას გულისხმობს, რომ ქართველი ისევ ისე ოცნებობს ბედნიერ მომხმარებლობასა და ბურჟუაზიულ ინდივიდუალობაზე, მაძღარ ნეოლიბერალიზმზე. იყოს სიმაძღრე და რაც გინდა იყოს. ესაა ქართველის გულისნადები და ოცნება. ამას ნიშნავს სახელი „ქართული ოცნება“. პურით ცხონდა კაცი. ეს რა საოცნებოა? ამაზე ოცნებით ქართველს ქვეყანა თავზე დაემხო. სათაურშივე ზადი წაუვიდა საქმეს. მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობასა და საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესებაზე.

ბოროტი ჟამი დგას და უბოროტესი მოდის.

აი ეს მინდოდა მეთქვა ჭაბუა ამირეჯიბზე და ჭაბუა ამირეჯიბისათვის, რომლის სახელს მთელი გულით ვესავდი ჩემ ბალღობაში. გამოვიდეს თავად ის, ან ვინმე მის ძველ და ახალ მოდასეთაგან და მითხრას, რომ ასე არ არის!

**გოჩა გვასალია**

***თებერვალი, 2012 წელი.***

***დაიბეჭდა შემოკლებით***

**იცოდე შენი ქვეყნის ღირსეული უახლესი ისტორია, რაზეც დოკუმენტები ღაღადებენ!**

# ტერმინ „სამხრეთ ოსეთის“ აღდგენის არასამართლებრივი აქტი



## საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს მიერ ოლქის სტატუსის შეცვლის თაობაზე

მიღებულ გადაწყვეტილებათა შესახებ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო აღნიშნავს, რომ უკანასკნელ პერიოდში სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში შეინიშნება სეპარატისტული მოძრაობა, რომელიც ხელყოფს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს. ამის დამადასტურებელია სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს 1990 წლის 20 სექტემბრის დადგენილება ოლქის ე. წ. „სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიულ რესპუბლიკად“ გარდაქმნის შესახებ. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1990 წლის 21 სექტემბრის დადგენილებით გააუქმა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტატთა საბჭოს 1990 წლის 20 სექტემბრის გადაწყვეტილება.

მიუხედავად ამისა, ა. წ. 16 ოქტომბერს მოწვეულ იქნა ავტონომიური ოლქის საბჭოს მეთხუთმეტე სესია, რომელმაც დაადასტურა თავისი წინა გადაწყვეტილება, აირჩია ე. წ. „სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიული რესპუბლიკის აღმასრულებელი კომიტეტი“ და მიიღო დროებითი დებულება სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიული რესპუბლიკის უზენაესი საბჭოსა და სამხრეთ ოსეთის ადგილობრივი საბჭოების არჩევნების შესახებ: არჩევნები დაინიშნა 1990 წლის 2 დეკემბრისათვის. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს: გაუქმდეს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სახალხო დეპუტათა საბჭოს დადგენილება ავტონომიური ოლქის ე. წ. „სამხრეთ ოსეთის საბჭოთა დემოკრატიულ რესპუბლიკად“ გარდაქმნის შესახებ და აქედან გამომდინარე, მის მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილება, მათ შორის 1990 წლის 2 დეკემბრისთვის არჩევნების დანიშვნისა და ჩატარების შესახებ, რადგანაც ისინი ეწინააღმდეგებიან საქართველოს რესპუბლიკის მოქმედი კონსტიტუციის, აგრეთვე სსრ კავშირის კონსტიტუციის დებულებებს და საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1990 წლის 2 სექტემბრის დადგენილებას.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო მიმართავს სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში მცხოვრებ ყველა ეროვნების მოქალაქეს, განსაკუთრებით ოსი ეროვნების მოქალაქეებს, მოწოდებით, გამოიჩინონ კეთილგონიერება, პოლიტიკური წინდახედულება, სიფხიზლე და სწორად შეაფასონ სეპარატისტული ძალების სახიფათო მოქმედება, რომელსაც შეიძლება მოჰყვეს საერთო დესტაბილიზაცია და უაღრესად მძიმე, გაუთვალისწინებელი შედეგები. რესპუბლიკის უზენაესი საბჭო აცხადებს, რომ იგი განუხრელად იბრძოლებს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტისათვის. ამასთან ერთად იგი ადასტურებს თავის გადაწყვეტილებას, რომ კვლავაც დაიცავს საქართველოში მცხოვრები ყველა ეროვნული უმცირესობის უფლებებს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპების შესაბამისად.

*საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს*
*თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.*
*1990 წლის 22 ნოემბერი.*


საქართველოს რესპუბლიკა
მარტი № 58 (78) 1991

23 მარტს ყაზბეგში ერთმანეთს შეხვდნენ რსფსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ბატონი ბორის ელცინი და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ბატონი ზვიად გამსახურდია

რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის შეხვედრისა და მოლაპარაკების ოქმი

რუსეთის სსრ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ბ. ელცინი.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. გამსახურდია.

ყაზბეგი. 1991 წ. 23 მარტი.

# ჩაიონული მასშტაბის „პინოჩეტი“ - დემოკრატიის „მასწავლებელი“

1991–1992 წლების დეკემბერ–იანვრის ანტიკონსტიტუციურმა შეიარაღებულმა გადატრიალებამ უდიდესი ზარალი მიაყენა საქართველოს. გადატრიალებამ გათელა რესპუბლიკაში კონსტიტუციური კანონიერება, რამაც ძალაუფლება როგორც ცენტრში, ასევე რეგიონებში სხვადასხვა პოლიტიკურ ავანტურისტს ჩაუგდო ხელში. დღეს ბევრ მათგანს ეჩოთირება მათი წარსულის შეხსენება, მაგრამ არანაირად არ ეჩოთირება დემოკრატიის „მასწავლებლობა“. თუ ორი ათეული წლის წინ პოლიტიკური ბანდიტიზმი მათი ხელობა იყო, დღეს უკვე ევროპის საბჭოს კონვენციებზე მზრუნველებად გვევლინებიან.


სამველ პეტროსიანი

ეხლახანს საქართველოს მერვე მოწვევის პარლამენტის წევრმა ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან სამველ პეტროსიანმა ითავა ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში ევროპის საბჭოს ერთ–ერთი კონვენციის რატიფიცირების დაჩქარება. მისი მიზანი სულაც არაა ევროპული და ქართული სამართლებრივი ნორმების ჰარმონიზაცია, პირიქით საქართველოს მოქალაქეთა შორის ენობრივ ნიადაგზე გაუცხოების სტიმულირებაა. ევროპულ კონვენციებზე მზრუნველი ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელი 1992 წლის 2 იანვარს ხელისუფლების უზურპატორი ე. წ. სამხედრო საბჭოს (თენგიზ კიტოვანი და ჯაბა იოსელიანი) ფუნქციონერს წარმოადგენდა. 1992 წლის 9 იანვარს სამხედრო საბჭომ და ე. წ. დროებითმა მთავრობამ (თენგიზ სიგუა) ახალქალაქში მიავლინა სამხედრო საბჭოს მესხეთ–ჯავახეთის კომენდანტი გიორგი ლოლაძე: გაიმართა უკანონო რაიონული შეკრება (ასეთი რამ არ იყო გათვალისწინებული საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით), რომელზეც სამველ პეტროსიანის თავმჯდომარეობით შეიქმნა ე. წ. სამხედრო საბჭო. ამ „ხუნტის“ წევრები გახდნენ: მ. ა. თოროსიანი, ლ. კ. ელბაკიანი, ბ. მ. ზედგინიძე, ფ. ვ. თოროსიანი, ვ. გ. ჰაკობიანი, ვ. ა. მიქელაძე.

ე. წ. სამხედრო საბჭოსადმი დაქვემდებარებულად გამოცხადდა ყოფილი პრეფექტურის აპარატი. რაიონულ მასშტაბის „პინოჩეტმა“ სწრაფად მოუღო ბოლო ჯავახეთში კონსტიტუციურ კანონიერებას, წარმომადგენლობით დემოკრატიას და ავტორიტარულ–რეპრესიული რეჟიმი დაამყარა. საქართველოს რესპუბლიკის კანონიერი ხელისუფლების დევნაში მან თავისი არცთუ მცირე წვლილი შეიტანა, როდესაც უკანონოდ აღუკვეთა თავისუფლება სომხეთის რესპუბლიკიდან საქართველოში დაბრუნებულ ადამიანებს და გადასცა ისინი „ხუნტას“.

1992–2003 წლებში ედუარდ შევარდნაძის მმართველობისას, სამველ პეტროსიანი ჯავახეთში ფეოდალურ პარტიკულარიზმს ეწეოდა, ხოლო „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ ნაციონალთა ადეპტად გადაიქცა. სამველ პეტროსიანს, როგორც ტიპიურ ოპორტუნისტს არასოდეს ქონია მყარი პოლიტიკური პრინციპები, იგი ყოველთვის იყო მიმდევარი გამოთქმისა „სადაც კვამლი მაღალიო, მეც იმისი მაყარიო“. დღეს მისი სამოსელია ევროპულ კონვენციებზე მზრუნველი. სამველ პეტროსიანს ევროპული სამართალი არად მიაჩნდა ამ ორი ათეული წლის წინ და არც დღეს არის „მაშასადამე ევროპელი“, მაგრამ როგორც ტიპიურმა ოპორტუნისტმა ზუსტად იცის, რომ მხოლოდ გახლეჩისა და კონფრონტაციისას ჩნდება დაკვეთა ოპორტუნისტებზე და ის მზადაა თავის პოლიტიკანობას ანაცვალოს ადამიანებისა და ქვეყნის მომავალი.

**დავით არაბიძე**

# რუსეთის თვალით დანახული საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია

ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო–პოლიტიკური სამმართველოს უფროსი, გენერალ–ლეიტენანტი ა. სკორი, რომელსაც არაერთხელ ჰქონდა შეხვედრა ზვიად გამსახურდიასთან, მას ამგვარად ახასიათებს: „ამ ადამიანზე ერთმნიშვნელოვნად თქმა რთულია. ყველა შემთხვევაში, მისი მშვიდი, გაწონასწორებული ტონის, პირადი კონტაქტისას სრული კეთილგანწყობისა, ვფიქრობ, იფარება პოლიტიკური მოღვაწის რკინის ნება, რომელიც მტკიცედ და თანამიმდევრულად ანხორციელებს თავის ჩანაფიქრს, თავის ნაციონალისტურ იდეებს. ის ნათლად ხედავს მიზანს, რომლისკენაც მიისწრაფის და ერთ–ერთი მათგანია – პირადი ხელისუფლების განმტკიცება. რაც შეეხება მის დამოკიდებულებას სამხედროებისადმი, გამსახურდია ყველა ჩვენს ზარზე, წინადადებას შეხვედრის თაობაზე ყოველთვის დადებითად რეაგირებდა. საუბარი, როგორც წესი, გამოდიოდა კეთილგანწყობილი. მან არაერთხელ განაცხადა, რომ არ აპირებს კონფლიქტს არმიასთან. მაგრამ ჩვენ ხომ ვხედავთ, რომ პრაქტიკაში ყველაფერი სხვაგვარადაა...“

*ჟურნალი „Армия“, 1991 წელი, №12*

## შეცდომის გასწორება

**გაზეთის წინა ნომერში (N34) მე-13 გვერდზე განთავსებულ წერილში „ლექსები „ქრისტეშობა“ და „ქვაბავაზაკი“ ზვიად გამსახურდიას არ ეკუთვნის“, მესამე სვეტის ბოლოდან მეორე აბზაცის ბოლო სტრიქონი „ვეფხისტყაოსანი“ დაბეჭდილია ტექნიკური ხარვეზითა და კორექტურით, ზედმეტია ასო-ნიშანი ვ. (რედ.).**

# მელიასეული სიზმრებ-მოლანდებების ექო

ჩვენში არსებობს ასეთი ხალხური თქმულება: „მელას, რაც ესიზმრებოდა, ის ელანდებოდაო!“

90-ან წლებში გაზეთ „ახალი თაობის“ ყოფილი კორესპონდენტი და ამჟამად რადიო „ობიექტივის“ ერთ-ერთი გადაცემის წამყვანი ნინო რატიშვილი, რომელიც ეროვნული მოძრაობის დროს აეტორღიალა ზვიად გამსახურდიას და მის მიერ დაარსებულ „ილია მართლის საზოგადოებაშიც“ კი შედგა ფეხი, მაგრამ ზვიადის ნდობა მაინც ვერაფრით მოიპოვა და ჩამოიცილა იგი, დღეს ხშირად სპეკულირებს ეროვნული მოძრაობისა და ზვიად გამსახურდიას სახელით.




2012 წლის 10 ივლისის ღამის გადაცემაში მისმა ცრუპენტელობამ კი ყოველგვარ საზღვარს გადააჭარბა. კერძოდ, მიწვეულ სტუმარ-რესპონდენტებ ბიძინა გუჯაბიძესა და მამუკა გიორგაძესთან თითქმის ერთსაათიანი საუბრის დროს, რატიშვილმა სრულიად მოულოდნელად ასეთი რამ თქვა: „ მე მახსენდება ზვიად გამსახურდიას სიტყვები. და მე მაშინ ვიყავი ძალიან გაკვირვებული. იმიტომ, რომ მაშინ ვიყავით ამერიკულ ხიბლში და იცით, რა მითხრა ერთხელ. SNN კორესპონდენტები მივიყვანეთ ბატონ ზვიადთან და... ასეთი რამ მითხრა: „ყველაზე უკანასკნელი რუსი სუკის ჯაშუში მირჩევნია ყველაზე დემოკრატ ამერიკელს“ო! (იხ. გადაცემის ჩანაწერი http://www.obieqtivi.net/sqvideo.php?sqvid=8133 ქრონომეტრაჟის 29 წთ. და 57 წმ-დან) და მე მაშინ ვიფიქრე — ეს, როგორ! და გავიდა წლები და... მივხვდი, რომ ზვიადმა მართალი მითხრა!“

ყველა გონიერ ადამიანს, მისი მოსმენისას ბუნებრივად გაუჩნდებოდა კითხვა: „რატომ არ დაბეჭდა ჟურნალისტმა ნინო რატიშვილმა ბატონი ზვიადის ეს სიტყვები მაშინ, იმ პერიოდის პრესაში?!“

ასევე, ჩვენ გაგვიჩნდა ბუნებრივი მოლოდინი, რომ ზვიად გამსახურდიას პრეფექტი და გადაცემის სტუმარი ბიძინა გუჯაბიძე მაინც გააკეთებდა რაიმე განმარტებას რატიშვილის ამ სენსაციურ განცხადებაზე, მაგრამ ამაოდ! ხოლო ეროვნული მოძრაობის სხვა წარმომადგენელმა — ილია მართლის საზოგადოების წევრმა დაჩი კვარაცხელიამ, რომელიც 90-იანი წლების შემდგომ აშშ-შია ემიგრირებული, რატიშვილის ეს სიზმრისეული ბოდვა, სამ დღეში ფრთიან ფრაზად აქცია და ზვიად გამსახურდიას სურათზე დააბეჭდა(იხ. ქვემოთ). სავარაუდოდ, იგი გახლდათ აქტივისტი იმ ერთადერთი სატელეფონო ზარისა, რომელიც იმ გადაცემაში აშშ-დან ჩაირთო.

დაჩი კვარაცხელია სოციალურ ქსელში, ხან დაჩი ქართველის, ხან ლევან ქართველიშვილის, ხან ირაკლი ქართველიშვილის... ფსევდონომით (ნიკით) შემოდის და ზვიადის ქვემოთმოყვანილი ფოტოც ცილისმწამებლური წარწერით, თავდაპირველად ირაკლი ქართველიშვილის ნიკით გაავრცელა, რაც თავის კედელზე გაიზიარა კახა კუკავამ. ამგვარმა წიაღსვლამ ჩემში მაშინვე გააჩინა ეჭვი, რომ ქართველიშვილი და კუკავა ერთი პლათფორმისა და ერთი პოლიტიკური ორიენტაციის პერსონები იყვნენ, რომელთაც სწორედ რომ მაცოცხლებელ ფრაზად წაადგებოდათ რატიშვილისეული ნაბოდვარი. იმავე სოციალური ქსელის მეშვეობით მე მაშინვე მოვითხოვე ქართველიშვილისაგან, რომ დაესახელებინა ზვიადის ამ ნათქვამის წყარო, რადგან რადიო „ობიექტივის“, რომელსაც შევარდნაძეები აფინანსებენ, მსმენელი არ გახლავართ და რადიოში არ მომისმენია რატიშვილისათვის.

ქართველიშვილმა თავდაპირველ წყაროდ დამისახელა 1991 წლის 2 ივლისის „საქართველოს სამრეკლო“, რასაც ჩემი ეს პასუხი მოჰყვა:ბატონო ირაკლი ქართველიშვილო, თქვენა ხართ ავანტიურისტი და ყალბისმქმნელი!... საზოგადოებისა და კახა კუკავას საყურადღებოდ კი ვალდებული ვარ განვაცხადო, რომ: გაზეთ «საქართველოს სამრეკლოს» ერთადერთი ნომერი გამოვიდა 1923 წელს კონსტანტინე გამსახურდიას რედაქტორობით, რომლის გამოცემა 1992 წელს აღადგინა კონსტანტინე გამსახურდიას საზოგადოებამ (და არა 1991 წელს). მისი გამოცემაც 1993 წელს ხუნტის ძალადობის შედეგად შეაწყდა. 1992-93 წლების « საქართველოს სამრეკლოს» რედაქტორ-გამომცემელი გახლდათ ელიზბარ ჯაველიძე. 1996 წელს გაზეთის გამოცემა განაახლა ჯემალ დავლიანიძემ და მისი რედაქტორობით გამოდიოდა 1996 წლის ივლისამდე, ხოლო 1996 წლის ივლისიდან 1999 წლის თებერვლამდე გაზეთს რედაქტორობდა აწგანსვენებული უზენაესი საბჭოს დეპუტატი აკაკი მათიაშვილი და პერიოდულად, ზურაბ წულაია. 1999 წლის თებერვლიდან გაზეთის გამოცემა შეწყდა და ამ დრომდე შეწყვეტილია. ასე, რომ ვინმე ირაკლი ქართველიშვილის განცხადება, რომ თითქოს პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასეული ჩვენს მიერ გაპროტესტებული ციტატა, ვითომ დაბეჭდილია 1991 წლის 2 ივლისის «საქართველოს სამრეკლოში « — მტკნარი სიცრუეა და სიმართლეს არ შეიცავს! პოლიტიკოს კუკავს კი მოეთხოვება მეტი სიფრთხილით მოეკიდოს დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტის იდეურ და პოლიტიკურ მემკვიდრეობას და ნუღარ შეეცდება თავის რუსულ იმპერიალისტურ ორიენტაციას მოარგოს იგი!

ქართველიშვილი მიმდინარე 2013 წლის 4 იანვრიდან დამეკონტაქტა, აწ უკვე დაჩი ქართველის ნიკით და მომწერა:



**დაჩი ქართველი** *ლეილა, ეს ჩემი გაკეთებული სურათია. რა არ მოგეწონათ, ან ტყვილი რა ნახეთ მანდ?!*

მე სკაიპით დავუკავშირდი დაჩი ქართველს და შევეცადე დამერწმუნებინა იგი, რომ ეს სიტყვები არ ეკუთვნის ზვიად გამსახურდიას და სურათიდან უნდა წაეშალა წარწერა. მხოლოდ ამ მოთხოვნის შემდეგ გამომიგზავნა მან ის ზემოცემული „ობიექტივის“ ლინკი, საიდანაც გაცხადდა ჩემთვის ამ ცილისმწამებლური სიტყვების გავრცელების ნამდვილი წყარო ნინო რატიშვილის სახით. უნდა გითხრათ, რომ ამ წარწერიანმა ზვიადის ფოტომ დიდი აღშფოთება გამოიწვია facebook-ის სხვა მომხმარებლებშიც ყალბისმქმნელის მიმართ, რომლებსაც ენერგიულად იგერიებდა თავად წარწერის ავტორი დაჩი ქართველი (კვარაცხელია), რომელიც ამჟამად კახა კუკავას აქტიურ თანამოაზრედ გვევლინება.

ჩემს გულწრფელ გაკვირვებას იწვევს, რა აკავშირებდათ ამ რუსეთუმეებს (დაჩი კვარაცხელიას, ბიძინა გუჯაბიძეს, ზვიად ძიძიგურს...) ეროვნულ მოძრაობასა და ზვიად გამსახურდიასთან, რომლის პოლიტიკური ორიენტაცია იყო პირველი ეტაპისათვის ევროპა, ხოლო შემდგომ და საბოლოოდ — კავკასიის ერთიანი სახელმწიფო?

ზვიადის ამ ყალბწარწერიანმა ფოტომ, როგორც იქნა მიიპყრო მანანა არჩვაძე-გამსახურდიას ყურადღებაც და იგი აპირებს სასამართლოში უჩივლოს ავტორ-გამავრცელებელთ, რატიშვილ-კვარაცხელია-კუკავას ტროიკულ რაზმელთ.

**ლეილა ცომაია**



## საქართველოს
## ზვიად განმათავისუფლებლის პარტია
**ZVIAD LIBERATOR’S PARTY OF THE GEORGIA**

თბილისი, 380005, ლეონიძის ქ. 8 ტელ: 92 36 35; მობილ: 8 51 92 36 55

**TBILISI, 380005, LEONIDZE STR. 8 TEL: 92 36 55; Mobil: 8 51 92 36 55**

## ზვიად განმათავისუფლებლის პარტიის განცხადება

ყოველი დიქტატორული ხელისუფლების თვალსაჩინო გამოვლინებაა ხალხის დაუკითხავად და მათი ნება-სურვილის სრული იგნორირებით გადაწყვეტა ისეთი უმნიშვნელოვანესი საკითხებისა, რომელზედაც ძალაუფლება და კუთვნილება, ყველა სახელმწიფოში ეკუთვნის ხალხს და არა, რომელიმე მოკლევადიან ხელისუფალს — პრეზიდენტსა თუ პრემიერ-მინისტრს.

ბიძინა ივანიშვილი, რომელიც წინასაარჩევნოდ იძლეოდა დაპირებას, რომ იგი იქნებოდა ნამდვილი სახალხო ხელისუფალი და მათი გამოკითხვის გარეშე არ გადაწყვეტდა სახელმწიფოებრივად საჭირბოროტო საკითხებს, დღეს ისეთივე ერთპიროვნულ დიქტატორულ მმართველად გვევლინება, როგორიც მისი წინამორბედი ნაციონალური ხროვა, რომელსაც ფიქციად ქცეული და გათელილი ჰქონდა ქვეყნის კონსტიტუცია. ივანიშვილის ხელისუფლება ხალხის დაუკითხავად აპირებს კონსტიტუციურ ცვლილებებს. მან, ბათუმში მეჩეთის აგებაზე თანხმობაც ერთპიროვნულად,საკუთარი ხალხის ნების საწინააღმდეგოდ მისცა თურქეთის პრეზიდენტს. მაშინ, როცა იგი მოვალე იყო ასეთი საერო საკითხები ჯერ საპატრიარქოსთან, სტუდენტებთან,საზოგადო მოღვაწეებთან, მწერლებთან... საჯარო დისკუსიის საგნად ექცია და ამის მიხედვით მიელო გადაწყვეტილება. მეჩეთის სახელწოდების (აზიზიეს) ამ ეტაპზე მიჩქმალვით ივანიშვილი ქართველ ერს ვერ მოატყუებს და ჩვენ შევეცდებით წინ აღვუდგეთ მის ანტი-ქართულ-ანტისახელმწიფოებრივ კურსს და განვითარება არ მივსცეთ მის დიქტატორულ სულისკვეთებას. მოველით, რომ საქართველოს საპატრიარქომ გამოხატოს საკუთარი მკვეთრი და ნათელი პოზიცია ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობასთან დაკავშირებით და დაასაბუთოს მისი აუცილებლობა!

ზვიად განმათავისუფლებლის პარტია გამოვთქვამთ რა პროტესტს უკანასკნელი 8 წლის განმავლობაში აჭარის ნეოისლამიზაციის ფორსირებული კურსის გამო, უარს ვაცხადებთ ბათუმში ახალი მეჩეთის ყოველგვარ მშენებლობაზე და ბიძინა ივანიშვილის მთავრობისაგან მოვითხოვთ აჭარაში სოციალურ- ეკონომიკური დონის მკვეთრ ზრდას, რათა აჭარის მოსახლეობასა და ახალგაზრდებს მიეცეთ სწავლა-განათლების, ნორმალური ცხოვრებისა განვითარების შესაძლებლობები საკუთარ სამშობლო საქართველოში და იძულებით არ ილტვოდნენ თურქეთისაკენ.

***პარტიის თავმჯდომარე***
***ლეილა ცომაია***
***2013 წლის 31 მარტი.***





# საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია II რუსეთში ვიზიტთან დაკავშირებული პარალელები



მიმდინარე წლის 20 – 25 იანვარს მოსკოვში ვიზიტით იმყოფებოდა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე: «ჩემი ვიზიტის მიზანია დაიწყოს იმ შეცდომების გამოსწორება, რომელიც მრავლად დავუშვით. ვფიქრობ, გვეყოფა სიმამაცე და სიბრძნე იმისათვის, რომ ეს შეცდომები გამოვასწოროთ. მე მქონდა შეხვედრა ვლადიმერ პუტინთან და შევთანხმდით იმაზე, რომ ასე გაგრძელება აღარ შეიძლება. რუსეთის პრეზიდენტი ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ ძმებად დავრჩეთ. ის რაც მოხდა, არც რუსეთის ბრალია და არც საქართველოსი. ეს იყო ცალკეული პიროვნებების ბრალი».

„მინდა გითხრათ, რომ ურთიერთობა რუსეთსა და საქართველოს შორის იყო და მუდამ იქნება ძმური და მეგობრული. რუსეთი და საქართველო, როგორც ძმები ისე იყვნენ წარსულში, მაგრამ ალბათ ვიღაცას შეშურდა ჩვენი კარგად ყოფნა და ხელოვნურად შექმნა მტრობა. მე მქონდა შეხვედრა მის აღმატებულებასთან რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტთან ბატონ ვლადიმერ პუტინთან, მე ადრეც მქონია შეხვედრა, ადრეც მქონდა, მაგრამ ის სითბო, ის ყურადღება, რომელიც გამოიჩინა პრეზიდენტმა პუტინმა, ეს იყო განსაკუთრებული და იმედის მომცველი. მე ვფიქრობ, რომ ეს არის ის პიროვნება, ის ბრძენი პიროვნება, რომელიც აუცილებლად გამოასწორებს სიტუაციას საქართველოში და გამთლიანდება საქართველო“ ( წყარო Neus Plus ილია მეორე: პუტინი არის ბრძენი პიროვნება, you tube – ილია მეორე პუტინზე).

**არცთუ ისე შორეულ წარსულში კი ოკუპანტი რუსეთის მიმართ საქართველოს ასეთი პირუთვნელი და მოუდრეკელი მწყემსმთავრებ-კათოლიკოს-პატრიარქები ჰყავდა**



***უწმინდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ლეონიდე (ლონგინოზ ოქროპირიძე)***

„ძენო ქართლისაო, სრულიად საქართველოს ვაჟკაცნო და ქალნო! მადლი და კურთხევა იესო ქრისტესი თქვენდა!

საუკუნოებით განწირულ საქართველოს განგებამ არგუნა ხვედრი, გახდეს სამარედ სკვითებისა, რომელთაც შემუსრეს რუსეთი და რომელნიც აზია-ევროპაში ყველაფერს მხოლოდ ანგრევდნენ და ანადგურებდნენ.

თითქოს უკეთურნი უახლოვდებოდნენ ჩვენს დედაქალაქს და დამშეულნი ელოდებოდნენ თბილისში გემრიელი პურითა და ღვინით გაძღომას, თბილისის განთქმულ აბანოებში დასუფთავებას. მაგრამ, როგორც მტკვარი არ იბრუნებს პირს უკუღმა, ისე ჩვენი ვერაგი მტერი ვერ მიაღწევს ბოროტ განზრახვას, ღმერთი არ აღირსებს მას საქართველოს დაპყრობას. ყოვლად წმინდა ღვთისმშობელი ცეცხლად შეარგებს მას ჩვენი მამულის პურსა და ღვინოს....

საყვარელნო, ფრონტის ზურგში მყოფნო, შევინარჩუნოთ სრული დარბაისლობა, გულის სიმშვიდე და ხასიათის სიმტკიცე. ნუ მივეცემით საშინელ და ცრუ ხმებს...

ღმერთმა აკურთხოს და ჩქარი ძლევამოსილებით შემოსოს ჩვენი ამაყი ლაშქარი!“

*ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის გაზეთი „საქართველო“, 1921 წლის 21 თებერვალი*



**სართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ამბროსი ხელაიას წერილი ჩეკას**

საქართველოს საგანგებო კომისიის (ჩეკას) თავმჯდომარეს

ამა თვის 13-ში მე ვიყავ მოწვეული თქვენ მიერ საგანგებო კომისიაში ჩვენების ჩამოსართმევად ჩემს მიერ გენუის კონფერენციაზე გაგზავნილი მემორანდუმის გამო.

მე ვფიქრობდი, რომ ჩემი განმარტება დამაკმაყოფილებელი იქნებოდა საქმის სათანადო მსვლელობისათვის, მაგრამ თქვენ მიერ დანიშნულმა გამომძიებელმა ქავჟარაძემ მომიწვია საგანგებო კომისიაში და მომთხოვა დავასაბუთო მემორანდუმში აღნიშნული დებულებანი. ამის გამო საჭიროდ ვრაცხ განვაცხადო შემდეგი. საქართველო დამოუკიდებელი იყო 1918-1921 წლებში. იგი იცნო რუსეთმა 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებით. მიუხედავად ამისა 1921 წლის თებერვალში რუსეთის ჯარებმა გადმოლახა საქართველოს საზღვრები და მოახდინა ქვეყნის ოკუპაცია, მოსპო ქართველი ერის სუვერენობა. ამ გარემოებას მოჰყვა საქართველოს დაქუცმაცება, მისი ერთი ნაწილი გადაეცა აზერბაიჯანს, მეორე სომხეთს, მესამე ახლადშექმნილ ავტონომიურ ოსეთს. ცალკე რესპუბლიკების სახით გამოეყო აფხაზეთი და აჭარა. საქართველოს რკინიგზა შეუერთდა რუსეთისას, საქართველოს ჯარი გაითქვიფა რუსეთისაში, ქართული ენა განიდევნა სახელმწიფო დაწესებულებებიდან.“

***კათოლიკოს-პატრიარქი ამბროსი, 1922 წელი („მატიანე“).***

**სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, კირიონ II-ს გუჯარი**



„მშვიდობა თქვენდა და კურთხევა რჩეულნო ივერიისანო! ასულნო და ძენო აწ წარტყვევნილისა და ძალამიხდილისა მხცოვანისა საქართველოისანო! შემოკრბით ჩემდა, მამამთავრისასა თქვენისასა და ყური მიეპყართ სიტყვასა ჩემთა.

ოდეს ერი ქართველთაი გარემოიცვა შურმან, მტრობამან და ურთიერთას გაუგებრობამან, ოდეს იგი დაადგა გზასა დანაწილებისასა და წვლილებისასა – შესუსტდა შემოქმედებითი ნიჭი მისი, შეირყა სიმხნევე მისისა, დაეცა სახელმწიფოებრივი ძალი მისი და მან, ლალმან და ქედმაღალმან მუხლი მოიდრიკა უცხოსა თესლისა, რომელმაც, თქმულებისამებრ წერილისა: „ძენი თქვენნი წარიყვანნა და ცხენთა ზედა აღახსნა, ასულნი თქვენნი აღიხვნა და მზარეულ ქმნა, აგარაკნი თქვენნი და ვენახნი, ზეთის ხილნი თქვენნი და ღვინო განგიათეულნა და გყო თქვენ მისდა მონად“. რაოდენგზის ინება დედა მშობელმან „შეკრება თქვენნი, ვითარსახე შეიკრიბოს მფრინველმან მართვენი თვისნი ქვეშე ფრთეთა თვისთა, გარნა არა ინებეთ ესე“ (მათე) და არცა „უფალმან“ თქვენმან ნებაგცა ამისი.

და დღეს ოდეს ვხედავ კრებულსა რჩეულთასა დიდ საწადელსა წინასწარმეტყველებრ ვღაღადებ: „აჰა, ესერა რაიმე კეთილ ანუ რაიმე მშვენიერ, არამედ დამკვიდრება ძმათა ერთად“.

ხელთა შინა თქვენთა არს მომავალი ერისა ჩვენისა, თქვენ ხართ სასო და ხელისამპყრობელ მისი.

ღელავს და მძვინვარებს ზღვა ჩრდილოეთისა, სანაპიროსა თვისთაგან გადმოხეთქილი და წარღვნასა ექადის მრავალტანჯულსა ჩვენსა მხარესა და თქვენ, რჩეულნო ივერიისანო, თქვენ უნდა იხსნათ სამშობლო განსაცდელისაგან, თქვენ უნდა განუსვენოთ მას, მიიყვანოთ ნავთსაყუდელსა მყუდროსა და დაამყაროთ მასში ძმობა, მშვიდობა, წესიერება და ბედნიერება. თქვენი ერთობა, ერთსულოვნება და დღისა ვარამის განმსჭვრეტელობა წინდი არს იმისა, ვითარმედ „აღდგებიან მკვდარნი“, საქართველო გაცხოველდება და ქართველი ერი კვლავ აღბეჭდავს მატეანესა შინა კაცობრიობისასა საქმეთა თვისთა საგმიროთა. იყავნ, იყავნ!

აჩრდილნი დიდებულთა ჩვენთა წინაპართანი, ვედრებანი ახლადაღდგენილ ივერიის ეკლესიისანი და კურთხევა ჩემის ულირსობისაი გფარავდეთ და წარგიძღოდეთ თქვენ გზასა მას მოღვაწებისა თქვენისასა“.

*მდაბალი კირიონ II, მთავარეპიზკოპოზი მცხეთისა და*

*სრულიად საქართველოს კათალიკოზ-პატრიარქი.*

*ქ. თბილისი, 19 ნოემბერი, 1917 წ.*

დაბეჭდილ წერილებში მოყვანილ ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებლები არიან ავტორები.

**რედაქტორი** ლეილა ცომაია

გაზეთი გამოდის შემოწირულობებით
საკონტაქტო ტელეფონი: 92 36 55
ვებგვერდი: ***http://ganmatavisuflebeli.webs.com***
ელ.ფოსტა: ***ganmatavisuflebeli@yahoo.com***